

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი

ლაშა მანველიძე

**რეგიონული პოტენციალის დივერსიფიკაციის და  
ეკონომიკური უსაფრთხოების მექანიზმის სრულყოფის  
დომინირებადი სტრატეგიები**

(ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ლლონტი

ბათუმი-2022

წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა მანველიძე

15/02/2022

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	შესავლი.....	4
თავი I	რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონცეპტუალური საფუძვლები.....	16
	1.1. რეგიონის ცნების პრობლემურობა და მისი როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კვლევის ევოლუცია.....	16
	1.2. სინერგიული ფაქტორები რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.....	24
	1.3. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და რესურსული ფაქტორები.....	35
	1.3.1 აჭარის რეგიონის განვითარების პოტენციალის სტატისტიკური ანალიზი და შეფასება .....	58
თავი II	დივერსიფიკაცია, როგორც ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის მექანიზმი.....	84
	2.1. დივერსიფიკაციის კონცეპტუალური გააზრება.....	84
	2.2. რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაცია და შეფასების ინდექსი.....	107
	2.3. დივერსიფიკაციის ფინანსური მართვის სტრატეგი არასტაბილური ეკონომიკის პირობებში.....	114
	2.4 დივერსიფიკაცია თანამედროვე საწარმოს მართვის მექანიზმებში....	116
	2.5. დივერსიფიკაციის შესაძლო მიმართულებები.....	119
თავი III	ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგიონული მახასიათებლები და სტრატეგია.....	123
	3.1. ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული გააზრება .....	123
	3.2. რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორი.....	127
	3.3. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგიონული სტრატეგიის პრინციპები და მექანიზმები (რეკომენდაციების სახით).....	141
	3.3.1 რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორები და მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი.....	141
	3.3.2 ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგიონული სტრატეგია.....	157
	3.3.3 რეგიონული ეკონომიკური უზრუნველყოფის მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი.....	165
	3.4 გლობალური პანდემია და ეკონომიკური უსაფრთხოება.....	168
	დასკვნები და წინადადებები.....	172
	გამოყენებული ლიტერატურა.....	177

## შესავალი

### თემის აქტუალურობა

ეკონომიკის რეფორმირების პროცესი და მისი აუცილებლობა დღეს, ყველაზე აქტიურად ვლინდება რეგიონულ დონეზე. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია რეგიონების, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების საკანონმდებლო ბაზის და საბაზრო ეკონომიკის მექანიზმების სწრაფი ცვლილებით. სწორედ ასეთი მიდგომით იქმნება ოპტიმალური რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ძირითადი არსია რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება, კერძო სექტორის უპირატესობის მიღწევა პრიორიტეტულ დარგებში. დღეს რეგიონებში ადგილი აქვს ზოგიერთი ძველი პრობლემის დამძიმებას და გაჩნდა ახალი, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მსხვილი კაპიტალის მონოპოლიასთან, რეგიონების დეპრესიასთან, უმუშევრობასთან, სიღარიბესთან, შრომით, ეკოლოგიურ მიგრაციასთან, იძულებითი დევნილების ზრდასთან და სხვა.

ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებთა ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე „ტერიტორიის“ და „რეგიონის“ ეკონომიკურ-გეოგრაფიული და სოციალური არსი სხვადასხვაგვარად განისაზღვრებოდა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ რეგიონი, როგორც ეკონომიკური სისტემა, ურთიერთდაკავშირებული ტერიტორიებისგან შემდგარი ინტეგრირებული სოციალური და ეკონომიკური სისტემის ის ნაწილია, სადაც თითოეული ახორციელებს თავის ფუნქციებს მაღალი ორგანიზაციული დონის სისტემაში. შესაბამისად, რეგიონული ეკონომიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ნაწილი, მისი დამოუკიდებელი სეგმენტია, რომელიც ქმნის ურთიერთობებს ცენტრს და რეგიონებს შორის საბოლოო პროდუქტის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში, არ არღვევს ეკონომიკური და პროფილური სისტემის ერთობლიობას, ეფექტიანს ხდის შეზღუდული რესურსების მართვის პროცესს.

თანამედროვე ეტაპზე, რეგიონის განვითარების მიზნები უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კონკრეტული, მიღწევადი, თანმიმდევრული, გაზომვადი, რათა შეძლონ რეგიონში მაქსიმალურად გრძელვადიანი სარგებელის მიღება, და,

არამხოლოდ, ე.წ. „მიმდინარე“ პრობლემების გადაჭრა. მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მექანიზმები უნდა ემყარებოდეს რეგიონის მოსახლეობისათვის ცხოვრების ხარისხის სასურველი დონის დამახასიათებელ პრინციპებს, ეკონომიკური, პოლიტიკური, ინვესტიციებისა და ინოვაციური განვითარების რაოდენობრივ და თვისებრივ მახასიათებლებს. ეს კი, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სწორად მოახდენს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და რეგიონულ ჭრილში შეიმუშავებს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სწორ სტრატეგიას, მათ შორის

რეგიონების განვითარების პრაქტიკაში, საბაზრო პირობების კვალდაკვალ, დივერსიფიკაცია მისი ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის ერთ-ერთი ალტერნატივაა, ვინაიდან ეკონომიკური თვალსაზრისით, დივერსიფიკაცია რეგულირების მექანიზმების საპირწონეა. ის ხელს უწყობს დარგთაშორისი პროცესების ფორმირებას, წარმოების ან მომსახურების რამდენიმე, ურთიერთდაკავშირებული ტექნოლოგიების ერთდროულად განვითარებას, ასორტიმენტის გაფართოებას და სხვა.

რეგიონული დივერსიფიკაციის თანმდევი რისკები, პროცესების ანალიზი და სტრატეგიული ცვლილებები უნდა ითვალისწინებდეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებს. მხედველობაში გვაქვს გარკვეული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების სისტემა, სადაც კრიტერიუმი იქნება პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი საფრთხეების ყოვლისმომცველ შეფასებას. მაგალითად, რესურსული პოტენციალის შეფასება და მისი ეფექტიანი გამოყენება; კაპიტალის დონისა და შრომის დონის შესაბამისობის შეფასება; ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასება და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები მოითხოვს აქტიური პრევენციული ღონისძიებების შემუშავება-გატარებას. ამჟამად მიმდინარეობს ახალი კონცეპტუალური მიდგომების ძიება, სახელმწიფოს, შემადგენელი სუბიექტების, საწარმოთა და ორგანიზაციების ეკონომიკური ინტერესების დაცვის მეთოდებისა და მექანიზმების ფორმირების მიზნით, რაც უნდა აისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში. ამ თვალსაზრისით, რეგიონულ დონეზე ეკონომიკური

უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლების შესწავლა, ეკონომიკური საფრთხეების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის შემუშავება, მიმართულებების დასაბუთება და რეგიონული პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანი და ამასთანავე, ეკონომიკური სისტემების მართვისა და რეგულირების მექანიზმიცაა.

მეცნიერულად დასაბუთებული რეგიონული პოლიტიკის საფუძველზე, საჭიროა, რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის ორგანიზაციული და მენეჯერული მექანიზმის შექმნის პრობლემების შესწავლა. მართალია, დღეისათვის ჩამოყალიბდა სამეცნიერო სკოლები, თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა, რაც იძლევა სამეცნიერო კვლევების ჩატარების, მეთოდური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის. თუმცა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეგიონული ასპექტები, მაინც საკმარისად არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, საკვლევი პრობლემა აქტუალურია რეგიონული დივერსიფიკაციის დამახასიათებელი თვისებების, თავისებურებების, მახასიათებლების განსაზღვრისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის ძირითადი პოსტულატების განსაზღვრისათვის განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში.

**კვლევის ობიექტია** რეგიონული ეკონომიკური სისტემა, ხოლო კვლევის **საგანია** რეგიონული პოტენციალის დივერსიფიკაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი.

კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** რეგიონული დივერსიფიკაციის დამახასიათებელი თვისებების, თავისებურებების, მახასიათებლების, მიდგომების განსაზღვრა, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული სტრატეგიების შეფასება, მათი გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებია:**

- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, მისი დივერსიფიკაციის და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა;

- რეგიონის ცნების პრობლემურობის და მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, ფორმირების, ევოლუციის, სინერგიული და რესურსული ფაქტორების შესწავლა;

- რეგიონული პოტენციალის დივერსიფიკაციის სტრატეგიის მახასიათებლების, დივერსიფიკაციის შესაძლო მიმართულებების და დივერსიფიკაციის მექანიზმების მართვის თავისებურებების გამოვლენა და შესწავლა;

- რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორების დადგენა და შესწავლა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე, რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, ეკონომიკური დივერსიფიკაციის, უსაფრთხოების ტენდენციებისა და გამოწვევების შესწავლა;

- რეგიონული დივერსიფიკაციის და ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მექანიზმების გაუმჯობესების გზების შეთავაზება.

### **კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა**

რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში კვლევის ობიექტად განიხილება, როგორც ქვეყნის ეკონომიკა მთლიანობაში, ასევე, კონკრეტული რეგიონები. სწორედ ამგვარმა განხილვამ განსაზღვრა რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების და დივერსიფიკაციის თეორიების განვითარების ძირითადი მიმართულება მე-20 საუკუნეში. ამავე დროს, ჩამოყალიბდა ეკონომიკური დივერსიფიკაციის და უსაფრთხოების არაერთი განმარტება. ამ კუთხით მრავალი კვლევის თეორიული საფუძველია კლასიკური ეკონომიკური თეორია, მენეჯმენტის თეორია და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციები.

კვლევაში ასევე, ყურადღებას ვამახვილებთ ინდივიდუალური თეორიების გამოყენებაზე: კერძოდ, ზოგადი მენეჯმენტის თეორია, მდგრადი განვითარების თეორია, რისკების მართვის თეორია, რეგიონული განვითარების თეორია, ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორია, მაკროეკონომიკური თეორია. აღნიშნული თეორიების განხილვისას გვხვდება შეუსაბამობა, თუმცა, ვფიქრობთ,

გარკვეული კონსენსუსის გამოვლენა შესაძლებელია ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში, მათ შორის, რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული საკითხების შესამუშავებლად.

სამეცნიერო კვლევის საინფორმაციო-დოკუმენტურ ბაზად აღებულია სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო სახელმწიფო პოლიტიკას მოცემული მიმართულებით, არამედ წარმოადგენენ განხორციელებული ქმედებების შეფასების წყაროებსაც. მათ შორისაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი), საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წწ., საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების წლიური კონსოლიდირებული ანგარიში 2015-2017 [77], საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის 2019 წლის წლიური კონსოლიდირებული ანგარიში, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019 და სხვა. მდგრადი განვითარებისთვის“ (ARCD), კვლევის ანგარიშები. ასევე, კვლევისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამართლებრივ ნომატიული დოკუმენტები, როგორცაა: საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის წესის შესახებ, რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №1400 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ, საქართველოს კანონი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორების შესახებ და სხვა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულია კვლევის ტრიანგულაციური (შერეული) მიდგომა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეთოდებისა და თეორიული მიდგომების კომბინაციურ გამოყენებას ერთი და იმავე პრობლემის შესასწავლად.



მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია რეგიონული პოლიტიკის, რეგიონული დივერსიფიკაციის, რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების თავისებურებებისა და თანმდევი პროცესების ანალიზით. კერძოდ, კვლევისას გამოყენებული იქნა: ემპირიული, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების განსხვავებული ხერხები, მათ შორის: სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, სტატისტიკური, დოკუმენტის ანალიზის და მონოგრაფიული კვლევის მეთოდები.

### **პრობლემის კვლევის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში**

რეგიონული დივერსიფიკაციასა და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე ყურადღებას ამახვილებენ ქართველი მეცნიერები: ლ. პაპავა[52], ე. ბარათაშვილი[14;15;16;17;57], ა. აბრალავა[15;14], ვ. ლლონტი[87], ნ. ჩიხლაძე[92], ბ. ალადაშვილი [6;7], რ. ასათიანი [8] ი. მესხია, რ. გველესიანი[38], ნ. ორჯონიკიძე[44;45], ზ. თეთრუაშვილი[32], ე. ხარაიშვილი, ნ. ჭითინავა, მ. ჯიბუტი, ც. თეთრაული[30], მ. კვარაცხელია[31], ზ. კუნდუხაშვილი[32], შ. ლომინაშვილი, ზ. ბეშკენაძე[33], დ. ჭიჭინაძე[97;98] და სხვები. თუმცა საკითხი, ხშირ შემთხვევაში, შესწავლილია ეკონომიკური პოლიტიკის ან რეგიონული პოლიტიკის ჭრილში.

რეგიონული დივერსიფიკაციასა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესწავლის კუთხით საინტერესოა უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის კვლევის მაკროეკონომიკური დონე შესწავლილია ისეთი მკვლევარების მიერ როგორებიცაა: [Dawood M.](#);[130]; ANDRUSEAC G.;[109]; [Kahler M.](#), [133]; Kirshner J.[136]; [Grigoreva E.](#), [Garifova L.](#),[143]; Mamychev Alexei Y., Sulimova E. A., Yakovenko N. V., Savvidi S. M., Molchan A. S., Dianova V.[152]; A., Nesadurai H.S.[158]; და ა.შ. დივერსიფიკაციის მიმართულებით კი შეიძლება დავასახელოთ უცხოელი ავტორები: Acemoglu, D., Zilibotti F.,[101]; Akpadock, F.,[104]; Boschma R., Capone G.[118]; Conroy M. E..[121]; Deller, S. C., Chicoine, D. L.[123]; Dissart, J. C.[124]; Esanov, A.[129]; Gelb, A.[137]; Hesse, H.[144]; Hvidt, M.[145]; Ramcharan, R.[163]; Rodrik, D.[166]; Sonja H.[173]; Wagner, J. E.[181] და სხვები. აღნიშნულ ნშრომებში მოცემულია ეკონომიკური დივერსიფიკაციის და უსაფრთხოების თეორულ-მეთოდოლოგიური

გააზრება და პრაქტიკული აღწერა. თუმცა აქვე დავძენთ, რომ შესასწავლი პრობლემის კვლევაში, ჯერ კიდევ, მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური ნაკლოვანებებია. კერძოდ, ეკონომიკური უსაფრთხოება ძირითადად განიხილება ეკონომიკური განვითარების მიმართულებით, ქვეყნის ანუ ეროვნული ინტერესების დაცვის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. მიგვაჩნია, , ჯერ კიდევ, საკმარისად არ არის განხილული მდგრადი ეკონომიკური განვითარების საკითხები. მ.შ. ხელსაყრელი სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა სექტორების და ეკონომიკის დარგების ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

ამასთანავე, ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს და დაკავშირებულია ყველა სახის უსაფრთხოებასთან. არაერთი მეცნიერის აზრით, ეკონომიკური უსაფრთხოება გაგებულია ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, სამართლებრივ და სხვა პრობლემათა ისეთ კომპლექსად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას, ეკონომიკის დაბალანსებულ მდგომარეობას, დინამიურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ასევე, გარკვევას მოითხოვს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტების შინაარსი, რეგიონულ დონეზე. ჩვენი აზრით, ეკონომიკური უსაფრთხოების კომპონენტებია-ფინანსური, ენერგეტიკული, ინსტიტუციური, ინფორმაციული და სურსათის უვნებლობა. ჩვენ, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, განვიხილავთ შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: ინვესტიცია, წარმოება, სამეცნიერო და ტექნიკური, საგარეო ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური, დემოგრაფიული, ბაზრის მდგრადობა, სურსათის უვნებლობა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია უსაფრთხოების დაცვა სამართლისა და წესრიგის სფეროში, ისევე, როგორც ინფორმაციისა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოება, რომლის მდგომარეობა დიდწილად განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემების მდგრად განვითარებას. სამეცნიერო ნაშრომებში ნათლად ჩანს, რომ დივერსიფიკაცია უფრო მეტად განიხილება როგორც ტექნიკური პროცესი და ნაკლებად ეხებიან მისი ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიას.

წარმოდგენილი კვლევა სიახლეა დივერსიფიკაციასა და ეკონომიკური

უსაფრთხოების რეგიონული დონის შესწავლისათვის საქართველოში, მით უფრო რომ პრობლემა შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დივერსიფიკაციის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემურ კონტექსტში.

### **კვლევის შედეგები**

კვლევა მიეკუთვნება ფუნდამენტური კვლევის კატეგორიას, რომლის შედეგად დადგინდა საკვლევი პრობლემის შესწავლის მეცნიერული დონე, რამაც შესაძლებელი გახადა საკვლევი პრობლემატიკის არქიტექტონიკის შედგენა. ამავე დროს, გამოვლენილი და ნაჩვენებია რეგიონული დივერსიფიკაციის თავისებურებები, მახასიათებლები, თვისებები და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის ძირითადი პოსტულატები, გაუმჯობესების გზები და მექანიზმები.

კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერულ-შემეცნებითი, ისე გამოყენებითი კუთხით. თემის იდეები, განზოგადებები, დასკვნები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტ აქტიურობას, ამ კუთხით საქმიანობის გასაძლიერებლად. კვლევის შედეგები კი, რეგიონულ ხელისუფლებას უნდა დაეხმაროს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოიყენოს საჯარო სექტორმა, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ეს შეიძლება იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და მისი სტრუქტურები. ასევე, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ბიზნეს სუბიექტები. კვლევის შედეგებს, ასევე, გამოიყენებენ ის მეცნიერ-თანამშრომლები, რომელთა კვლევის სფეროებია: ეკონომიკური პოლიტიკა, უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა, პოლიტიკის მეცნიერება და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკვლევი პრობლემა პირველად იქნა შესწავლილი რეგიონულ ჭრილში. ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა კონკრეტული მასალებით წარმოგვედგინა ამ მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის საერთო სურათი, სამეცნიერო სფეროში შემოგვეტანა ახალი მასალები და ხედვები, რეგიონული დივერსიფიკაციის განსაზღვრება და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიმართულებები, შესაბამისი

მექანიზმების განვითარების შესაძლებლობები და თავისებურებები.

### **ძირითადი სამეცნიერო სიახლეები**

შესწავლილია რეგიონის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, მისი პოტენციალის დივერსიფიკაციის და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები;

განსაზღვრულია რეგიონის ცნების პრობლემის არსი და აღწერილია სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების ევოლუცია;

შესწავლილია სინერგიული და რესურსული ფაქტორების როლი რეგიონის განვითარებაში;

გამოვლენილია რეგიონული პოტენციალის დივერსიფიკაციის სტრატეგიის მახასიათებლები;

აღწერილია დივერსიფიკაციის შესაძლო მიმართულებები და გამოვლენილია რეგიონული პოტენციალის დივერსიფიკაციის მექანიზმების თავისებურებები;

დადგენილია რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორები და თავისებურებები;

ნაჩვენებია ეკონომიკური უსაფრთხოების ტენდენციები და გამოწვევები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მაგალითზე ;

ნაჩვენებია აჭარის რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და ეკონომიკური დივერსიფიკაციის სტრუქტურა;

ჩამოყალიბებულია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის ძირითადი პოსტულატები;

შემუშავებულია პრაქტიკული რეკომენდაციები რეგიონალური დივერსიფიკაციის და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელების გზების შესახებ.

საკვალიფიკაციო ნაშრომი აპრობირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2021 წლის 26 ივლისს.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ათ პარაგრაფად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან. თანდართულია გამოყენებული ლიტერატურის სია.

## თავი პირველი

### რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონცეპტუალური მიდგომები

#### 1.1. რეგიონის ცნების პრობლემურობა და მისი როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კვლევის ევოლუცია

სამეცნიერო ლიტერატურაში რეგიონის მრავალი განმარტება არსებობს. გამოვლენილია მისი არსი, სხვადასხვა სახეები, თვისებები და თავისებურებები. ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ გავრცელებულ განსაზღვრებებს და შესაბამის ინტერპრეტაციებს. აღსანიშნავია, რომ გარდა ტერიტორიისა, სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენებოდა ტერმინები: არეალი, ზონა, ანკლავი, რაიონი, მიწა და სხვა. თუმცა ყველაზე გავრცელებული ცნება მაინც „რეგიონია“, რომელიც შედარებით ზუსტად გამოხატავს სოციალური და ეკონომიკური პარამეტრების გამოყოფასა და მათში არსებული პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავების შესაძლებლობებს [176]. ასევე ქმნის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე მექანიზმების ეფექტურად მოქმედების საფუძვლებს და აპრობირებული ეკონომიკური პრინციპების განხორციელების, სტაბილურობის უზრუნველყოფის გარანტიებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში, „რეგიონის“ ტერმინის ქვეშ მოიაზრებენ დიდ ეკონომიკურ, გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ, ტერიტორიულ ერთეულებს და განსაზღვრავენ მას, მხოლოდ, მისი მასშტაბებით. სხვა განმარტებით კი „რეგიონი არის კომპლექსი, რომელიც მოიცავს მიწის, ჰაერის, ფლორის, ფაუნისა და მოსახლეობის ერთობლიობას და წარმოადგენს დედამიწის ზედაპირის სპეციფიკურ და დამახასიათებელ ნაწილს [188]. ან კიდევ, „რეგიონი არის გარკვეული ტერიტორია, რომელიც მრავალფეროვნებით განსხვავდება სხვებისგან და აქვს გარკვეული მთლიანობა, მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობა“ [190, გვ. 17]. ასევე „რეგიონი არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც აქვს მსგავსი ბუნებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-

პოლიტიკური პირობები,” საზოგადოების „გრძნობა, რომელიც განასხვავებს მას ქვეყნის სხვა ნაწილებიდან” [188, გვ. 133]. სამეცნიერო ლიტერატურაში, გვხვდება ჩვენთვის საინტერესო განმარტებაც: „რეგიონი არის მეტ-ნაკლებად ჰომოგენური ბუნებრივი პირობების მქონე ტერიტორიის ნაწილი, სპეციფიკური ეკონომიკური, დემოგრაფიული, ისტორიული პირობებით, რომელზედაც ფუნქციონირებს ინდუსტრიების, წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის გარკვეული კომპლექსი” [204, გვ. 15].

ამკარაა, რომ აღნიშნული განმარტებები ზოგადია, რადგანაც რეგიონის ცნებაში უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორც წარმოებაა. შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მე-20 ს-ის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან წარმოების ასპექტის გათვალისწინებამ ტერმინ „რეგიონის“ განმარტებისას სწორედ დიდი აღიარება მოიპოვა და სამეცნიერო ნაშრომებში გამოიკვეთა პრობლემური კითხვები რეგიონის შესახებ, როცა დღის წესრიგში დადგა საკითხი „წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის“ შესახებ. კერძოდ, რეგიონი უნდა დახასიათდეს, როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი თავისი ბუნებრივი პირობებით და რესურსებით, რომლის განვითარების საფუძველია ბუნებრივი რესურსების კომპლექსი, მაღალი მატერიალური და ტექნიკური ბაზით, აგრეთვე, განვითარებული სოციალური და სამრეწველო ინფრასტრუქტურით [87].

რეგიონი, ასევე, ასოცირდება „ინდუსტრიის“ კონცეფციასთან, თუ ამ კატეგორიას განვიხილავთ წარმოების თვალსაზრისით, რამდენადაც ინდუსტრია არის ერთგვაროვანი საწარმოების ურთიერთკავშირი. შესაბამისად, რეგიონი წარმოადგენს ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა სექტორის ტერიტორიულ საწარმოებს. ამ ინდუსტრიების კომპლექსი კი ადგენს რეგიონის სპეციალიზაციისა და მისი განვითარების ხარისხს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება რეგიონის სხვა განმარტებებიც. კერძოდ: „რეგიონები წარმოადგენს ბუნებრივ რესურსს, არქიტექტურას და დაგეგმვას, სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ფორმირებებს თავიანთი პოტენციის და მენეჯმენტის საკუთარი ქვესისტემებით და არ აღწევენ ქვეყნის

მთლიანობას” [208]; ასევე, „რეგიონი არის არეალი, რაიონი, ტერიტორია, ქვეყნის ნაწილი, რომელიც ხასიათდება ბუნებრივი ან ისტორიულად დადგენილი ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთობლიობით” [203]. მიგვაჩნია, რომ ყველა ჩამოთვლილი განმარტება სინონიმურია, თუმცა აშკარაა, თითოეულ განმარტებაში გამოკვეთილია მრავალფეროვანი მახასიათებელი.

ქართველ მეცნიერთა აზრით, რეგიონი არის სხვა ტერიტორიათაგან მრავალი განსხვავებული ნიშნით გამოკვეთილი ტერიტორია. მას აქვს გარკვეული მთლიანობა და გამოყოფენ სამ ძირითად მახასიათებელს: 1) შეზღუდული ტერიტორია პროდუქციის შინაარსით, ბუნებრივი და შრომითი რესურსებით; 2) სპეციალიზაცია გარკვეული სახის საქმიანობაში; 3) დამახასიათებელი გარე და შიდა კავშირები[36]. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინება ტერმინის განმარტებისას მნიშვნელოვანია.

ზოგჯერ რეგიონის განსაზღვრის საფუძვლად მიიჩნევენ საზღვრებსა და შრომის განაწილებას [41]: „რეგიონი - ტერიტორიული ორგანო, რომელსაც მკაფიოდ აქვს განსაზღვრული ადმინისტრაციული საზღვრები, რომლის ფარგლებშიც ხდება მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად სოციალური და ეკონომიკური პროცესების რეპროდუქცია, რეგიონის ადგილის გამო შრომის ტერიტორიული და სოციალური დაყოფის სისტემაში” [193, გვ. 13]. ამ ფორმულირებაში კი აქცენტირებულია რეპროდუქციული პროცესები, რაც, ჩვენი აზრით სოციალური განვითარების ზოგიერთი კუთხით ანგარიშგასაწევია.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ავტორთა მიერ რეგიონული ურთიერთობების მასშტაბებში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებაც. კერძოდ, „რეგიონი არ არის მხოლოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ქვესისტემა, არამედ შედარებით დამოუკიდებელი ნაწილია, სრული რეპროდუქციის ციკლით, რეპროდუქციის სტადიების გამოვლინების სპეციალური ფორმებით და სოციალურ და ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის სპეციფიკური მახასიათებლებით” [199, გვ.13].



ჩვენი აზრით, რეგიონში უნდა განვასხვავოთ ეკონომიკური საქმიანობის რამდენიმე დონე [200, გვ.7]:

- „მეგა დონე - გლობალური მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობები;
- მაკრო დონე - ეროვნული ეკონომიკა (ნებისმიერი ქვეყნის, სახელმწიფოს ეკონომიკა);
- მეზო-დონე - რეგიონული ეკონომიკა. ზოგიერთი მეცნიერი აქ განიხილავს რეგიონულ კორპორაციულ ეკონომიკას.
- მიკრო დონე - მუნიციპალიტეტებისა და ორგანიზაციების ეკონომიკა (საწარმოები, ფირმები, კომპანიები, ინსტიტუციები);
- მინი დონე - ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების ეკონომიკა;
- ნანომასშტაბი - ინდივიდების ეკონომიკა - პერსონალი, მესაკუთრეები, მენეჯერები, საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და სტრუქტურის აქციონერები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე რეგიონის ოთხი პარადიგმაა აღიარებული. რეგიონი როგორც კვაზი სახელმწიფო; რეგიონი, როგორც კვაზი-კორპორაცია; რეგიონი, როგორც ბაზრის ტერიტორია; რეგიონი, როგორც საზოგადოება.

რეგიონი, როგორც კვაზი-სახელმწიფო, არის სახელმწიფოს შედარებით ცალკეული ქვესისტემა. ასეთი რეგიონები კონცენტრირებენ მნიშვნელოვან ფუნქციებსა და ფინანსურ რესურსებზე.

რეგიონი - კვაზიკორპორაცია არის საკუთრების და ეკონომიკური საქმიანობის დიდი სუბიექტი. ამ თვალსაზრისით, რეგიონები კონკურენციის საგანია სხვადასხვა საბაზრო სეგმენტში. რეგიონებს, უფრო მეტი მასშტაბით, ვიდრე თანამედროვე კორპორაციებს, მათი განვითარებისათვის აქვთ მნიშვნელოვანი რესურსის პოტენციალი. დღეს, მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ცენტრიდან რეგიონში გადატანა, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველია.

რეგიონს, როგორც ბაზარს, აქვს გარკვეული საზღვრები და წარმოადგენს სხვადასხვა ბაზრის რეგიონულ მახასიათებლებს.

რეგიონი, საზოგადოების როლში, ყურადღებას ამახვილებს სოციალური ცხოვრების რეპროდუქციაზე, დასახლების სისტემისა და ინფრასტრუქტურის

განვითარებაზე. წარმოდგენილი მიდგომა უფრო ფართოა, ვიდრე ეკონომიკური და გავლენას ახდენს რეგიონული საზოგადოების ცხოვრების სოციალურ, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა მრავალ ასპექტზე, რაც მეცნიერთა მიერ იმთავითვე იყო გათვალისწინებული.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ რეგიონს, როგორც სისტემას, აქვს მხედველობაში მისაღები განსაკუთრებული თვისებები. მათ შორისაა რეგიონული სისტემის საიმედოობისა და ეფექტური განვითარების შესაძლებლობები. მათი ძირითადი თვისებებია:

- ალბათობა, რადგან რეგიონში კომპონენტების რაოდენობრივი შემადგენლობა და მათ შორის წარმოქმნილი ურთიერთობები, არ შეიძლება წინასწარ საიმედოდ და ზუსტად იყოს განსაზღვრული;

- დაყოფა ქვესისტემებად, რომლებიც ერთმანეთთან თვისობრივ და საქმიან კავშირშია;

- სისტემის იერარქიული ნაწილები, რაც უზრუნველყოფს გარე გავლენის ეფექტურ მართვას;

- დინამიზმი- მდგომარეობის, მიდგომებისა და განვითარების მენეჯმენტის შეცვლის შესაძლებლობები.

- სტაბილურობა.

- ინოვაციურობა- თვისობრივად ახალი ფენომენის წარმოქმნის შესაძლებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის გამორჩეულ კომპონენტებს აქვთ სხვადასხვა დონის საიმედოობა სივრცესა და დროში. ნებისმიერი რეგიონის სტრუქტურული და ობიექტური შინაარსი არის ურთიერთდაკავშირებული ტერიტორიული კომპლექსი, რომელიც შედგება სხვადასხვა ქვესისტემებისგან და ხასიათდება ქვეყნის პოტენციალის სოციალური, სამრეწველო, ეკონომიკური, ბუნებრივი რესურსებით, ადმინისტრაციული და სხვა თვისებებით[15].

საილუსტრაციოდ წარმოდგენილი განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მეზოს მასშტაბის რეგიონი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ სისტემად, თავისი ბუნებრივი ურთიერთობებით და სხვადასხვა ქვესისტემით.

საერთაშორისო ორგანიზაციები, მ.შ. სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მსოფლიო ეკოლოგიური ფორუმის პროგრამები, საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ქვესისტემები, რომლებიც ახასიათებს რეგიონის ეკონომიკურ, ინვესტიციურ, პოლიტიკურ, ინოვაციურ, კონკურენტუნარიანობის და ადამიანურ რესურსებს. კერძოდ:

- ძირითადი ქვესისტემა, მათ შორის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები; ბაზრის სახეობა და მონოპოლიზაციის ხარისხი; ბაზრები: საკვები, რესურსები, კაპიტალი, შრომა; წარმოების სპეციფიკა; ინტეგრაციის დონე და პროდუქციის დივერსიფიკაცია.

-სპეციალური ქვესისტემა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივ თავისებურებებს, კლიმატური პირობები, ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა; რეგიონული წარმოების მახასიათებლები; მწარმოებლები, მომხმარებლები, ბაზრების მახასიათებლები, რეგიონული პოლიტიკა.

- კონკრეტული ქვესისტემა, რომელიც ასახავს რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის შინაარსს, შესვლის ბარიერები, საწარმოთა მატერიალური და ტექნიკური ბაზა, ფინანსური მდგომარეობა, ტექნოლოგიური მხარდაჭერა; მენეჯმენტისა და შრომის უნარის დონე, კონტროლის სისტემები.

რეგიონულ საკითხებზე მომუშავე ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი დიდ ყურადღებას უთმობს რეგიონულ მოწყობას, ბუნებრივი, შრომითი, ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, საწარმოო ასპექტების, ბიზნესის სტრუქტურას, დარგობრივ თანაფარდობას, ცხოვრების დონის გაუმჯობესების შესაძლებლობის გამოყენებას და სხვა საკითხებს[4;16;17;20;25;42;45;52;80;92]. ამასთანავე, გვთავაზობენ მოსაზრებებს საგარეო ურთიერთობების, ერთობლივი საწარმოების, ბაზრის მოწყობის, დემოგრაფიული პროცესების მართვის, რესტრუქტურიზაციისა და მმართველობის ლიბერალური ფორმების გამოყენების უპირატესობებზე [98;97;95;87;88;82]. აღნიშნულ მოსაზრებებს ვითვალისწინებთ და ვეყრდნობით ჩვენს კვლევაში, რის საფუძველზეც შემუშავებულია წინადადებები და რეკომენდაციები, მოცემულია ანალიზი და სათანადო დასკვნები.

რეგიონულ დონეზე გამოვყოფთ შემდეგ ძირითად ქვესისტემებს:

- ბუნებრივი რესურსების;
- ადამიანური რესურსების;
- ეკონომიკური და ფინანსური რესურსების;
- წარმოების რესურსების;
- საბაზრო სექტორების;
- ინოვაციურობის;
- სოციალური რესურსების;
- საგარეო კავშირურთიერთობების შესაძლებლობები;
- ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსები.

დამახასიათებელი თვისებების, თავისებურებების და მახასიათებლების მრავალფეროვნება, ბუნებრივია, ართულებს რეგიონის სტრუქტურას, სრულყოფილად ასახოს ეკონომიკური, სოციალური, ადმინისტრაციული და სხვა ქვესისტემები ერთიან განსაზღვრებაში. ამასთანავე, განხილულ მოსაზრებათა განზოგადება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ისეთ მნიშვნელოვან სისტემურ კომპონენტს, როგორცაა „პოტენციალის არსებობა და მდგომარეობა“, ეს კი მოიცავს ნედლეულს, წარმოებას, ენერჯიას, ფინანსებს, ინვესტიციას, პერსონალს, სამეცნიერო, ინტელექტუალური, ორგანიზაციული, მენეჯმენტისა და რეგიონის საერთო პოტენციალის სხვა ტიპებს. ისინი ხშირად დამოკიდებულია ბუნებრივ გეოგრაფიულ, ისტორიულ, დემოგრაფიულ პირობებზე და ჩამოყალიბებულია გარკვეული პერიოდისათვის არსებული სპეციალიზაციით, შრომის სოციალური დანაწილებით.

დღეს არსებობს მოსაზრებით, რეგიონი განიხილება როგორც სისტემა, რომელსაც აქვს არაერთი შესაძლებლობა, არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი ურთიერთობების მოგვარებისა, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონული სისტემის უსაფრთხოების და კონკურენციის გაუმჯობესებას[83].

ამრიგად, ეროვნულ ეკონომიკაში რეგიონის როლის განსაზღვრისას ვლინდება სისტემური მიდგომების არაერთი შესაძლებლობა. კერძოდ:

1) განიხილოს რეგიონი, როგორც ერთიანი მთლიანობის ქვესისტემა, რომლის როლშიც მოქმედებს სახელმწიფო. სახელმწიფო არის ერთიანი მთლიანობა, რომელიც ჩამოყალიბებულია მისი შემადგენელი რეგიონების მიერ. თითოეულ რეგიონს თავისი წვლილი შეაქვს ეროვნულ ეკონომიკაში თავისი პრიორიტეტის შესაბამისად;

2) ჩამოაყალიბოს სტრუქტურა, შემადგენლობა, მისი საზღვრები, განსაზღვროს მათი მიზანი.

3) გაითვალისწინოს სისტემის ნაწილებს შორის არსებული ურთიერთობები და ურთიერთქმედებები, მათი გავლენა მისი საქმიანობის შედეგებზე. განსაზღვროს სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობები.

4) გაითვალისწინოს სისტემის გარე პირობები, განსაზღვროს გარემოზე ზემოქმედების ხარისხი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბები;

5) დაადგინოს ფაქტორები და კრიტერიუმები, რაზეც დამოკიდებულია სისტემის მოქმედება და მისი ეფექტურობა.

## 1.2. სინერგიული ფაქტორები რეგიონის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში

სინერგეტიკა არის მეცნიერების ის დარგი, რომელიც სწავლობს თვითორგანიზაციის პროცესების ზოგად კანონებს მრავალფეროვანი ხასიათის სისტემებში. გ. ჰაკენის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება „სინერგეტიკა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან სინერჯიკო და ნიშნავს ერთობლივი ან თანამშრომლობითი მოქმედების შესაძლებლობებს. თვითორგანიზება არის სისტემის უნარი, რომ შეიძინოს მრავალფეროვანი სტრუქტურა, დამახასიათებელი გარეგანი გავლენის გარეშე, ანუ ის ეფექტი, რომელიც სისტემაში მყარ სტრუქტურას ან ფუნქციონირებას ახდენს [213,29].

სინერგეტიკული განვითარების კონცეფციის თანახმად შესწავლილი უნდა იქნას ზრდის, განვითარებისა და ევოლუციის კატეგორიები. ეს ფაქტი განპირობებულია ფილოსოფიური მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, და სამწუხაროდ, სწორედ სისტემის თეორიისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისის უგულვებლყოფა, შეუძლებელს ხდის მათ ადეკვატურ გამოყენებას პრაქტიკაში. გ. ჰაკენი ნაშრომში "სინერგეტიკა"

გვთავაზობს "განვითარების" კატეგორიის საკითხის და ცნობიერების რეგულარული შეცვლის მიმართულების შეუქცევადი პროცესის გაგებას, რომელსაც აქვს უნიკალური თვისება, რაც მას შესაძლებლობას აძლევს შეიძინოს ახალი თვისობრივი ობიექტის მდგომარეობა, დამახასიათებელი სპეციფიკური სტრუქტურა ან შემადგენლობა [213, გვ. 29]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ შეხედულებასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ განსაზღვრებაში საჭიროა გარკვეული კორექტირება. პირველ რიგში, ღია სისტემების შეცვლის პროცესები შეუქცევადია და მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა არსებობს, ჯერ კიდევ არის დახურული სისტემები, რომლებშიც შეინიშნება შექცევადი ცვლილებები. მეორეც, განვითარების შედეგად, იცვლება არა მხოლოდ სისტემის სტრუქტურა, არამედ მისი ქცევა და ფუნქციონირება. განვითარების სისტემურ და ზოგიერთ სინერგეტიკურ დეფინიციებშიც, ნაკლოვანებების მიზეზით მისი უპირატესობა ხშირად ვერ ხდება აღქმადი [205, გვ. 27].

შესაბამის ლიტერატურაში რეგიონული განვითარების ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებებია:

მკვლევართა პირველი ჯგუფი განვითარებას განიხილავს ახალი მიზნების განხორციელებით, ცვლილების მიზანმიმართულობით, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი პირობა.

მეორე ჯგუფი განვითარებას განიხილავს როგორც გარე და შიდა გარემოში ადაპტაციის პროცესს, რაც, სავარაუდოდ, აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი.

მესამე ჯგუფი, განვითარების წყაროს განიხილავს შეცვლილად ანუ წარმოიქმნება სისტემის შეუთავსებლობა.

მეოთხე - განვითარებას ახასიათებს ისეთი კატეგორიით, როგორცაა პროგრესი და ევოლუცია [122].

განვითარების პროცესი შეიძლება იყოს რეგრესული და პროგრესული, რაც გამოიხატება რევოლუციური ან ევოლუციური ფორმით. თვითორგანიზაციის თეორიაში, რევოლუცია განიხილება როგორც ნახტომი, ფაზური გადასვლა ან კატასტროფა. საკამათო არის თვალსაზრისი სისტემის ევოლუციის შესახებ, რომელიც

ხასიათდება სისტემის ზრდით, პროგრესირებით ან რეგრესიით, და, ზოგადად, ის უბრალო რაოდენობრივ გარდაქმნებამდე მიდის. ევოლუციის პროცესი განვითარების ფორმაა, რომელსაც ახასიათებს თვისობრივი გარდაქმნები და, სავარაუდოდ, რაოდენობრივი თანდათანობითი ტრანსფორმაციის პროცესი არ გამოიყენება ამ კონცეფციისთვის. ამრიგად, ჩვენი აზრით, ევოლუცია არის მაღალი ხარისხის თანმიმდევრული პროგრესული ტრანსფორმაციის პროცესი, ხოლო რევოლუცია, პირიქით, მაღალი ხარისხის სწრაფი და ეტაპობრივი ტრანსფორმაციის პროცესია.

შედეგად, ჩვენ მივიღეთ სინერგეტიკის ისეთი ცნებების კორელაციის პრობლემა, როგორცაა „თვითორგანიზაცია“, „წონასწორობა“, „ორგანიზაცია“ , „განვითარება“, „ზრდა“.

შევეცდებით წარმოვადგინოთ თითოეულის ეკონომიკური არსი და გაგება: თვითორგანიზება - სისტემაში წესრიგის დამყარება, თანაარსებობა მოქმედებისა და მის კომპონენტებს შორის ურთიერთდაკავშირების გზით, მისი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. თვითორგანიზება ხელს უწყობს დროებითი, სივრცითი ან ფუნქციური სტრუქტურის გარდაქმნას. პროგრესული განვითარების თვითორგანიზების სისტემას უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი მოთხოვნები:

სისტემის ღიაობა, ე.ი. ენერჯის, მატერიის ან ინფორმაციის გარემოსთან გაცვლის შესაძლებლობა;

- სისტემის თანამშრომლობა, ანუ ერთმანეთთან კომპონენტების თანმიმდევრულობა;

- სისტემის დინამიზმი, ანუ დისბალანსის მდგომარეობაში ყოფნა.

ფუნდამენტურ როლს ასრულებენ არაწარმოებრივი და გახსნილობის პირობები, წონასწორობის ფაქტორები, სხვა პირობები თითქმის ავტომატურად ხორციელდება.

წონასწორობა არის დახურული სისტემის ფუნქციური მდგომარეობა, რომელიც აკმაყოფილებს მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობის პირობებს, ე.ი. პრაქტიკაში, არსებული სტრუქტურა უცვლელი რჩება; მისი გამოყენება და შედეგები არ იცვლება. წონასწორობა შეიძლება იყოს როგორც სტაბილური (სტაციონალური), ასევე, მობილური. სტაბილური წონასწორობა არის სისტემის მდგომარეობა,

როდესაცგარე ან შიდა ფაქტორებმით მიღებულმა შედეგმა ვერ შეძლო სისტემის წონასწორობის უზრუნველყოფა და სისტემა ბრუნდება თავის ადრინდელ მდგომარეობაში. მობილური (არასტაბილური) წონასწორობა - სისტემის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მასში პარამეტრების ზემოქმედებით, რაც დროთა განმავლობაში იწვევს იმავე მიმართულებით მის შემდგომ ტრანსფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, წონასწორობის მდგომარეობა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დახურულ სისტემას, რომელსაც გავლენა არ აქვს გარე გარემოზე, ხოლო ღია სისტემას შეუძლია ჰქონდეს წონასწორობის მდგომარეობა მხოლოდ "ერთჯერადი" მუდმივი გარდაქმნების შედეგად.

წონასწორობის სისტემებს არ გააჩნიათ განვითარების უნარი და არც თვითორგანიზების პროცესის უნარი, რადგან ისინი მოწოდებული არიან შეწყვიტონ ნებისმიერი გადახრა მათი სტაბილური მდგომარეობიდან, ხოლო თვითორგანიზება და განვითარება თვისობრივ ცვლილებებზეა გათვლილი. ციკლურობისა და არათანაბრობის პროცესი მატერიის ორგანიზების უნივერსალური ფორმაა, რომელიც გარე გარემოზე ზემოქმედების ქვეშ ჩნდება. Nonequilibrium (არაწონასწორობა) - ღია სისტემის მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სისტემის შემადგენლობის, სტრუქტურისა და ქცევის მაკროსკოპული ცვლილება. რაც იმას ნიშნავს, რომ არათანაბარი სისტემის საშუალებით, შესაძლებელს გახდის, გაზარდოს მისი მოწესრიგება და ორგანიზებულობა, აღადგინოს წონასწორობა.

ცნობილია, რომ თვითორგანიზების სისტემას აქვს ოთხი ძირითადი მნიშვნელობა (თვისება) [205, გვ.27]:

1) **სირთულე.** თვითორგანიზების სისტემები რთულადაა მიჩნეული, თუ მათი ნაწილები ერთმანეთთან დაკავშირებულია მუდმივად ცვალებადი ურთიერთობებით. ამ ნაწილებს შეუძლიათ შეცვალონ საკუთარი თავი ნებისმიერ დროს. სირთულე გამორიცხავს როგორც სრული აღწერილობის შესაძლებლობას, ასევე, სისტემების ქცევის პროგნოზირებას.

2) **თვითრეგულირება.** თვითორგანიზაციის სისტემები თვითრეგერენტულია და აჩვენებს ოპერაციულ დახურვას. რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემის ნებისმიერი ქცევა გავლენას ახდენს საკუთარ თავზე და არის შემდგომი ქცევის საწყისი წერტილი.



თვითრეგულირება არ ეწინააღმდეგება სისტემის ღიაობას. ენერჯის ან მასალების ნაკადის მხრივ, გარემოსთან ურთიერთობა შესაძლებელია და უზრუნველყოფს სისტემის საზღვრების დაცვას. თვითრეგულირება დახურული სისტემები არ ექვემდებარებიან პირდაპირ გავლენას გარედან. გარეგანი გავლენა ჩარევის ხასიათსაა. თავად სისტემები გადაწყვეტენ, თუ რომელი გარეგანი ზემოქმედებაა მისაღები მიზნების მისაღწევად.

3) **სიჭარბე.** თვითორგანიზების სისტემებში ორგანიზებულ, განვითარებულ ან მართულ ნაწილებს შორის არ არსებობს დაყოფა ორგანიზატორი, განვითარება ან მენეჯმენტი. ასევე, სისტემის ყველა ნაწილი, შესაბამისად, ყველა მონაწილე, პოტენციური დეველოპერია. როგორც მოქნილობის მთავარი წინაპირობა, სიჭარბე არის მნიშვნელოვანი საფუძველი ეკონომიკების გადარჩენის შესაძლებლობისთვის რთულ და დინამიურ გარემოში. ორგანიზაციის დოქტრინაში, სიჭარბე ხშირად შედარებულია რესურსების გადაჭარბებასთან. ასე რომ, თანამშრომლებს დავალების შესრულებისათვის საჭირო უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ. ასეთ დროს მათ შეეძლება უპრობლემოდ ერთმანეთის შეცვლა, რითაც გაიზრდება ადაპტაცია-ჩანაცვლების უნარი და ამით საწარმოს მოქნილობა.

4. **ავტონომია.** თვითორგანიზების სისტემები ავტონომიურია. თითოეული ავტონომიური სისტემა ორგანიზაციულად დახურულია. მართვა ხორციელდება თავისთავად, თუმცა, სრული დამოუკიდებლობა არ ვლინდება. მატერიალური და ენერჯის გაცვლის ურთიერთობები გარემოსთან კვლავაც არსებობს. სისტემები მათში შემავალი გარემოს („ეკონომიკური“) სისტემის ნაწილია. მაშასადამე, ისინი არ შეიძლება იყვნენ მთლიანად ავტონომიური; ავტონომია ვრცელდება მხოლოდ გარკვეულ კრიტერიუმებზე, რაც არ არის ჩამოყალიბებული გარედან. მართული და განვითარებული სისტემები ხშირად ექვემდებარებიან ძლიერ გარე გავლენას (რესურსები, ბაზრები, ტექნოლოგია და ა.შ.). არ არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ რეაგირებს სისტემა ასეთ სტიმულატორებზე და როგორ ხდება მისი მოგვარება. ეს ძირითადად დამოკიდებულია თავის თავზე. სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობის შენარჩუნების მიზნით, რთული სისტემები იძულებულნი არიან მოერგონ არაპროგნოზირებად ცვალებად გარემოს.

რეგიონალურ ეკონომიკასთან მიმართებაში, მიიჩნევა, რომ ეკონომიკური პროცესები წონასწორობის მდგომარეობის უმნიშვნელო გადახრებით არის განპირობებული, რომელთა აღწერა მხოლოდ სინერგეტიკისა და თვითორგანიზაციის პოზიციიდან შეიძლება. აქ, გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება, როგორც სისტემურ-სინერგეტიკური პროცესი, მოიცავს როგორც ევოლუციურ, ისე რევოლუციურ პროცესებს, ხაზოვან და არაწრფივ პროცესებს, სტაბილურობასა და არამდგრადობას. ასევე, არაერთ სხვა პროცესსაც, რომელთა აღწერაც შეუძლებელია მწირი საინფორმაციო ფონის გამო.

სინერგია და სინერგიულობა არის მენეჯერებისადმი დიდი ინტერესის ობიექტი, რადგან მათი თანამშრომლობით განპირობებული დადებითი ეფექტი მნიშვნელოვნად აჭარბებს ორგანიზაციების საერთო მმართველობით შედეგებს, რომელიც გამოითვლება ცალკეული საქმიანობის, თითოეული დივერსიფიცირებული სფეროს ეფექტურობის დონით. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სინერგიზმი არის დივერსიფიცირებული და მულტიდისციპლინარული სტრუქტურების ფორმირების წინაპირობა.

სინერგიული ეფექტი არის ეკონომიკური სისტემისა და კომპანიის მრავალფეროვანი სფეროების დონეების საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების უმეტესი ნაწილი. არაერთი მეცნიერისა და ბიზნესის წარმომადგენლის ძალისხმევა ფოკუსირებულია სინერგიული ეფექტის თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთობის შესწავლაზე. ეს აიხსნება შემდეგით:

სისტემას შეუძლია სხვადასხვა დროს ინტეგრირება მოახდინოს იმ მიმართულებებთან, რომლებიც კოორდინაციას უწევენ რეგიონის ძირითად რესურსებს. მაგალითად, სინერგიული ეფექტის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს მასშტაბის ეკონომია. ამ შემთხვევაში, მთელი რიგი საქმიანი ერთეულების ჯამური ხარჯები სხვადასხვა სახის საქმიანობისთვის უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ამას, ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განახორციელებენ.

მეორეც, კონკურენტუნარიანი უპირატესობაა გარკვეული უნარების კოლექტიური ფლობა, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების გადაცემის პროცესი, მართვის ახალი ეფექტური მეთოდების ორგანიზება და ა.შ.

არსებობს ამ ტერმინის მარტივი და უფრო დეტალური ინტერპრეტაცია. ეკონომიკურ კვლევაში გამოყენებული სინერგიზმის პირველი კონცეფცია ხასიათდება პროპორციულობის დარღვევით. მეორენი, სინერგიულ ეფექტს ახასიათებენ შესწავლილი ობიექტების განვითარების არაწრფივი დინამიკის არსებობით. ეს კითვალისწინებს სპეციალურ გარდამავალ პროცესებს, როდესაც სისტემის უკეთეს მდგომარეობაში გადასვლა გარდაუვალია მისი მდგომარეობის გაუარესების ფაზის მეშვეობით[213].

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ კონცეფციის ორივე განმარტება: პირველი, შევავსოთ ეს ეფექტი, გაანალიზებული სისტემის მდგომარეობის შედარებით, თანამშრომლობის დაწყებამდე და შემდეგ. მეორე არის თანამშრომლობის შუალედური სტადიების შეფასება, როცა ჯერ თანამშრომლობის კავშირების განვითარების ხარჯები განისაზღვრება. შემდეგ კი, გარკვეული შეფერხებით რეალიზდება თანამშრომლობის ეფექტი. ყველა სახის სინერგია და კონცეფციათა ფართო სპექტრი ხელსაყრელი წინაპირობაა კვლევისთვის. ამდენად, სინერგიული ეფექტი სტრატეგიული პერსპექტივის ეფექტია.

სინერგიისადმი, როგორც კორპორტიული სტრატეგიისადმი განპირობებული ინტერესი გაჩნდა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში. ამ პერიოდის განმავლობაში, სტრატეგიის შემუშავებისას მართვის დივერსიფიკაციაში სინერგიის გამოყენების უპირატესობაა -"საერთო თემა". პრაქტიკულად, ეს საშუალებას აძლევს რეგიონს თუ კომპანიას, გამოიყენოს არსებული უპირატესობები სხვა ინოვაციურ საქმიანობაში.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდა ყოველთვის იყო რეგიონული სისტემების მთავარი მიზანი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სინერგია, რეგიონული ხელისუფლების უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. სინერგიზმი ასახავს უამრავ პოტენციურ უპირატესობას. პრაქტიკული თვალსაზრისით კი მთავარი ეკონომიკური სისტემებისათვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობის დადგენაა.

სინერგეტიკური ეფექტების გამოყენების გარკვეული სფეროების ანალიზმა სტრატეგიის შემუშავებისას, ყურადღება მიიპყრო იმ მიდგომებზე, რომლებმაც განაპირობეს სწრაფი ზრდის პერიოდი.

ამ მიმართულებით შესაბამისი დასკვნებისათვის საჭიროა გავანალიზოთ რესურსების გამოყენება. პრიორიტეტად განიხილება ორი სახის რესურსი: ხელშესახები ანუ მატერიალური და არამატერიალური. ეს უკანასკნელი უხილავი აქტივებია მათი ბუნებრივი თვისებების გათვალისწინებით, რომლებიც რეგიონის კონკურენტული უპირატესობების ოპტიმალური გრძელვადიანი წყაროა.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის მთავარი მიზანი რესურსების ეფექტური და რაციონალური გამოყენებაა. მატერიალური რესურსების გამოყენების ტემპის ზრდა შეიძლება იყოს ეკონომიკის ზრდის ძირითადი მექანიზმი. სინერგეტიკული ეფექტი არის მახასიათებელი, რომელიც ასახავს ინვესტიციის, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სტრატეგიების, პროგნოზირების ან განვითარების უპირატესობების ინტეგრირებულ რაოდენობრივ შეფასებას [219, გვ.172].

საინტერესოა სინერგეტიკული მიდგომების თავისებურებები ეკონომიკური მასშტაბების პრინციპებთან მიმართებაში. კერძოდ:

1. თვითორგანიზაციის პროცესები ხდება მხოლოდ რთულ ღია სისტემებში, რომლებშიც მუდმივად ცირკულირებს ფულის, რესურსების, ინფორმაციის და ა.შ. ნაკადები. გასათვალისწინებელია, რომ რთული სისტემის გახსნილობა იწვევს უამრავ არაწრფივ ეფექტს, რომლებიც საფუძვლიანად არ არის შესწავლილი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში .

2. ეკონომიკური პროცესების დისბალანსი. ზედმეტად სტაბილური ფორმები განაპირობებს სტატიკურობას, რადგან ისინი არ ექვემდებარებიან ევოლუციის შემდგომ პროცესს. თეორიულად, წონასწორობის მოდელი ეფექტიანია, თუმცა პრაქტიკაში არაგამართლებული, რამდენადაც კონკურენციის პირობებში მხოლოდ სტაბილურობაზე ორიენტირება განაპირობებს ეკონომიკური „თამაშებიდან“ ერთგვარ „ამოვარდნას“.

3. ეკონომიკური ევოლუციის შეუქცევადობა. სრულყოფილი “არჩევანი” განსაზღვრავს ევოლუციურ განვითარებას და არ იძლევა შესაძლებლობას სხვა, ალტერნატიული გზით, ევოლუციური პროცესი შეუქცევადი გახადოს.

4. ეკონომიკური ტრანსფორმაციის არაწრფივობას განაპირობებს ის, რომ ეკონომიკური სისტემის რეაქცია შიდა ან გარე გარემოს ტრანსფორმირებაზე არ არის

მიმდინარე ცვლილებების პროპორციული. ეკონომიკური სისტემები შეიძლება ზემოქმედებდნენ რეგიონებზე, რომლის დროსაც მკვეთრად იცვლება ის ძირითადი კანონები, რომლებიც ამ სისტემის შემდგომ განვითარებას განეკუთვნება.

5. ეკონომიკური მიზნების ორაზროვნება. არაწრფივი გარემო ხასიათდება ერთდროული და მრავალჯერადი პროცესის განვითარების ვარიანტებით. სინერგეტიკის თვალსაზრისით, მომავალი სავარაუდო და ორაზროვანია, მაგრამ მართვადი. სინერგეტიკის გარკვეული მეთოდების ფლობა ნიშნავს, რომ შევძლოთ ამ მიზნებისათვის საჭირო ძირითადი პარამეტრების პოვნა და ანალიზი.

რეგიონმა, როგორც ეკონომიკური სისტემის ეფექტური მართვის ორგანიზაციამ, სინერგეტიკული მიდგომის თვალსაზრისით, უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი კონცეპტუალური დებულებები:

1. რეგიონის ეკონომიკის განვითარების ძირითადი საკითხები განუყოფელია რეგიონის ორგანიზაციისგან. რეგიონი არის საშუალო მასშტაბის თვითორგანიზებული ეკონომიკური სისტემა. მასში მომხდარი ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია შინაგანი ძალებით, გარე ძალები ამას სრულად არ განსაზღვრვენ.

2. კონტროლის პროცესი თითქმის ყოველთვის სისტემური ხასიათისაა და ერთ ქვესისტემაზე გავლენა ყოველთვის აისახება იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც მიიღება სხვა ქვესისტემებში.

3. მენეჯმენტზე ორიენტირებული სამეცნიერო მიდგომა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მართული სისტემა დაბალანსებულია გარე და შიდა ფაქტორებთან მიმართებაში. თუ სისტემა აშკარად არათანაბარია, მაშინ ამოქმედდება არაწრფივი ხასიათის კანონები- სისტემის რეაგირება ყოველთვის არ არის პროპორციული მასზე მოქმედ ძალაზე.

4. არაპროგნოზირებად ვითარებაში მენეჯმენტი რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს ახალი ალტერნატივების ძებნას. მენეჯმენტის ეს ალტერნატივები უნდა ემყარებოდეს სოციალური ძალების გააქტიურებასა და იმ ფასეულობებს, რომლებიც საზოგადოების განვითარებას უზრუნველყოფს.

ამრიგად, ეკონომიკური სისტემებისადმი სინერგიული მიდგომის კონცეპტუალური საფუძვლების გათვალისწინებით, აუცილებელია არაერთი ცვლილების შეტანა:

- შემდგომი გამოკვლევა შეუძლებელია მხოლოდ სისტემის ან სინერგეტიკული ანალიზის თვალსაზრისით. აუცილებელია ეგრეთწოდებული სისტემურ-სინერგეტიკური მიდგომის გამოყენება, შესაძლო ყველა დადებით ასპექტის გათვალისწინებით.

- შემოთავაზებული სისტემურ-სინერგეტიკული მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო დეტალურად და ეფექტურად გავანალიზოთ რეგიონი, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტების იდენტიფიკაციით;

- რეგიონი სისტემურ-სტრუქტურული მიდგომით წარმოადგენს საშუალო სისტემის მასშტაბის ღია ეკონომიკურ სისტემას.

- რეგიონი, არსებული ეკონომიკური სისტემის მიმართ იმყოფება მობილური წონასწორობის მდგომარეობაში, სადაც სისტემის პარამეტრების ცვლილება განსაზღვრავს მათ შემდგომ მოდიფიკაციას იმავე მიმართულებით და შეიძლება გაიზარდოს დროის ინტერვალით.

- რეგიონის თითოეულ ქვესისტემას ახასიათებს გარკვეული ტიპის რესურსი, რაც განსაზღვრავს ამ კომპონენტის განვითარების პოტენციალს;

თანამედროვე ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მრავალი კონცეფცია და თეორია არსებობს. თითოეულ სამეცნიერო მიდგომას აქვს საკუთარი კონტექსტი და ადექვატურად გამოყენება.

დღევანდელ სინამდვილეში, სისტემურ-სინერგიული მიდგომა ხელს უწყობს იმის გარკვევას, თუ რა იმალება ტრადიციული მიდგომების ჩარჩოებს მიღმა და ამკარად იძლევა პასუხს დროის გამოწვევაზე.

### 1.3. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და რესურსული ფაქტორები

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში „რესურსი“, „შესაძლებლობები“ და „კომპეტენციები“ ფუნდამენტური და სავალდებულო ცნებებია.

რესურსული პოტენციალის როლისა და მნიშვნელობის შესახებ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პოტენციალის გამოყენების საკითხი პრიორიტეტულ ხასიათს იძენს მე-20 საუკუნის ბოლოდან [185.94]. რესურსული კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური სისტემების დამახასიათებელი ჰეტეროგენულობა შეიძლება მდგრადი იყოს, სისტემაში უნიკალური რესურსებისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების არსებობის გამო. როგორც ეკონომიკური საქმიანობის წყარო, ისინი განსაზღვრავენ კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას. რეგიონალური ან ინდუსტრიული თვალსაზრისით, მისი გამოყენება უნდა შემოიფარგლოს იმ ფაქტორებით, რომლებიც კონკურენტებს კონკურენციას უწევს არსებული ძირითადი ბუნებრივი უპირატესობების ფარგლებში. რესურსის მიდგომის თვალსაზრისით რეგიონში კომპნიების მაღალი მოგება მიიღწევა ან დაბალი ხარჯების გამო, ან საქონლისა და მომსახურების უკეთესი ფუნქციონალური მახასიათებლების შეთავაზებით. ეს მიდგომა ემყარება პრინციპს, რომელიც ჩამოყალიბებულია რეგიონში სპეციფიკური აქტივების არსებობის გამო და ის სტრატეგიული კონკურენტული კრიტერიუმების ნაერთს არ წარმოადგენს[123].

რესურსის კონცეფციის სიახლეა იმ პირობათა იდენტიფიცირება, რომლის ფარგლებშიც დინამიური ეკონომიკური წონასწორობით იქმნება კონკურენტული უპირატესობები. რესურსების მიდგომით, პრიორიტეტი ენიჭება ორგანიზაციულ მხარეს, ვიდრე დარგობრივ ფაქტორებს, რომლებიც განსხვავდებიან ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მომგებიანობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ეკონომიკურ საზოგადოებაში, რესურსების კონცეფციამდე, ითვლებოდა, რომ ერთ ინდუსტრიაში მოქმედი ეკონომიკური სისტემები ერთნაირია როგორც რესურსებისა

და განხორციელებული სტრატეგიების თვალსაზრისით. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ დინამიური შესაძლებლობების კონცეფციის შესაბამისად, რეგიონს შესაძლებლობა აქვს არა მხოლოდ გამოიყენოს არსებული უნიკალური რესურსები და შესაძლებლობები, არამედ გააფართოვოს მასშტაბები ამ რესურსების გამოყენებელი კომპანიების სხვა აქტივების ხარჯზე.

რესურსული მიდგომის მეთოდოლოგიური სიახლეა ეკონომიკური სისტემების სტრატეგიების შესწავლაც, რომლებიც ეფუძნება ადმინისტრაციულ, მენეჯერულ, ეკონომიკურ და ორგანიზაციული მართვის იდეებსა და განვითარების პრინციპებს.

სტრატეგიული მენეჯმენტი ემყარება ისეთი უნიკალური მექანიზმების შექმნასა და განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფს რეგიონის შესაძლებლობებისა და რესურსების ეფექტურად და რაციონლურად გამოყენებას. ცნობილია, რომ ეფექტური სტრატეგიის საფუძველია საკუთარი, ორიგინალური ორგანიზაციული კომპეტენციების შექმნა, რაც კონკურენტებისათვის რთულია ან სხვა პირობებში შეუძლებელია მათი ეფექტიანი გამოყენება.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი და მასშტაბები დამოკიდებულია რესურსების განსაკუთრებულობაზე, ხარისხსა და რაოდენობრივ მახასიათებლებზე; საბაზრო სეგმენტებსა და მათი მოქმედების პრინციპებზე; ბაზარზე ვერტიკალური ინტეგრაციის შესაძლებლობებსა და რა თქმა უნდა, სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობაზე, ტექნოლოგიების დანერგვის, ახლი პროდუქციის ათვისების შესაძლებლობებზე და სხვა[123].

ამრიგად, რესურსული მიდგომის კონცეფცია განისაზღვრება იმით, რომ კონკურენტუნარიანი უპირატესობა ემყარება უნიკალური შესაძლებლობებისა და რესურსების ორგანიზებას, რაც საბოლოოდ რეგიონს საშუალებას აძლევს შეიმუშავოს და განახორციელოს პრაქტიკული სტრატეგია, რომელიც არ ექვემდებარება მისი კონკურენტების კოპირებას. ეს ფაქტი განსაზღვრავს რესურსული მიდგომის უფლებას, მიიღოს სტრატეგიული მენეჯმენტის ტრადიციულ თეორიების წარმომადგენლების შეხედულებები პრაქტიკული შესაძლებლობების გამოყენებისათვის.



არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი „რესურსულ“ კონცეფციასთან დაკავშირებით. აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს „რესურსის“, „შესაძლებლობების“ და „კომპეტენციების“ შინაარსი.

სამეცნიერო ლიტერატურაში რესურსების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რომელთა შორის გამოიყოფა:

- ტექნიკური და ტექნოლოგიური რესურსები-აღჭურვილობის მახასიათებლები, ძირითადი და დამხმარე მასალები, ტექნოლოგიები და ა.შ.

- ადამიანური და ორგანიზაციული რესურსები, რომლებიც მოიცავს კვალიფიციურ პერსონალს, აგრეთვე, მენეჯმენტის სისტემის ადაპტირებას გარე და შიდა ფაქტორებთან;

- სივრცითი რესურსები- კომპანიის ტერიტორია, ინფრასტრუქტურა და ა.შ;

- ინოვაციური და ინფორმაციული რესურსები;

- ფინანსური რესურსები;

- ეკოლოგიური რესურსები (მიწა, ბუნებრივი რესურსები და ა.შ.);

- პოლიტიკური და ადმინისტრაციული რესურსი (გადასახადები, სამართლებრივი სტატუსი, საკანონმდებლო ჩარჩო და ა.შ.);

- ინტელექტუალური რესურსი.

რესურსები შეიძლება იყოს შიდა, არამომგებიანი, მომგებიანი, ასევე, მუდმივი, რომლებიც ინტეგრირებულნი არიან ეკონომიკურ სისტემებთან. შესაძლებლობები საშუალებას აძლევს რეგიონს გამოიყენოს მსგავსი რესურსები, როგორც იყენებენ სხვა რეგიონები, მაგრამ მათგან განსხვავებით, ისინი საშუალებას აძლევს მიაღწიონ უფრო დაბალ ხარჯებს და აუმჯობესებენ პროდუქტის ხარისხს [210].

ვფიქრობთ, რომ რესურსი მრავალფუნქციური კატეგორიაა, მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, რომლის ერთობლივი გამოყენებით ეკონომიკურ სისტემას შეუძლია აწარმოოს და გაყიდოს თავისი პროდუქტი, მომსახურება წინასწარ განსაზღვრული სტრატეგიის ფარგლებში.

შესაძლებლობებზე საუბრისას აქცენტი კეთდება ორგანიზაციული ფაქტორების მდგრადი უპირატესობების ფორმირებაზე. რეგიონი წარმატებას ახერხებს არა „საუკეთესო რესურსების“ მფლობელობის გამო, არამედ იმის გამო, რომ აქ არსებულ

ბიზნეს სუბიექტებს აქვთ გარკვეული გამორჩეული უნარი, რაც საშუალებას აძლევს უკეთ გამოიყენონ თავიანთი რესურსები. რა თქმა უნდა, ცენტრალურ ადგილს იკავებს ორგანიზაციული შესაძლებლობები, რაც სხვა ბაზრისათვის თითქმის შეუძლებელია. ასეთი შესაძლებლობებით იქმნება „მენეჯერული კომპეტენციები“, რომელთაც აქვთ უმაღლესი ღირებულება პოტენციური კონკურენტებისთვის მატერიალური ან არამატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის ან მიუწვდომელობისა. ისინი განსაზღვრავენ სისტემის შესაძლო კონკურენტუნარიან უპირატესობებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაძლებლობები არის გარკვეული სახის შიდა რეგიონული რესურსი, რომელსაც ეკონომიკური სისტემა მოაქცევს შექმნილი და მასში დაგროვილი, არსებული ცოდნისა და უნარების გავლენის ქვეშ, აქტიურად გამოიყენებს ეფექტური მართვის პროცესის ორგანიზების, მატერიალური და არამატერიალური რესურსების რაციონალურად მოხმარებისა და განაწილებისათვის.

სწორედ, ამ შესაძლებლობებს აქვთ დადებითი გავლენა მომსახურეობის, წარმოებისა და ბიზნესის განვითარების პროცესზე, საიმედოობისა და ხარისხის ამაღლებაზე, თვით რეგიონის საქმიანობის ოპტიმიზაციაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნარი თავად ხდება კომპანიისაგან განუყოფელი რესურსი.

შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში შესაძლებლობების კატეგორიასთან ერთად, განხილულია „დინამიური შესაძლებლობები“. ის მიზნად ისახავს უნიკალური კომპეტენციების შექმნას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ადრე პრაქტიკადქცეული მექანიზმების კოპირებასა და გარედან სტრატეგიული მოთხოვნების ცვლილებებთან ადაპტაციას. თანამედროვე გარე გარემო მუდმივ ცვლილებებს ექვემდებარება და ეს ფაქტი ეკონომიკურ სისტემას აიძულებს, მუდმივად ადაპტირებადი იყოს წარმოქმნილ ცვლილებებთან. ის საბოლოოდ წარმოქმნის ახალ დინამიურ შესაძლებლობებს. ჩვენი აზრით, ასეთი შესაძლებლობები ფორმითა და შინაარსით არ აღემატება ჩვეულებრივ შესაძლებლობებს, როგორც ეკონომიკური სისტემის გარკვეული შიდა რესურსების ფორმას. ეს ვარაუდი საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ამ კატეგორიის ცალკე განხილვის დაუშვებლობაზე. ასევე, საკამათოა ეკონომიკური სისტემის „შესაძლებლობებისა“ და „კომპეტენციების“ ურთიერთმიმართების

საითხიც. „კომპეტენციები“ წარმოადგენს შესაძლებლობათა გარკვეულ კონფიგურაციას, რომლებიც, რეგიონის რესურსებიდან გამომდინარე, კატეგორიებად იქცევა, მისგან განუყოფელია, რადგან კომპანიისაგან იზოლირებულად, ღია ბაზარზე მათი გაყიდვის მექანიზმი, პრაქტიკაში საკმაოდ რთულია.

ეკონომიკური სისტემის კომპეტენციები, მისი რესურსების შესაძლებლობების ერთად ის შესაძლებლობებიცაა, რომლებიც ასახავს მატერიალური და არამატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების ოპტიმალურ შესაძლო გზებს, ამ სისტემის გარკვეულ ფუნქციურ ნაწილში.

ამდენად, რეგიონის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი კომპეტენციები განუყოფელია სისტემისგან, და მათი სპეციფიკური ნიშნის გამოყენება შეუძლებელია კონკურენტთა მიერ. ძირითადი კომპეტენციები რეგიონის პოტენციალის იმავე რესურსებს იყენებენ, რასაც კონკურენტები, მაგრამ მათთან შედარებით უფრო მეტი ეფექტურობა აქვთ. შესაბამისად, სისტემის საკვანძო კომპეტენციებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ორგანიზაციის გრძლევადიანი სტრატეგიული ორიენტაცია, კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.

ვფიქრობთ, კომპეტენციისა და პოტენციალის კონცეფციათა ურთიერთმიმართება, არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითად პრინციპებს. მთლიანობაში ”პოტენციალის” კატეგორია, ასახავს სისტემის ლატენტური შესაძლებლობების სამ დონეს.

ჯერ ერთი, ის ასახავს სისტემის ფორმირების პროცესში წარსულში დაგროვილი თვისებების მთლიანობასაც და განვითარების შემდგომ შესაძლებლობასაც;

- მეორე, ის ასახავს აწმყოში, არსებული შესაძლებლობების პრაქტიკულ გამოყენებას რითაც განსხვავდება რეალიზებული და არარეალიზებული შესაძლებლობები და იდენტიფიცირდება სარეზერვო სისტემა.

- მესამე, ის ასახავს განვითარების სტაბილური და არასტაბილური მდგომარეობის ერთობლიობას, განვითარების ძლიერ მხართა შესაძლებლობებს.

ამდენად, პოტენციალი არის ანალიზირებული ეკონომიკური სისტემის საერთო შესაძლებლობები, რეალიზებული რესურსების ხელმისაწვდომობის შესაბამისად.

პოტენციური ასახავს განვითარების დონეს, რომელსაც სისტემამ მიაღწია. ამ სისტემის შესაძლებლობები განისაზღვრება რესურსების ეკონომიკურ პროცესში ჩართული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მახასიათებლებით. ურთიერთობების მთავარი მიზანი განისაზღვრება საჭიროებების ძიებითა და ფორმით.

ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება შესაძლებელია გარკვეული პოტენციალის არსებობის პირობებში, რაც არაერთგვაროვნადაა გაგებელი. პოტენციალში მოიაზრებენ შესაძლებლობებს, უნარებს, შესასწავლი ობიექტის დაფარულ და არარეალიზებულ რეზერვებს, რომლებიც, შესაძლებელია, შესაძლებელია გადაიქცნენ შესაძლებლობებიდან რეალურ პოტენციალად.


განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოტენციალის, როგორც რეგიონის ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობის მიდგომა. ეკონომისტთა ნაწილი საწარმოო შესაძლებლობად მიიჩნევს პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი შრომითი და მატერიალური რესურსების ერთობლიობას[16].

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად განიხილავენ რეგიონული პოტენციალის ეკონომიკური ასპექტის არსს. რესურსული პოტენციალის განსაზღვრის მეთოდოლოგიურ საფუძველს, ფაქტორთა თეორიასთან ერთად, წარმოადგენს რეგიონული კვლავწარმოების პროცესის თეორია. ეს უკანასკნელი მოიცავს ყველა სუბიექტის ფაქტორებისა და რეგიონული მეურნეობის პირობების ურთიერთკავშირს. რეგიონული კვლავწარმოებითი პროცესი გულისხმობს შრომითი, ბუნებრივი, ტექნიკური, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური და ინფორმაციული რესურსების კვლავწარმოებას.

ტერიტორიის კვლავწარმოებითი პროცესი განისაზღვრება ენდოგენური (შიდა) და ეგზოგენური (გარე) ფაქტორებითა და პირობებით. კვლავწარმოებას კი განიცდის მთლიანად რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და მისი შემადგენელი ნაწილების პოტენციალიც.

რეგიონის განვითარების პოტენციალის ანალიზისა და შეფასებისას უპირველეს პრობლემას მისი სტრუქტურითაა წარმოადგენს. ამ გაგებით მიზანშეწონილად

მიგვაჩნია მიდგომა, რომელიც რეგიონის განვითარების პოტენციალთა სისტემას განიხილავს სამი ბლოკის სახით (ნახ.1):



ნახ. 1. რეგიონის განვითარების პოტენციალის სტრუქტურა

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

წარმოდგენილი სტრუქტურის პირველი ბლოკი აერთიანებს ტერიტორიის მატერიალურ-ტექნიკურ, ე. ი. საბაზო რესურსულ პოტენციალს.

მეორე, საფინანსო-ეკონომიკური ბლოკი აერთიანებს ლოკალურ პოტენციალს, რომელიც განაპირობებს საბაზო რესურსული პოტენციალის რეალიზაციას.

მესამე ბლოკი ინოვაციურ-ინსტიტუციონალურია. ეს არის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებისადმი მზაობის ბლოკი.

მესამე ბლოკი წარმოადგენს რეგიონის განვითარების პოტენციალის აქტიურ ნაწილს, რომელიც ქმნის პირობებს გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო-ეკონომიკური

მდგენელების შემდგომ განვითარებას. აღნიშნული სტრუქტურის შეთანხმებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა მიიღწევა კვლავწარმოებითი პროცესების სისტემის მართვით. ეს კი განსაზღვრავს გაფართოებული კვლავწარმოების ნორმალურ მიმდინარეობას და ნეგატიური მოვლენებისაგან თავის არიდების ან პოზიტიურის გაძლიერების შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვე რეგიონული განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენს არა არსებული პოტენციალის შექმნა და გაზრდა, არამედ არსებულის გამოყენება და მათი ზრდა იმ მიმართულებებით, რომლებსაც შეუძლიათ რეალური სოციალურ-ეკონომიკური უკუგების მოცემა.

რესურსების კონცეფციის ძირითადი ცნებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ რესურსის კონცეფციის ძირითადი კატეგორიების ურთიერთმიმართებისა და კორელაციის გრაფიკული მოდელი. შემოთავაზებული მოდელი საშუალებას იძლევა:

– „რესურსების“ კონცეფციის კატეგორიაში დაუშვას და დააკავშიროს საწარმოო ფაქტორების მრავალფეროვანი ფორმები (ბაზარზე გაყიდვის შედეგად შექმნილი მასალის, ინტელექტუალური რესურსების მიღების, სისტემაში შემუშავებული ყველა სახის შინაგანი შესაძლებლობების);

- ეკონომიკური სისტემის რესურსების გარე და შიდა კლასიფიკაცია: გარე - გარეგანი ღია ბაზარზე გაყიდვის საგანი, ხოლო სისტემის შიგნით, შინაგანი ფორმები და დაგროვება მატერიალური თუ არამატერიალური ფორმით;

- წარმოადგინოს შესაძლებლობები ეკონომიკური სისტემის გარკვეული შიდა რესურსების სახით;

- წარმოადგინოს ეკონომიკური სისტემის კომპეტენციები, როგორც რესურსების შესაძლებლობები, რაც ასახავს არამატერიალური და მატერიალური რესურსების გამოყენების ყველაზე ეფექტური გზების შექმნის შესაძლებლობას;

- დაადგინოს ეკონომიკური სისტემის კომპეტენციებთან ურთიერთობა და მისი პოტენციალი, დაასაბუთოს სისტემის ძირითადი კომპეტენციების მნიშვნელობა, როგორც მისი მაღალი კონკურენტუნარიანობის ფორმირების საფუძველი;

- განსაზღვროს რეზერვის პოტენციალი და წარმოადგინოს სისტემის არარეალიზებული რესურსების ეფექტურად გამოყენების გზები;

- გაითვალისწინოს ეკონომიკური სისტემის რესურსების პრიორიტეტი მისი პოტენციალის დადგენაში.

რეგიონის საიმედო და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარია ნებისმიერი ადმინისტრაციული ერთეულის რესურსების უზრუნველყოფის პროცესი. რეგიონის რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების, მათი ეფექტური გამოყენების დაგეგმვა -პროგნოზირების ორი კონცეპტუალური მოდელი არსებობს. პირველი მოდელი ასახავს რეგიონების განვითარებას რესურსების უკმარისობის (დეფიციტის) პირობებში. არსებული რესურსების შესაბამისად, რეგიონის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას, რომლის საფუძველია სტრატეგია ეკონომიკური სუბიექტების საბოლოო მიზნების მისაღწევად. განვითარების ეს მოდელი რეკომენდირებულია ე.წ. სუბსიდირებული რეგიონებისთვის. მეორე მოდელი გულისხმობს თვითკმარი მექანიზმებისა და დონორი სუბიექტების ამბიციებს. ამ სუბიექტებში დასახული მიზნების შესაბამისად ვითარდება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. ამის საფუძველი რეგიონალური სტრატეგიის შესაბამისად ყველა სახის ხელმისაწვდომი რესურსის რაციონალური გამოყენება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობაა.

რეგიონული რესურსების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ყველა სახის რესურსის რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობა არის ინდივიდუალური და განისაზღვრება მრავალი ობიექტური მიზეზით (ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კლიმატური, დემოგრაფიული, ინტელექტუალური და სხვა).

განვითარების კონცეფციის ყველა ეტაპი უნდა ხასიათდებოდეს საბოლოო დასკვნებით. დასკვნები უნდა ემყარებოდეს რეგიონული ეკონომიკური სისტემების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ ტენდენციებს, მათ ბუნებრივ მახასიათებლებს და ითვალისწინებს თანამედროვე ეკონომიკის განვითარების დამახასიათებელ თვისებებს.

კონცეფციის საფუძველია რეგიონული სტრატეგიების შემუშავება, მათი შეფასება და ანალიზი, ეკონომიკური ერთეულის განვითარებისათვის პრიორიტეტული სფეროების სიმრავლის შექმნა, მაღალკონკურენტული ეკონომიკური სისტემის ძირითადი უპირატესობების შემუშავება.

რეგიონებისთვის სტრატეგიების შემუშავების პროცესი თანამედროვე ეტაპზეც ძალზე მნიშვნელოვანია. რეგიონის ხელმძღვანელებმა უნდა განსაზღვრონ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის კურსი, მოსალოდნელი შედეგები, სტრუქტურული ტრანსფორმაციები; შექმნან ეკონომიკის ინოვაციური მოდელი, რათა სათანადო რეაგირება მოახდინონ მიმდინარე ცვლილებებზე. ეკონომიკური სისტემის კომპეტენტური სტრუქტურის მქონე სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება იქცევა თვით რეგიონის ხელისუფლების საქმიანობის რადიკალურად გაუმჯობესების სისტემურ პროცესად. ტერიტორიული განვითარების სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს რეგიონების ეკონომიკების რესტრუქტურირების პრიორიტეტები, ეტაპები, ეროვნული ეკონომიკური სივრცე და რეგიონალური პოლიტიკა - დააკავშიროს სპეციფიკური ზომები სტრატეგიის განსახორციელებლად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სხვა სფეროსთან და სახელმწიფოს რესურსებთან” [191].

სტრატეგიის ობიექტი უნდა იყოს რეგიონის ეკონომიკის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება, რის შედეგადაც რეგიონების განვითარება ვერ იძენს სათანადო დინამიზმსა და წონასწორობას. ამ სიტუაციიდან გამოსავალი რეგიონალური განვითარების ეფექტური სტრატეგიების ახალი მიდგომების შემუშავებაა და ფორმირდება კლასტერული მექანიზმის თეორია.

კლასტერების განვითარება თანამედროვე ეკონომიკის ეფექტური ბიზნეს საშუალებაა [116]. კლასტერული არის გარკვეული ორგანიზებული სივრცე, სადაც იქმნება პირობები დიდი სუბიექტების, მცირე ორგანიზაციების, დივერსიფიცირებული მომწოდებლების, სამეცნიერო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების და სხვათა წარმატებული განვითარებისათვის. მათი ურთიერთქმედების ფუნდამენტური საფუძველი არის სინერგიული ეფექტის



მიღწევა, რის შედეგადაც კონკურენტი კომპანიების ურთიერთქმედება ხდება ურთიერთსასარგებლო. კლასტერი აერთიანებს არა მხოლოდ მწარმოებელ კომპანიებს, არამედ ქმნის ყველაზე ეფექტურ პირობებს ინოვაციისა და ინვესტიციის ბიზნესის მოსაზიდად. კლასტერის მთავარი მახასიათებელია ის ფაქტი, რომ მისი შესაძლებლობების უმეტესობა არ მონაწილეობს კონკურენციის პროცესში, არამედ სხვადასხვა სეგმენტის სუბიექტი. კლასტერული ეკონომიკის ფორმირება მნიშვნელოვანია რეგიონის მდგრადი, დინამიური, საიმედო განვითარებისთვის[156].


რეგიონის კლასტერული პოლიტიკის სტრატეგიული განვითარება ემყარება ბაზრის ლიდერების აქტიურ პოზიციას და რეგიონული ბაზრის სუბიექტების ინტერესებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას. ვთვლით, რომ ამჟამად ეკონომიკური განვითარების ყველაზე პერსპექტიული მოდელი კლასტერული მოდელია. ეს არის ეფექტური ინსტრუმენტი რეგიონის საიმედო განვითარების უზრუნველსაყოფად. იგი აგვარებს რეგიონის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მოსახლეობის დასაქმების პრობლემების გადაჭრას. ეს დეფინიცია დადასტურებულია მთელი რიგი ქვეყნების განვითარების წარმატებული პრაქტიკით[116].

რეგიონი, სადაც რესურსული კლასტერები იქმნება, არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ლიდერი და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საფუძველიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონული ერთეულები, რომლებიც არ იყენებენ მათთვის ხელმისაწვდომ მაქსიმალურ შესაძლებლობებს, აღმოჩნდებიან აშკარად უარეს ეკონომიკურ ვითარებაში. კლასტერების ფორმირების საფუძველი უნდა იყოს რეგიონები, რომლებსაც აქვთ ურთიერთდაკავშირებული ინდუსტრიების მაღალი კონცენტრაცია. ეს ფაქტი ხელს შეუწყობს როგორც ეროვნული, ისე უცხოური კაპიტალის ზრდას ქვეყანაში. კლასტერების ეფექტური განვითარების ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება იყოს სპეციალური ეკონომიკური ზონების ფორმირება (სეზ), სადაც განსაკუთრებული სარგებელი ეძლევა უცხოურ კაპიტალს კონკრეტული ინდუსტრიული ზონების განვითარების დასაჩქარებლად[173].

რეგიონის რესურსები მრავალფუნქციური კონცეფციაა. ისინი შეიძლება იყოს: შინაგანი (ეკუთვნის თვით რეგიონს), გარეგანი (მოდის გარე გარემოდან),

მატერიალური (შრომა, მიწა, კაპიტალი), არამატერიალური (ინტელექტუალური რესურსები, საგანმანათლებლო და ა.შ.). ეს რესურსები ქმნიან გარკვეულ რეგიონალურ შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს. მათი ინტეგრირებული განვითარება და რეგიონული კონკურენციის დონე დამოკიდებულია მათი განხორციელების ეფექტურობაზე.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გრაფიკულად წარმოვადგინოთ რეგიონის რესურსების როლი რეგიონალური ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებული პოტენციალის დადგენის პროცესში (ნახ. 2).



ნახ.2. რეგიონალური ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებული პოტენციალი

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

რეგიონული ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებული პოტენციალის ფორმირების საკითხების განხილვისას, რესურსების მიდგომა რეგიონის სტრატეგიული განვითარების დომინანტურ კონცეფციად რჩება.

„პოტენციალი“ (ლათ. *potentia*) არის არსებულ შესაძლებლობათა, საშუალებების, მარაგების, წყაროების ერთობლიობა, რომლებიც მობილიზება სხვადასხვა მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. ამასთანავე, რესურსებიც მარაგები, ფასეულობები, ფულადი სახსრები და შესაძლებლობებია.

ტერიტორიის რესურსული პოტენციალი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. მისი განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტები. ეს შესაძლებლობას იძლევა, რესურსული პოტენციალი განვიხილოთ სტრუქტურად ან ურთიერთდაკავშირებული და შინაარსობრივად თანხვედრ პოტენციალთა ერთობლიობად.

ტრადიციულად, რესურსულ პოტენციალად მიჩნეულია ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რომელიც ხელმისაწვდომია სამეურნეო საქმიანობაში გამოსაყენებლად, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების პირობებში. ერთი მხრივ, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი არის ბუნების ძალები, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებური კანონები, ხოლო, მეორეს მხრივ კი, არის ეკონომიკურ ურთიერთობათა ამსახველი ელემენტები, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის მწარმოებლურობის დონეზე. აღნიშნული ორმაგი ბუნება ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მთავარი ნიშანია.

ნებისმიერი რეგიონის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველსა და ტერიტორიაზე საწარმოო ძალების განთავსების ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ერთობლიობა. რაოდენობა, ხარისხი და სივრცითი ნაზავი, მათი უზრუნველყოფის ხარისხი განსაზღვრავს ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის განთავსებისა და მისი ეკონომიკური საქმიანობისათვის. რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი არსებით გავლენას ახდენს სამეურნეო სპეციალიზაციასა და ტერიტორიებზე შრომის დანაწილების სისტემაზე. ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხასიათი და ექსპლუატაციის პირობები კი რეგიონული განვითარების მიმართულებებსა და ტემპებზე.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბუნებრივ რესურსებს ორ ნაწილად ყოფენ: რესურსები, რომლებიც წარმოადგენს წარმოების საშუალებებს და რესურსები, რომლებიც საჭიროა ადამიანების არსებობისათვის. ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს ქმნის შემდეგ ფაქტორთა ერთობლიობა: რეგიონის ტერიტორიაზე

არსებული ბუნებრივი რესურსები, მათი ხარისხობრივი მდგომარეობა, გეოლოგიური განლაგება, ბუნებათსარგებლობის რაციონალურობა, საბოლოო პროდუქციისა და ნარჩენების ხვედრითი წილი, გამოყენებული ბუნებრივი რესურსების მთლიან მოცულობაში[123; 137].

ტერიტორიის რესურსულ პოტენციალს ასევე წარმოადგენს მოსახლეობაც, რომელიც დიდ როლს ასრულებს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. ის ხასიათდება რიცხოვნობით (წინა პერიოდებთან შედარებით ზრდისა და კლების მაჩვენებლებით), შემადგენლობით - ასაკის, ეთნიკური ნიშნის, ოჯახების რაოდენობით, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობით და სხვა, ხარისხით (ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის დონე). ეს უკანასკნელი არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მეურნეობის განვითარება არ განისაზღვრება მხოლოდ ტექნიკურ-ფიზიკური პირობებით, არამედ ის დამოკიდებულია ხალხის ხასიათზე, მის ზნეობასა და ღირებულებებზე. ამიტომაც, სულიერი დეგრადაციისათვის ხელის შეშლა, ახალგაზრდებში მაღალზნეობრივი ღირებულებების ფორმირება, მათში პატრიოტული გრძნობების გაღვივება წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ ამოცანას.

ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება „სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის“ ცნება, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას უკავშირდება და მიეკუთვნება წარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების ძირითად საშუალებას. დღეისათვის ეს რევოლუცია ინფორმაციული ხასიათისაა. ინფორმაცია გამოიყენება სხვადასხვა ფორმით: ტექნოლოგიურით, მმართველობითი ცოდნა-გამოცდილებით, სისტემისა და სხვა პროცესების შესახებ ცნობებით და სხვა. ის პრაქტიკულად არის საექსპორტო საქონელი. ტექნოლოგიური და მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ინფორმაციულს პროდუქტს პრაქტიკულად ყველა ბაზარზე წარმოგვიდგენს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ინფორმაციულ რესურსებზე წვდომა დღეისათვის საკმაოდ მაღალია და ნებისმიერი ბაზრის, საქონლის, მწარმოებლის, მათი პოტენციალის და მსგავსი საკითხების შესახებ მონაცემების მოპოვება შესაძლებელია მსოფლიოს ყველა წერტილიდან.

აღსანიშნავია, რომ რესურსის სახით ინფორმაციაზე მოთხოვნა დამოკიდებულია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხზე. საინფორმაციო რესურსის მობილურობა და მოთხოვნადობა განისაზღვრება სისტემის საჭიროებებით. ამასთანავე, ინფორმაციულ რესურსებზე მოთხოვნილებას შეუძლია წინ გაუსწროს მის თანადროულ მდგომარეობას, ან კიდევ შეაფერხოს სისტემის განვითარება. სამეცნიერო-ინფორმაციული პოტენციალის მაჩვენებლებია: ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მეცნიერ-მუშაკთა ხვედრითი წილი, სამეცნიერო ნაშრომების, გამოგონებების, აღმოჩენების რაოდენობა ერთ სამეცნიერო მუშაკზე; სამეცნიერო მოწყობილობების ღირებულება ერთ მუშაკზე; შრომის ანაზღაურების საშუალო დონე ერთ მუშაკზე ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასთან შედარებით.

ამრიგად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება რესურსული ბაზის გამოყენებაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ რესურსული სიმძლავრეების გამოყენებას საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში მომენტალურად, არამედ ისეთ შესაძლებლობებსაც, რომელთაც შეუძლიათ იყონ საფუძველი მომავალში ტერიტორიის ეკონომიკური განვითარებისა. ე.ი. რესურსები არის ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობა აწმყომი, ხოლო რესურსული პოტენციალი წარმოგვიდგება ერთგვარი რეზერვის სახით, რომლის საფუძველზეც შეიძლება აიგოს პროგნოზი და განისაზღვროს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვექტორები.

ბუნებრივი რესურსების სამეურნეო შეფასებას აქვს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი ცოდნა არა მხოლოდ მეურნეობის გეოგრაფიული განლაგების ახსნის საშუალებას იძლევა თუ სად უნდა განთავსდეს ცალკეული სამეურნეო სუბიექტი თუ ჯგუფი, არამედ საწარმოების განთავსების ეკონომიკურ დასაბუთებასაც უზრუნველყოფს.

ბუნებრივ რესურსებად მოვიაზრებთ ყველა ელემენტს, რომლებსაც ადამიანები უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით იყენებენ ან შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთ წარმოებაში საწარმოო ძალების განვითარების მოცემულ ეტაპზე. მათ მიეკუთვნება სასარგებლო წიაღისეული, წყლის და სხვა რესურსები. ადამიანთა

ცხოვრებისათვის აუცილებელია ბუნების ელემენტები, რომლებიც ზემოქმედებენ მათ სამეურნეო საქმიანობაზე, მაგრამ მასში არ არიან ჩართული საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე, იწოდებიან ბუნებრივ პირობებად. კერძოდ, ეს არის რელიეფი, კლიმატი, მზის სითბო, დედამიწის შინაგანი სითბო, ჰაერი. საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ ეტაპზე, რომელიც შრომითი რესურსებისა და წარმოების საშუალებების (შრომის საგნები და იარაღები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის განვითარებისათვის საჭირო ტექნოლოგიების ერთობლიობა, თავის გამოხატულებას ბუნებრივ გარემოსთან ადამიანების ურთიერთობებში პოულობს. განასხვავებენ მოქმედ საწარმოო ძალებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კვლავწარმოებით პროცესში და პოტენციურს, რომლებიც შრომისუნარიანი მოსახლეობის იმ ნაწილს მოიცავს, რომლებიც არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ წარმოებაში (ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა), მათ რიცხვში შედის არაექსპლოატირებული ბუნებრივი რესურსებიც. ბუნებრივი რესურსებისა და პირობების ერთობლიობა შეადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ ფაქტორს[209].

ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის ან რეგიონის უზრუნველყოფა წარმოადგენს ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის მდგრადი განვითარების მთავარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორს. რესურსების სტრუქტურა, მისი მარაგების სიდიდე, ხარისხი, შესწავლის ხარისხი, სამეურნეო ათვისების მიმართულებები, დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი განისაზღვრება სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებით. რამდენადაც ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ისტორიულ კატეგორიას, მხედველობაშია მისაღები საზოგადოების ცვალებადი მოთხოვნილებები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, შეცვლილი პრიორიტეტები.

დღეისათვის ნათელი ხდება, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის პროგრესულობის ერთ-ერთ არსებით კრიტერიუმს წარმოადგენს საზოგადოების უნარი თანდათანობით განავითაროს საწარმოო ძალები, ბუნებრივი წონასწორობის რღვევის გარეშე გააფართოვოს ეკონომიკური პოტენციალი. არსებული ეკონომიკური

სისტემის ინოვაციური გზით განვითარების გეზმა განაპირობა ქვეყნისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, სამეცნიერო ცოდნის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად გადაქცევა.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, წარმოადგენს საფუძველს ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის ფორმირებისათვის, გავლენას ახდენს შრომის დანაწილებასა და საბაზრო სპეციალიზაციაზე. ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების ხარჯზე არაერთხელ ასახულა ეკონომიკური თეორიის ცალკეულ მიმართულებებში: ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ თეორიებში, მ. პორტერის კონკურენციის თეორიაში, ეკონომიკური განვითარების თეორიაში და სხვა. აღნიშნული გამოკვლევების , მდგრადი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის ხარჯზე. ასევე, არ დაფიქსირებულა რესურსული განვითარების მოდელიდან ტექნოლოგიურზე წარმატებული გადასვლის ისტორიული მაგალითები.

ცალკეული კვლევების დასკვნების თანახმად იმასთან ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი არის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, ეროვნული სიმდიდრის დადებითი მდგენელი. თუმცა, მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ორგანიზაცია ქვეყნისა და რეგიონების დინამიური ეკონომიკური განვითარების მიზნებისათვის.

მრავალ კვლევაში ფიგურირებს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ნეგატიური ზეგავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ე.წ. „ჰოლანდიური დაავადება“. ჰოლანდიური დაავადება წარმოადგენს ეკონომიკის მდგომარეობას, რომლისთვისაც ორი სიმპტომია დამახასიათებელი. პირველი - წიაღისეულის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდა, მეორე - სამამულო მრეწველობის მოცულობის შემცირება. ამასთან, მეორის გაჩენა დაკავშირებულია პირველთან. ე.ი. ჰოლანდიური დაავადება ეს არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როცა წიაღისეულის ექსპორტი აქრობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას[201].

ჰოლანდიური დაავადების გაჩენის პირობებია: ეკონომიკის გახსნილობა და ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის მომარაგების მაღალი ხარისხი. ქვეყნები, რომლებიც პასუხობდნენ ამ პირობებს საკუთარ თავზე გამოსცადეს აღნიშნული დაავადება. ამასთან, მარცხდებოდნენ ქვეყნები, მათი ეკონომიკის განვითარების რაიმე განსაკუთრებულობის მიუხედავად. ეს პრობლემა შეეხო ქვეყნებს დაწყებული ავსტრალიითა და ჰოლანდიით, დამთავრებული გვიანითა და ზამბიით. დადგინდა, რომ, რეალურად, არ არსებობს ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის პოზიტიური ურთიერთკავშირი. აღნიშნული ფაქტი დამტკიცდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების - დ. საქსისა და ე. ვერნერის მიერ 1997 წელს განხორციელებული კვლევით. მათ განიხილეს 95 განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები 20 წლიან პერიოდში (1970-1990 წლები), ასევე, შეეხენ ისტორიას დაწყებულს მე-17 საუკუნიდან. შედეგად გამოვლინდა მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრების საინტერესო მხარე - ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებს ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას [212; 8].

- ბუნებრივი რესურსების ქვეყანა-ექსპორტიორების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ტექნოლოგიურად ლიდერი ქვეყნებისას. რესურსულ ეკონომიკაში საზოგადოებრივი და საბაზრო ინსტიტუტები სუსტადაა განვითარებული, რაც კონკურენტუნარიობას იწვევს. ენერგო ექსპორტიორ ქვეყნებში დანაზოგები მცირეა და აქვთ შემდგომი შემცირების ტენდენცია;

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და მოცულობა განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან. მათი დიდი ნაწილი მიმართულია მომპოვებელი დარგებისაკენ. ამასთან, საგარეო ვაჭრობის გავლენა ეკონომიკის მდგომარეობაზე, ძალიან მგრძობიარეა, რადგანაც დამოკიდებული ხდება მსოფლიო ბაზრებზე რესურსების ფასების ცვლილებაზე, მსოფლიო ფასებზე ფაქტორული დამოკიდებულება კი შეადგენს 75%.

- სახელმწიფო ხარჯების დონე ბუნებრივი რესურსების მომწოდებელ ქვეყნებში სტაბილურად მაღალია, ვიდრე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.



აღმოჩენილია უკუკავშირი სახელმწიფო ხარჯებსა და ეკონომიკის ზრდის ტემპებს შორისაც.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა მესამე მიმდინარეობა- არ ხდება ჰოლანდიური დაავადების უარყოფა, მაგრამ აქცენტი კეთდება ამგვარი კანონზომიერებების აღმოფხვრის აუცილებლობაზე. ეს შესაძლებელი გახდება შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებით, მისი ბაზის ცვლილებით. აღნიშნულ ცვლილებაში იგულისხმება ბუნებასა და შრომაზე დაფუძნებული არსებული ბუნებრივი შედარებითი უპირატესობების ჩანაცვლება ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნილი უპირატესობებით.

ამდენად, დამოკიდებულება ქვეყნის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალსა და მის ეკონომიკურ განვითარებას შორის არაერთგვაროვანია. მსოფლიოში არსებობს საკმაოდ ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორ მძლავრ პოზიტიურ გავლენას ახდენს რესურსებით სიმდიდრე ეკონომიკურ ზრდასა და რეგიონული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე. ასევე, გვაქვს მაგალითები „სანედლეულო“ ეკონომიკების წარმატებლობისა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ რეალურად ბუნებრივი რესურსების რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაზე ზეგავლენის ხასიათი არაერთგვაროვანია, განსხვავებულვექტორიანია და მუდმივად ცვალებადია იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია მოცემულ მომენტში ინსტიტუციონალური მდგენელები. რეგიონის ბუნებრივ-რესურსული სიმდიდრე შეიძლება წარმოადგენდეს პოტენციურ წყაროს ეკონომიკური ზრდისათვის იმ შემთხვევაში, თუკი აღმოიფხვრება მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური ფაქტორების არაკეთილსასურველი ზეგავლენა და რესურსული ეკონომიკა გადავა განვითარების ინოვაციურ გზაზე. ინოვაციებში იგულისხმება ჯგუფური სისტემური ცვლილებები - „მოპოვება - გადამუშავება - წარმოება - რეალიზაცია“: ეს არის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ახალი სახეების შემუშავება და გამოშვება, მართვისა და ორგანიზაციის ახალი მეთოდების დანერგვა, ინსტიტუციურ გარდასახვათა განხორციელება. აუცილებელია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წამყვან ეკონომიკურ ფაქტორად გადაქცევა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის ეფექტიანობისა და მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალი თეორიული ცოდნისა და

მეთოდების მუდმივ ძიებას. ე. ი. ინოვაციურ ეკონომიკაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და განათლების ხანგრძლივი სიმბიოზი.

დღეისათვის ინოვაციური სცენარი წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთადერთ საშუალებას. იმავდროულად, ყოველ რეგიონში ინოვაციური გზით განვითარების სტრატეგიები რეალიზებულ უნდა იქნას ერთმანეთისაგან განსხვავებულად, იმის მიხედვით, თუ როგორი სოციალურ-ეკონომიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა აქვთ, რა სახის რესურსულ-საწარმოო და ინოვაციური პოტენციალი, რა სახის პრობლემები აქვთ და ეკონომიკური ზრდის რა შესაძლებლობები გააჩნიათ[36].

რეგიონის კონკურენტულ უპირატესობათა შორის ყოველთვის მახვილდებოდა ყურადღება ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრეზე, წარმოების ფაქტორებზე კეთილსასურველი ფასების არსებობაზე. დღეისათვის ამ ჩამონათვალს დაემატა ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, მუშაკთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, შრომის მწარმოებლურობა, უსაფრთხოება და ეკოლოგიურად სუფთა წარმოება[35].

თანამედროვე ეტაპზე, კრიზისულ პირობებში, რეგიონის განვითარების მიზნები უნდა იყოს მკაფიო და ჩამოყალიბებული, ისინი უნდა იყოს კონკრეტული, მიღწევადი, თანმიმდევრული, გაზომვადი; შეეძლოთ რეგიონისათვის მაქსიმალურად გრძელვადიანი სარგებელის მოტანა, და არამხოლოდ ე. წ. „მომენტალური“ პრობლემების გადაჭრა. მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნები უნდა ემყარებოდეს რეგიონის მოსახლეობისათვის ცხოვრების ხარისხის სასურველი დონის დამახასიათებელ პრინციპებს, ეკონომიკური, პოლიტიკური, ინვესტიციებისა და ინოვაციური განვითარების რაოდენობრივ და თვისობრივ მახასიათებლებს.

### 1.3.1. აჭარის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალის სტატისტიკური ანალიზი და შეფასება

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება თავისთავად გულისხმობს რეგიონის განვითარებასაც, ვინაიდან რეგიონები წამყვან როლს ასრულებენ ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიაში რეგიონებად განხილულია თბილისიცა და ავტონომიური რესპუბლიკებიც. ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს აჭარის რეგიონის კონკურენტული უპირატესობების გამოვლენის, პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანებისა და შედეგების განსაზღვრა. საქმიანობის იმ მიმართულებების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონის განვითარებაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს ერთგვარ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯვარედინს, სადაც ისტორიულად იკვეთებოდა ჩრდილო-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების ცივილიზაციური, გეოპოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური, სავაჭრო და სხვადასხვაგვარი ვექტორები. ახლადჩამოყალიბებულმა საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, აჭარის რეგიონი ჩააბა გლობალიზაციის თანმდევ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში. სხვა ქალაქების მსგავსად, ბათუმისთვისაც, ტრანსნაციონალური ინტერესები, საერთაშორისო ვაჭრობა, ტრანზიტი და სხვა, გახდა დინამიური განვითარების განმაპირობებელი[12].

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს მრავალფეროვანი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რომელსაც შეუძლია საკუთარი წარმოების აუცილებელი მოცულობის, მოხმარებისა და ექსპორტის უზრუნველყოფა. თუმცა, რესურსები თანაბრადაა განლაგებული. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი (მინერალურ-სანედლეულო, ტყისა და წყლის რესურსები) განლაგებულია ნაკლებად ათვისებულ ტერიტორიებზე[9].

ბუნებრივი რესურსები წარმოების მატერიალური საფუძველია. კლასიფიკაციის, მასშტაბების, მოპოვებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიური დონის, ეკოლოგიური შეზღუდვებისა და ბუნებრივი რესურსებზე მოთხოვნილების მიხედვით, განსაზღვრავენ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და

კონკურენტუნარიანობას. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და პოლიტიკური ეკოლოგიის დარგებში ახალი და კრიტიკული პერსპექტივების გაჩენამ, „ბუნებრივი რესურსების“ გადააზრება და გაფართოება გამოიწვია. ადრე ბუნებრივ რესურსად მხოლოდ ბიოლოგიური და მინერალური მარაგები მიიჩნეოდა - ლითონები, ნამარხი საწვავი, ხე-ტყე, წყალი და დღეს, ბუნებრივ რესურსად ითვლება პროცესები და კავშირებიც, რაც ადამიანთა ჩაურევლად არსებობს ან იწარმოება. შესაბამისად, ბუნებრივ რესურსად მიჩნეულ ნედლეულსა და წიაღისეულს დაემატა სივრცე, გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი, ეკოსისტემური სერვისები და სხვა[182].

დღეისათვის, აჭარის რეგიონი წარმოადგენს ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით მდიდარ სივრცეს და გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი. აჭარაში დაზვერილია მადნეული და არამადნეული ც რკინის მადნის გარკვეული მარაგი, მაგნეტიტური ქვიშაქვების სახით, არის ქობულეთ-ჩოლოქის ზღვის სანაპირო ზონაში. ფერადი ლითონებიდან სპილენძ-პოლიმეტალების საბადოები გვხვდება ქედასა და შუახევში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მერისის სპილენძისა და ტყვიის საბადო. ოქროს შემცველი ქანები გვხვდება მერისში, უჩამბაში, ხალისთავსა და ჩაქვისთავში. გოგირდის კოლჩედანის გარკვეული მარაგია შუახევის მუნიციპალიტეტში, წაბლანასა და ღომა-ლაშეს ფარგლებში [10].

აჭარის რეგიონი ჰიდროენერგეტიკული თვალსაზრისით მდიდარ რეგიონებს განეკუთვნება. ტერიტორიის 1 კვ.კმ-ზე რეგიონის მდინარეთა ხვედრითი პოტენციური ენერგია - 2,23 მლნ კვტ.სთ/კმ<sup>2</sup> -ით აღემატება საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ საშუალო მაჩვენებელს. ჰიდროენერგეტიკული რესურსებით რეგიონის ყველაზე მძლავრი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი, კინტრიში. მათგან ყველაზე წყალუხვი, მდ. ჭოროხი, საქართველოში მხოლოდ მცირე ნაწილითაა წარმოდგენილი. ამჟამად აჭარაში, საქართველოს ენერგეტიკული ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, მწყობრშია 5 ჰიდროელექტროსადგური, რომელთა ჯამური სიმძლავრე 22,2 ათ. კვტ, ენერგიის წლიური გამომუშავება კი - 104,5 მლნ კვტ.სთ, რაც შეადგენს რეგიონის პოტენციური ენერგიის მხოლოდ 1,6%-ს.

წყლის რესურსების გარდა აჭარა მდიდარია ტყეებითაც, რომელთაც უჭირავთ რეგიონის ტერიტორიის 66%. მათი ჯიშობრივი შემადგენლობა მრავალფეროვანია და შეიცავს 400-მდე სახეობის ხესა და ბუჩქს, მათგან ყველაზე დიდ ფართობებზე გავრცელებულია წიფელი, წაბლი, ნაძვი და სოჭი.

**ცხრილი 1. საქართველოს ტყის ფონდი (2018 წელი)**

	ტყის ფონდის ფართობი (ათასი ჰექტარი)	ტყის აღდგენა (ჰექტარი)	ტყის ბუნებრივად განახლებისათვის ხელშეწყობა (ჰექტარი)	ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა (კუბური მეტრი)	ტყის უკანონო ჭრა (კუბური მეტრი)
საქართველო	<b>2 516,0</b>	265	113	562516	31701
აფხაზეთის არ	369,0	-	-	-	-
აჭარის არ	150,1	103	100	58631	1250
გურია	86,0	5	3	9268	194
იმერეთი	312,4	2	-	45483	6947
კახეთი	288,4	-	-	97051	5769
მცხეთა-თიანეთი	238,0	-	-	52485	362
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	282,0	0	-	50114	1717
სამეგრელო-ზემო სვანეთი	272,7	-	-	54202	1562
სამცხე-ჯავახეთი	133,4	144	-	102682	6253
ქვემო ქართლი	146,7	10	10	34343	6015
შიდა ქართლი	237,3	1	-	58257	1632

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, აჭარის ტყის ფართობი ჯამურად შეადგენს 150,1 ათასი ჰა. პარალელურად მიმდინარეობს ტყის აღდგენითი სამუშაოები და აღდგენას დაქვემდებარებულია 103 ჰა.

აჭარისათვის მნიშვნელოვანია ტურისტულ - რეკრეაციული პოტენციალი. რეგიონის ტერიტორიაზე ოფიციალურად აღრიცხულია კლიმატური და კლიმატურ-ბალნეოლოგიური პროფილის 6 კურორტი და 27 საკურორტო ადგილი, რომელთა მდებარეობა ზღვის დონიდან აღწევს 0-დან (ბათუმი, ქობულეთი) 1850 მეტრამდე (ბეშუმი, ჯინალი). აჭარის ტურისტულ პოტენციალს აძლიერებს ქობულეთის,

კონტრიშის, მაჭახელას და მტირალას დაცული ტერიტორიებიც. მათი საერთო ფართობი 39 035 ჰა-ის ტოლია, რაც რეგიონს მთელი ფართობის 13,4%-ს-ია. ველურ ბუნებასთან სიახლოვე მრავალ ტურისტს იზიდავს, რაც აიხსნება პანდემიამდე პერიოდში ტურისტული ნაკადების მატებით[12].

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ამოცანას. ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიწის რესურსებია. ის ადამიანთა საზოგადოების ძირითადი მარჩენალია, რომლისგანაც ვღებულობთ საკვების 88%-ს. მის დიდ როლზე მიუთითებს ისიც, რომ კოვიდ-19 პანდემიის პირობებში წარმოჩენილ გამოწვევათა შორის, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს თვითკმარი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა-განვითარება.

მიწის რესურსის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანი მისი რაციონალურად დაგეგმვა-გამოყენებაა. „ის არის როგორც მიწის პოლიტიკის განხორციელების, ასევე, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესთა თანხვედრის გზების ძიების საუკეთესო საშუალება“[39]. მიწის რესურსების მართვის საკითხებში საქართველოს აქვს გარკვეული გამოცდილება, სხვადასხვა დროს ჩატარებულ რეფორმებს ძირითადად ჰქონდა სოციალური დანიშნულება და ნაკლებად ეკონომიკური. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში დაიწყო მიწის რეფორმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ კანონი და რომლითაც განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია, რომელიც უფრო ემსახურებოდა მოსახლეობის შიმშილისაგან გადარჩენას. შედეგად, XX ს-ის დასასრულს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწები დანაწევრდა 2,5 მილიონ ნაკვეთად[39.3.] აღნიშნულ ნაკვეთთაგან, მათი მცირე ზომის გამო, უმეტესობა კომერციული წარმოებისათვის გამოუსადეგარი გახდა.


მიწის რეგისტრაციის პროცესი გაგრძელდა 2004 წლამდე. 2008 წლიდან ისევ დაიწყო წამოწყებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფორმალური რეგისტრაცია, რომელსაც სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში შემორჩენილი რუკები უნდა დადებოდა საფუძველად. 2010 წელს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონმა ახლებურად დაარეგულირა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების საკითხები.

2016 წლის 1 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის<sup>1</sup> სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“. ამ კანონის საფუძველზე საფუძველზეც დაიწყო მიწის რეფორმის კიდევ ერთი ეტაპი, რომელსაც შემდეგი მიზნები ჰქონდა:

- 1) უნდა მომხდარიყო მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების დაზუსტება და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სპორადული რეგისტრაცია;
- 2) საპილოტე პროექტის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო სამუშაოების სისტემურად შესრულება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია[39.4].

ახალი კანონით მოსახლეობას მიეცა საშუალება, მიწები დაერეგისტრირებინათ გამარტივებული წესებითა და სახელმწიფოს ფინანსური დახმარებით, რაც გულისხმობდა თანხების დაფარვას მიწის ნახაზებისა და საარქივო მასალების მოძიებისათვის.

**სურ.1.** რეფორმის ფარგლებში წარმატებულად დასრულებული სარეგისტრაციო განცხადებები რეგიონების მიხედვით.



**წყარო:** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. 2021 წლის 17 მარტის მდგომარეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწის რეფორმა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მიწის რეფორმის საწყის წლებში გამოკვეთილია ხარვეზები: შეცდომით შევსებული დოკუმენტაცია, ახალი აზომვითი ნახაზების შესასრულებლად ინფრასტრუქტურის არარსებობა, მოსახლეობის ინერტულობა და ა.შ.

<sup>1</sup> სპორადული რეგისტრაცია – ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დაინტერესებული პირის განცხადებისა და მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

2019 წლის 26 დეკემბერს, მიწის რესურსების უფრო ეფექტიანად მართვის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება (№2-1258), რომლის თანახმადაც ქვეყანაში შეიქმნა მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, რომლის ფუნქციაში შევიდა:

- მიწის ბალანსის შედგენა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა[39].

სახელმწიფოს აქტიურად ჩართულობის, გაწეული მნიშვნელოვანი სამუშაოების, დონორთა აქტიურ დახმარება-ჩართულობის მიუხედავად მიწის რეფორმას მაინც ესაჭიროება აქტიური მხარდაჭერა, რათა მიწასთან დაკავშირებით გატარდეს ეფექტიანი, ლეგიტიმური და გამჭვირვალე პროცესი. დავასკვნით, რომ მსოფლიოში, პირველად საქართველოში, რეგისტრაციის პროცესში დაიწყო ბლოკჩეინ-სისტემის დანერგვა. ბლოკჩეინის სისტემა გარანტირებულს ხდის საკუთრების უფლებას, საკუთრების უფლების დაცვის საშუალებას აძლევს მესაკუთრეებს, რადგანაც ინფორმაციის შეცვლა ან საბუთების დაკარგვა პრაქტიკულად შეუძლებელია[59].

მიწის რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურებისა და გარკვეული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი დღესაც დაურეგისტრირებელია. კვლავ უპასუხოდ რჩება კითხვები-თუ რა ფართობის მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს, რამდენია პრივატიზებული, რა რაოდენობის მიწის ფართობია სრულყოფილად დარეგისტრირებული და ა. შ. არადა, მიწის რეგისტრაციის მოწესრიგებასა და მიწის ბაზრის განვითარებაზე დამოკიდებული სოფლის მეურნეობის დარგი, რომელიც გარკვეულწილად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის აღმოფხვრის გარანტს წარმოადგენს.

აჭარა, თავისი მთაგორიანი რელიეფის გამო, სახნავ-სათესი მიწის სიმწირით გამოირჩევა, რაც მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 25%-ს შეადგენს (72



862 ჰა). მოსახლეობის 50%-ზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის მიზანია მცირე სასოფლო მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება. სოფლის მეურნეობის სტრატეგიული მიზნებია: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, საწარმოო სიმძლავრეებისა და პოტენციალის გაზრდა, არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება[12].

აღსანიშნავია, რომ აჭარის ა.რ. ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ და მცირემიწიან რეგიონს წარმოადგენს საქართველოში. აჭარის ტერიტორიის 2912,3 კვ.კმ-ზე მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 121.3 კაცს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში აღნიშნული მაჩვენებელი, 2020 წლის მონაცემებით, შეადგენს 2054.6 კაცს კმ<sup>2</sup>-ზე. მოსახლეობა აჭარის დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც არათანაბრადაა განაწილებული და ზღვისპირა ზოლში შეადგენს 300-500 კაცს კმ<sup>2</sup>-ზე, მთიან რეგიონებში კი, საშუალოდ 50-150 კაცს კმ<sup>2</sup>-ზე, ხოლო ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კი, მოსახლეობის სიმჭიდროვე ეცემა და შეადგენს 25 კაცს კმ<sup>2</sup>[62].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, 2020 წელს, აჭარის მოსახლეობა 351,9 ათას კაცს შეადგენდა, რაც 3%-ით აღემატება 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით დადგენილ 341,4 ათას კაცს და 11%-ით ჩამორჩება 1989 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც აჭარის მოსახლეობა შეადგენდა 392,4 ათას კაცს. ეს განსაკუთრებით აისახება არაქართულენოვანი მოსახლეობის მიგრაციით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, 1990-იან წლებში, აჭარიდან ემიგრაციაში წავიდა 50 ათას კაცზე მეტი, ანუ მოსახლეობის 13,1%; შრომითი რესურსების რიცხოვნობა შემცირდა 4%-ით[62].

**ცხრილი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით 1994-2020 წწ. (ათასი კაცი)**

წელი	აჭარის არ	ქ. ბათუმი	მუნიციპალიტეტები				
			ქედა	ქობულეთი	შუახევი	ხელვაჩაური	ხულო
1994	417.0	146.1	24.4	98.3	20.3	91.9	36.1
1995	401.3	141.8	23.3	94.9	19.4	87.7	34.3

1996	382.8	135.9	21.9	91.0	18.5	82.9	32.5
1997	370.2	132.0	21.0	87.9	18.1	79.6	31.5
1998	363.2	129.3	20,2	86.0	18.2	78.6	30.8
1999	356.5	126.6	18.9	84.2	18.6	79.2	28.1
2000	350.2	124.8	17.6	81.8	18.6	79.2	28.1
2001	344.8	123.1	17.1	79.7	18.4	78.7	27.8
2002	341,6	122.2	17,0	78,7	18.3	77.5	27.9
2003	340.5	122,3	16.9	78.2	18.0	77.6	27.5
2004	339.3	122,3	16,9	77.7	17.7	77,6	27,3
2005	337.5	122,0	16,8	77,1	17,4	77,5	26,6
2006	335.8	121.7	16,8	76,6	17,1	77,5	26,1
2007	334.2	121,5	16,7	76,0	16,8	77,4	25,7
2008	332.8	121,3	16,7	75,7	16,6	77,4	25,5
2009	332,4	121,4	16,7	75,3	16,3	77,7	25,0
2010	332,4	121.9	16,7	75,1	16,0	78,1	24,6
2011	322,0	141,0	16,6	74.8	15.8	59.5	24.3
2012	332.2	151.2	16,6	74,7	15,6	50.1	24.0
2013	332,9	151,9	16,7	74,7	15,3	50,6	23,7
2014	334.9	153.7	16,7	74,6	15,2	51.0	23,8
2015	338.4	156.7	16,7	74,3	15,2	51,3	24,2
2016	341.6	159.5	16,8	73.8	15,1	51,6	24,7
2017	344.7	162.1	16,8	73,5	15,1	51,9	25,2
2018	347.7	164.7	16,8	73,1	15,1	52,1	25,7
2019	350.5	167.6	16,8	72,5	15,1	52,2	26.1
2020	351,9	169,1	16,8	72,2	15,0	52,6	26,3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>.

ბათუმი, 169,1 ათასი მცხოვრებით, საქართველოს მეორე ქალაქია. მისი მოსახლეობა ყოველწლიური მატებით გამოირჩევა, მისი ოდენობა 1994 წელთან შედარებით, 2020 წელს, 15%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი, 0,8%-ით. ბათუმის შემდეგ აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე დიდი ქობულეთის მუნიციპალიტეტია, რომელშიც ცხოვრობს აჭარის მთელი მოსახლეობის 20,5%. მოსახლეობის რაოდენობა წლების განმავლობაში სტაბილურია ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში და შესაბამისად შეადგენს 16,8 ათას და 52,6 ათას კაცს.

რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი განისაზღვრება არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების არსებობით, არამედ შრომითი რესურსების არსებობითა და ფუნქციონირებით. თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონის კონკურენტუნარიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა წარმოების

ეფექტიანობა, განათლების დონე და მუშაკთა კვალიფიკაცია, შრომის მაღალი მწარმოებლურობა, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. წარმოების ეფექტიანობა გულისხმობს ეკონომიკაში ფუნქციონირებადი ყველა საწარმოო რესურსის გამოყენებით მიღებულ ინტეგრალურ შედეგიანობას.

ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია შრომით პოტენციალს. ის მოიცავს საზოგადოების შრომით რესურსებს და ხასიათდება მათი ჯანმრთელობის, განათლების, ეკონომიკაში აქტივობისა და დასაქმების დონით. შესაბამისად, ინტერესის საგანს წარმოადგენს ისეთი მაჩვენებლების განსაზღვრა, როგორცაა შრომითი რესურსების დასაქმების კოეფიციენტი, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონე და სხვა.

რეგიონული და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის დონის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი, მას პირიდაპირი კავშირი აქვს ქვეყნების ეკონომიკის პროდუქტიულობასა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არაერთი კვლევით დასტურდება საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებული საინვესტიციო საჭიროებები. ამ მხრივ გამოვლენილია კონკრეტული მიმართულებები: აქტიური სამუშაო პოლიტიკის შემუშავება, რაც გულისხმობს შრომითი ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებას, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ბიზნეს-სექტორის მოთხოვნილებასა და სამუშაო ძალის უნარებს შორის დისპროპორციის შემცირებას[58].

ჩვენს რეალობაში ისევ შეუსაბამოა განსაზღვრული კვალიფიკაციის მუშახელზე მოთხოვნა და მათი მიწოდება. არსებული დისბალანსის აღმოფხვრის პერსპექტივით გავანალიზებთ პროფესიული სწავლების ინსტიტუტთა მუშაობა, კვალიფიციური მუშახელის სწავლების მექანიზმები, შრომის ბაზრის ცვლილებებთან მუშახელის ადაპტირების საკითხები. განვითარებული ქვეყნები კვალიფიციურ შრომაზე საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ ინსტიტუციური და საბაზრო პროგრამებით, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სკოლებს, პროფესიული სწავლების დაწესებულებებს, საწარმოებში სწავლების პროგრამებს. არსებობს აუცილებლობა

იმისა, რომ შესაბამისობაში მოვიდეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მუშაკთა მომზადების სისტემა.

ტექნიკის განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას მივყავართ მუშაკთა ფუნქციების ცვლილებამდე. ადამიანის შრომითი პოტენციალის ფორმირება ხდება მისი უნარების, განათლების, აღზრდისა და ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. განათლება კი, გულისხმობს სამუშაო ადგილზე მიღებული ცოდნის გამოყენების ხარისხს.

ძალიან ხშირად, ჩვენი ეკონომიკის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ საწარმოთა უმრავლესობა არ საჭიროებს ცოდნის იმ ბაზას, რასაც იძლევიან უმაღლესი სასწავლებლები. ქვეყანას ესაჭიროება არა განსაკუთრებული განათლების, არამედ, უფრო მეტად, ფიზიკური შრომისათვის მუშახელი. მაღალკვალიფიციური პერსონალი კი ცდილობს საკუთარი თავის რეალიზებას უცხოეთში, რასაც მივყავართ ე.წ. „ტვინების გადინებამდე“.

ეკონომიკისა და კონკრეტული რეგიონის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების სისტემა და სხვადასხვა პროფილის კვლევითი ინსტიტუტები. მათ შეუძლიათ დადებითი გავლენის მოხდენა, როგორც ინოვაციური შესაძლებლობების გააქტიურებით, ისე კვალიფიციური ადამიანური რესურსის შეთავაზებითა და შემოქმედებითი იმიჯის შექმნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლი, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა საზღვარგარეთის შესაბამის სტრუქტურებთან და კვლევითი და აკადემიური პოტენციალის ამაღლების მიზნით თანამშრომლობენ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. ამ მხრივ არსებობს ინიციატივები ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული უმაღლესი სასწავლებლებისა (3 სახელმწიფო და 6 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება) და კვლევითი დაწესებულებების მხრიდან. თავის მხრივ, რეგიონულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს აღნიშნული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საინოვაციო სისტემების შექმნას, აკადემიურ და კვლევით ინსტიტუტებს შორის, ასევე, საჯარო ინსტიტუტებსა და ბიზნესს შორის ეფექტურ, კომერციალიზაციაზე ორიენტირებულ ურთიერთთანამშრომლობას [58].

**ცხრილი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა აჭარაში (სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ერთეული)**

	2013/2014	2014/2015	2015/2016	2016/2017	2017/2018	2018/2019	2019/2020
სახელმწიფო	3	3	3	3	3	3	3
კერძო	3	4	5	5	5	5	6

წყარო: საქსტატი.

პროფესიული განათლება ქვეყნის განვითარებისათვის პრიორიტეტულ და გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა. ბიზნესისათვის ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული სამუშაო ძალის ძირითადი ბირთვის მომზადება უნდა უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემამ, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების შემუშავებასა და საჭირო ცოდნის გადაცემაზე.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 26 დეკემბერს დაამტკიცა საქართველოს პროფესიული განვითარების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლებისათვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ხედვას პროფესიული განათლების განვითარების შესახებ. სტრატეგიის მიზანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა:

- საქართველოს მთავრობის პრიორიტეტთა მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში;
- ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- საზოგადოების ყველა ფენის, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი პიროვნული თვითრეალიზაციისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად [51].

სტრატეგიის ერთ-ერთი კონკრეტული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისათვის.

საქართველოში პროფესიული განვითარების სიტემის რეფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გერმანული მოდელის დანერგვას, რომელიც

ითვალისწინებს დუალურ განათლებას. „დუალური განათლების“ სისტემების ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპებია პასუხისმგებლობის გაზიარება სახელმწიფოს, ბიზნეს-სექტორსა და სოციალურ პარტნიორებს შორის, სწავლება სამუშაო პროცესში, შრომის ბაზრის ანალიზი და სხვა [40].

დუალური სისტემით სწავლებისას, სტუდენტები მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ კომპანიებში და შედარებით ნაკლებს - საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე გადამზადებას, სტაჟირებებს, სამუშაო პრაქტიკებს და მიზნად ისახავს შუამავლობას სასწავლებლიდან სრულ დასაქმებაზე გადასასვლელად. საქართველოში აღნიშნული ელემენტები და პრინციპები სრულად არ არის დანერგილი. მხოლოდ ზოგიერთი პროფესიული პროგრამა იყენებს დუალურ ელემენტებს და აქვთ სხვადასხვა სექტორებში გავრცელების პოტენციალი, მაგ. მეღვინეობაში, ტურიზმში, მშენებლობაში და ა.შ. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება კერძო სექტორის არასაკმარისი მონაწილეობა პროფესიული განათლების სისტემის მართვასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

შრომის ბაზრის სრულყოფისა და დასაქმების დონის ამაღლების შესაძლებლობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონებისათვის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რასაც აჭარის მაგალითზე თუ განვიხილავთ, გაუმჯობესებულია. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2020 წლისათვის 13 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აღირიცხებოდა, სადაც ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 2014-2019 წლებში სტაბილურია და მკვეთრად მცირდება 2020 წლისათვის. ამის მიზეზადაც შეიძლება ჩავთვალოთ საყოველთაო პანდემია, მასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ცვლილებები, რომლებმაც გამოიწვიეს სამეწარმეო აქტივობისა და დასაქმების პერსპექტივის შემცირება. ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხოვნობა არ შეესაბამება კურსდამთავრებულთა რიცხოვნობას. მაგალითად, 2013 წელს ჩარიცხული 4175 სტუდენტის დაახლოებით 49%-მა დაასრულა სწავლა, 2017 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა 56%-მა, ხოლო 2020 წელს კი - 48%-მა.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამ, პროფესიული განათლების საფეხურზე, სწავლების ტრანსფორმაციასა დამატებითი ბარიერები გამოკვეთა, დაკავშირებული და უწყვეტობასთან. სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ელექტრონული უზრუნველყოფა გართულდა. საინტერესო მაგალითს გვამღვს „The Impact of COVID-19 on Education“-ის ანგარიში, რომელიც OECD -ის მიერაა მომზადებული. OECD საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, პროფესიული განათლების სტუდენტთა 65% ჩართულია მხოლოდ ე. წ. „school based“ პროგრამებში, ხოლო დანარჩენი 35% კი, კომბინირებული სწავლების რეჟიმს იყენებს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და საწარმოს გათვალისწინებით. საწარმოთა ფუნქციონირების შეჩერებამ, ცხადია, შეაჩერა „შეგირდების“ მომზადების პროგრამებიც. აღნიშნულმა გავლენა მოახდინა დასაქმების მაჩვენებლებზეც. 2020 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 49%, მაშინ, როცა 2019 წელს, ის შეადგენდა 62%-ს, ხოლო 2018 წელს კი- 60%-ს [51].

2019 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშიდან ირკვევა, რომ კურსდამთავრებულთა თითქმის 40%-ს აქვს უმაღლესი განათლება, რაც მოწმობს პროფესიული განათლების მიმზიდველობას ნებისმიერი ასაკისა და განათლების მქონე ადამიანებისათვის. შეინიშნებოდა კურსდამთავრებულთა ზრდა ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა სინჟინრო და აგრარული მეცნიერებანი. წამყვან პოზიციებს იკავებს ისეთი დარგები, როგორცაა: სასურსათო ტექნოლოგიები (12,4%), დიზაინი (11,2%), ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია (9%), კომპიუტინგი/ინფორმატიკა (8,7%). კვლევის თანახმად, კურსდამთავრებულთა 28,9%-ს კვალიფიკაცია მიენიჭა თბილისში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო 22,9%-ს -აჭარის რეგიონში. ის დანარჩენ რეგიონებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია და კიდევ ერთხელ ადასტურებს აჭარის რეგიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობას[100].

ცხრილი 4. პროფესიული განათლების მაჩვენებლები აჭარის ა.რ. (ერთეული)

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა	10	10	9	9	15	14	15	13
ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა	4175	1961	2005	2079	2784	2652	2823	1615
კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	2041	1827	1714	1343	1565	738	2455	783
მასწავლებლების რიცხოვნობა	194	278	351	385	540	686	712	608

წყარო: საქსტატი.

- ❖ დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE-ზე, 2018 წელს გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:
- ❖ 2018 წლისათვის HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა 65 ათასზე მეტს შეადგენდა;
- ❖ HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიებიდან, პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე გამოცხადებული ვაკანსიები:
- ❖ ვაკანსიები მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (31,5%). ეს გამოწვეულია უშუალოდ გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (70,5%) მაღალი მოთხოვნით. კერძოდ, მაღალია მოთხოვნა მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებისა (12,453) და მოლარეების (1,391) პოზიციებზე; მიმტანებზე (1,569), დაცვის მუშაკებზე (1,532), მზარეულებსა (1,099) და ბარმენებზე (565).
- ❖ ვაკანსიები ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე (22,2%), რომელთა შორის დიდია ბიზნესისა და ადმინისტრაციის სპეციალისტებზე გამოცხადებული ვაკანსიების წილი (72,2%). კერძოდ, კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები (5237), საკრედიტო სესხის ოფიცრები (1720) და ოფისის ზედამხედველები (1628). სხვა ქვეჯგუფებიდან მაღალია მოთხოვნა სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალსა (1156) და კომერციული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსებზე (1081).
- ❖ სპეციალისტების (15,4%) პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიები, რომელშიც მაღალი წილით გამოირჩევა ვაკანსიები ბიზნესისა და ადმინისტრაციის სპეციალისტებზე (39,4%). კერძოდ, ბუღალტრებზე (2457), საზოგადოებასთან



ურთიერთობის სპეციალისტებზე (534), პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტებზე (390). სხვა ქვეჯგუფებიდან მაღალია მოთხოვნა პროგრამისტებზე (902), ტელეკომუნიკაციის ინჟინრებზე (410), იურისტებზე (319), საშუალო განათლებისა (319) და უცხო ენის მასწავლებლებზე, სკოლამდელი განათლების აღმზრდელებზე (204).

გამოცხადებული ვაკანსიები ოფისის დამხმარე პერსონალზე (13,9%). მათგან საკმაოდ ბევრია ვაკანსიები მიმღების ოპერატორებზე (1677), ტრანსპორტირების კლერკებზე (1665), საკონტაქტო ცენტრის კლერკებზე (1562), ბანკის მოლარეებსა (1463) და სატელეფონო კომპუტატორის ოპერატორებზე (1170)[60].

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი ჯგუფების გადანაწილების მიხედვით, HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა დაკავშირებულია შრომასთან, რომელიც მოითხოვს საშუალო და პროფესიულ განათლებას, ხოლო იმ ვაკანსიების ხვედრითი წილი, რომლებიც მოითხოვს უმაღლეს განათლებას, დაახლოებით 40%-ია [60].


2018 წელს, დაახლოებით 230 ათასი შეადგინა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა რიცხვმა, რომელთაგან აქტიური მაძიებელია 197,607 რეგისტრირებული. აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, სამუშაოს აქტიურ მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა 83,638 მომხმარებლით, რაც ზრდის მიხედვით, 73,4% შეადგენს. რეგიონულ ჭრილში მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან წარმოდგენილები რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები. კერძოდ: იმერეთი (13,8%), კახეთი (11%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (9,7%), ქვემო ქართლი (9,7%) და აჭარა (9,5%)[89].

სისტემაში დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებიდან, განათლების მიღწეული დონის მიხედვით, სამუშაოს მაძიებელთა უმრავლესობას (51%) საშუალო განათლების მქონე ადამიანები წარმოადგენენ. ასევე, მაღალია სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი და მიღებული აქვთ პროფესიული განათლება.

სამუშაოს მაძიებლების მიერ გაკეთებული განაცხადების მიხედვით, ყველაზე მოთხოვნად პოზიციებად დასახელდა: კონსულტანტი, ბუღალტერი, გაყიდვების

მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტი, ელექტრიკოსი, დაცვის სფეროს სპეციალისტი, მზარეული, მძღოლი.

**ნახ. 3.** შრომის ბაზრის მართვის სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები განათლების დონის მიხედვით




წყარო: საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს, სსიპ „სოციალური სააგენტოს“ დასაქმების პროგრამების დეპარტამენტს, 8 932 ვაკანსია მიაწოდა 782-მა დამსაქმებელმა (ნახ.2.). ვაკანსიების ძირითადი ნაწილი მოდიოდა თბილისზე (62,4%), იმერეთზე (10,6%), კახეთზე (10,4%), აჭარა (3,6%). ვაკანსიათა უმრავლესობა მოდიოდა მომსახურებისა და გაყიდვების სფეროზე (56%), ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე (23,4%). მაღალია მოთხოვნა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელზეც (9,2%). როგორც ვხედავთ, სააგენტოში შესული ვაკანსიების განაწილება თანხვედრაშია 2018 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებთან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყანაში მაღალია მოთხოვნა „ლურჯ საყელოიან“ სამუშაო ძალაზე და შესაბამისად, დაბალია მოთხოვნა „თეთრ საყელოიან“ მუშახელზე, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლება და ფლობენ მაღალი საფეხურის უნარებს. ამას ადასტურებს ვაკანსიების მიხედვით დამსაქმებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნაც, რომელიც დაბალი და საშუალო დონის უნარებით შემოიფარგლება და მოიცავს ისეთ პროფესიულ ჯგუფებს, როგორიცაა: დამლაგებელი/დიასახლისი/დასუფთავების სპეციალისტი, კონსულტანტი/მოლარე-კონსულტანტი, მუშა, დაცვის თანამშრომელი (სხვადასხვა სფეროში),

მძღოლი, მზარეული, ადმინისტრატორი, გაყიდვების მენეჯერი/გაყიდვების აგენტი (სხვადასხვა სფეროში); მკერავი; ქოლ-ცენტრის ოპერატორი, ავტომობილის მრეცხავი, ბენზოგასამართი სადგურის ოპერატორი, ოფისის მენეჯერი, ელექტრო შემდუღებელი[60].

ნახ. 4. დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში შემოსული ვაკანსიები 2014-2019.



წყარო: Worknet.

სხვა სურათს გვამღევს პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით სტუდენტთა მიღების ანალიზი. მაგალითად, 2019-2020 სასწავლო წელს, საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სრუდენტთა რაოდენობამ 30 750 კაცი შეადგინა, ხოლო 2020-2021 წელს ჩარიცხულთა რაოდენობამ კი - 32 236 კაცი. აღნიშნული წლებისათვის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულთა რაოდენობამ კი შესაბამისად შეადგინა 1856 და 1877 სტუდენტი (იხ. ცხრილი 5.). ყველაზე მოთხოვნად საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს წარმოადგენს ბიზნესი და მართვა, სამართალი, მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ, სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები, კომპიუტერული საქმე, მომსახურება, ინჟინერია და საინჟინრო საქმე და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის ბაზარზე დიდია მოთხოვნა საშუალო და დაბალი უნარ-ჩვევების მქონე სამუშაო ძალაზე, რომელთაც ძირითადად შეესაბამება პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები. შესაბამისად, მაღალი უნარების

მქონე სპეციალისტები ვერ პოულობენ შესაბამის სფეროსა და ვაკანსიებს დასაქმებისათვის და იძულებულნი ხდებიან დაიკავონ შრომის ბაზრის მიერ შემოთავაზებული სამუშაო პოზიციები, რის გამოც ვერ ხდება სამუშაო ადგილებზე მათი უნარ-ჩვევების რეალიზაცია-გაუმჯობესება და პროფესიული ზრდა. ასე მაგალითად, ბიზნესისა და მართვის სპეციალისტთა დიდი ნაწილი იკავებს ისეთ პოზიციებს, როგორცაა მოლარე-კონსულტანტები, გაყიდვების მენეჯერები და სხვა, რაც მათ არ აძლევთ პროფესიული და თანამდებობრივი ზრდის შესაძლებლობას.

**ცხრილი 5.** სტუდენტთა მიღება პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით

სასწავლო წელი/ პროგრამები	2019-2020 სასწავლო წელი			2020-2021 სასწავლო წელი		
	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა, რეზიდენტურა	პროფესიული პროგრამა
<b>მიღებული სტუდენტები, სულ</b> მათ შორის:	<b>30750</b>	<b>10640</b>	<b>1856</b>	<b>32236</b>	<b>12541</b>	<b>1877</b>
<b>განათლება</b>	<b>460</b>	<b>172</b>	<b>178</b>	<b>699</b>	<b>262</b>	<b>673</b>
მასწავლებელთა მომზადება და პედაგოგიური მეცნიერება	460	172	178	699	262	673
<b>ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება</b>	<b>3196</b>	<b>596</b>	<b>10</b>	<b>3719</b>	<b>675</b>	<b>-</b>
ხელოვნება	683	178	10	746	135	-
ჰუმანიტარული მეცნიერებები	2513	418	-	2973	540	-
<b>სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი, სამართალი</b>	<b>14451</b>	<b>3821</b>	<b>425</b>	<b>15725</b>	<b>5620</b>	<b>432</b>
სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებები	3789	649	-	4099	691	-
ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	489	68	62	611	81	58
ბიზნესი და მართვა	6558	1921	363	6927	3117	374
სამართალი	3615	1183	-	4088	1731	-
<b>მეცნიერება</b>	<b>5693</b>	<b>891</b>	<b>233</b>	<b>4815</b>	<b>1560</b>	<b>89</b>
მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ	2347	414	-	2005	1040	-
ფიზიკური მეცნიერებები	1099	151	79	602	163	-
მათემატიკა და სტატისტიკა	185	34	-	177	57	-
კომპიუტერული საქმე	2062	274	154	2031	300	89
<b>საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები</b>	<b>2376</b>	<b>489</b>	<b>413</b>	<b>2213</b>	<b>557</b>	<b>333</b>

ინჟინერია და საინჟინრო საქმე	1175	202	342	1154	447	324
საწარმოო და დამამუშავებელი დარგები	147	8	12	209	12	9
არქიტექტურა და მშენებლობა	1054	279	59	850	298	-
<b>სოფლის მეურნეობა</b>	<b>737</b>	<b>160</b>	<b>58</b>	<b>782</b>	<b>209</b>	<b>78</b>
<b>ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1554</b>	<b>4433</b>	<b>28</b>	<b>2337</b>	<b>3495</b>	<b>99</b>
ჯანდაცვა	1509	4433	28	1336	3486	99
სოციალური უზრუნველყოფა	45	-	-	1	9	-
<b>მომსახურება</b>	<b>2283</b>	<b>78</b>	<b>511</b>	<b>1946</b>	<b>193</b>	<b>173</b>
მომსახურების სფერო	1403	26	67	1471	44	-
ტრანსპორტი	619	9	444	296	38	124
გარემოს დაცვა	196	23	-	127	53	49
უსაფრთხოების სამსახური	65	20	-	52	48	-

**წყარო: საქსტატი**

ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესი შეუძლებელია შრომითი ფაქტორის გამოყენების გარეშე. დასაქმებისა და უმუშევრობის ანალიზისათვის, თვისებრივ დახასიათებასთან ერთად, საჭიროა, რაოდენობრივი შეფასებაც, რომელიც ხორციელდება შესაბამის მაჩვენებელთა სისტემის საშუალებით, მათგან აღსანიშნავია: უმუშევართა რიცხოვნობა, უმუშევრობის დონე, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, პროფესიულ-დარგობრივი, რეგიონულ-ტერიტორიული სტრუქტურა და სხვა.

აღსანიშნავია რომ უმუშევართა რიცხოვნობის დადგენის მეთოდოლოგია განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში და ძირითადად ეყრდნობა ორ მეთოდოლოგიურ ხერხს. პირველის თანახმად, უმუშევრობის მაჩვენებლები შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე ტარდება პერიოდულად (აშშ, იაპონია), ხოლო მეორე მიდგომა კი, ითვალისწინებს უმუშევრობის მაჩვენებლის დადგენას დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში შესული განცხადებების საფუძველზე, რომლითაც განმცხადებლები ითხოვენ უმუშევრობის სტატუსის მოპოვებას (დიდი ბრიტანეთი). როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც არის სოციალური უზრუნველყოფის მაღალი დონე, მეორე მოდელს ეძლევა უპირატესობა, ვინაიდან შესაძლებელია სამუშაოს ძებნაში ან უმუშევრობის გამო, კომპენსაციის მიღებაში მხარდაჭერა.

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კი, უმუშევრები არ მიმართავენ დასაქმების სააგენტოს, რადგანაც არ ელოდებიან მისგან არც სოციალურ უზრუნველყოფას, არც დაფინანსებას და სამუშაოს მიღებაში დახმარების იმედიც არ აქვთ.

საქართველოში სამუშაო ძალის გამოკვლევა არის შერჩევითი ხასიათის, რომელიც ტარდება შინამეურნეობებში. კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის შესახებ მონაცემების წარმოება (უმუშევარი, დასაქმებული, ეკონომიკური აქტიური (სამუშაო ძალა) და მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ). სამუშაო ძალის გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს, რომელსაც თან ახლავს სტატისტიკური გადახრის (ცდომილების) არსებობა. შესაბამისად, გამოკვლევის შედეგების გაანგარიშებისას, მხედველობაში მიიღება შერჩევის სტანდარტული გადახრა. გამოკვლევის შერჩევის ზომა შეადგენს დაახლოებით 6 000 შინამეურნეობას კვარტალში. სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები 2018 წლიდან ვრცელდება კვარტალურად:

- კვარტალური – საანგარიშო პერიოდის გასვლიდან 50-ე დღეს;
- წლიური – საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის მაისში.

წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი შრომითი რესურსების ფუნქციონირების ეფექტიანობაცაა. შრომის ეფექტიანობას განსაზღვრავს მუშაკთა კვალიფიკაციის დონე, დასაქმების პროგრამების ეფექტიანად განხორციელება, შრომის მოტივაციის ხარისხი. აღნიშნული მაჩვენებლების შეფასებისას, პირველ რიგში, საჭიროა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შეფასება. საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დონე 50,3%-ია [62]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლის ცვლილება უკავშირდება საქსტატის მიერ უმუშევრობის აღრიცხვის ახალ მეთოდოლოგიას, რომლის თანახმადაც, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვს აღარ მიეკუთვნებიან ის მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი თავის რჩენის მიზნით საქმიანობენ საოჯახო მეურნეობებში და არ ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას ბაზარზე[62].

**ცხრილი 6. აჭარის ა.რ. სამუშაო ძალის მაჩვენებლები (2014-2019 წ.წ.)**

ათასი კაცი


მაჩვენებლები/წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ 15+ მოსახლეობა	269,5	271,7	273,4	268,7	273,0	268,5
სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა)	177,3	181,1	171,7	166,2	162,1	155,4
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	92,2	90,6	101,8	102,4	110,9	113,2
უმუშევრობის დონე, %	38,6	35,2	31,2	22,5	18,3	17,6
სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე, %	65,8	66,6	62,8	61,9	59,4	57,9
დასაქმების დონე, %	40,4	43,2	43,2	48,0	48,5	47,7

წყარო: საქსტატი

**ცხრილი 6-ის** თანახმად, სამუშაო ძალის აქტიურობის დონე 2019 წლისათვის 57,9%-ია, რაც აღემატება საერთო სახელმწიფოებრივ მაჩვენებელს (50,7%). მიუხედავად ამისა, უმუშევრობის დონე 2018-2019 წლებში მაინც მაღალია და შეადგენს შესაბამისად 18,3% და 17,6%, რაც არასახარბიელო სურათს ქმნის და მიუთითებს ეკონომიკური აქტივობის დაბალ დონეზე, რომელსაც, თავის მხრივ, გააჩნია სხვადასხვა მიზეზი. ამ მიზეზთა შორის აღსანიშნავია მუშაკთა კვალიფიკაცია. რაც უფრო მაღალია მუშაკთა კვალიფიკაცია, მით უფრო მაღალია მათი შრომის შედეგიანობა. აჭარა წარმოადგენს ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს საქართველოში და გამოირჩევა რესურსული პოტენციალით, საინვესტიციო მიმზიდველობითა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებით, რამაც უნდა გამოიწვიოს დასაქმების სტაბილური დონე. ევროპაში უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე არის სოფლად და გადატაკებულ რეგიონებში. მაგ: სამხრეთ ესპანეთში, საბერძნეთში ან თურქეთის ტერიტორიებზე, რომელიც ესაზღვრება სირიასა და ერაყს. საქართველოში არსებული ფენომენი კი, შეიძლება აიხსნას წარმოებისა და მომსახურეობის სექტორების შედარებით ნელი განვითარებისა და ბიზნესის დაბალი მდგრადობის მაჩვენებლებით. ასევე, იმ ვითარებითაც, როცა ადამიანების გარკვეული რაოდენობა უმუშევართა კატეგორიიდან ისე გადადის არასამუშაო ძალის კატეგორიაში, რომ ვერასოდეს პოულობს სამსახურს.

შრომის ბაზრის ტრანსფორმაციაზე გავლენას ახდენს როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციები, რაც ახალ პროფესიებზე მოთხოვნის წარმოქმნაში გამოიხატება. საჭირო ხდება უმაღლესი და პროფესიული განათლების არსებული პროგრამების ცვლილებები და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა, რაც ნიშნავს მოთხოვნადი პროფესიისა და სპეციალობის კადრების მომზადებას.

**ნახ. 5.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

როგორც ნახ. 5. ჩანს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2016-2019 წლებში სჭარბობდა ისეთ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, ენერჯეტიკა, საფინანსო სექტორი, დამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ. ანალოგიური სურათი გვაქვს აჭარის რეგიონის მიხედვითაც.



**ნახ.6.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარის ა.რ. (ათასი აშშ დოლარი)



**წყარო:** საქსტატი

აღსანიშნავია, რომ ინვესტიციათა ყველაზე დიდი წილი მოდის მშენებლობის სექტორზე, საფინანსო სექტორზე, ენერგეტიკასა და დამამუშავებელ მრეწველობაზე. მნიშვნელოვანია, რომ აჭარაში, 2019-2020 წლებში, ინვესტიციის უდიდესი ნაწილის ფორმირება ხდება სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის ხარჯზე. მაგალითად, 2020 წლის მეორე კვარტლის მთლიან ინვესტიციებში, სააქციო კაპიტალში, ინვესტირების წილი 90%, ხოლო რეინვესტირების მაჩვენებელი- 7% იყო.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად, რასაც თან ახლავს რეგიონის ეკონომიკის სწრაფი განვითარება, ახალი საწარმოების გაჩენა, აქტუალური ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების საკითხიც. როგორც დანარჩენ საქართველოში, ასევე აჭარის ა/რ-შიც, გამოიკვეთა, რომ მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება და მოზიდვა. ასევე, რეგიონში სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა საგრძნობლად აჭარბებს გამოცხადებულ ვაკანსიებს, რის გამოც, რეგიონშიც მნიშვნელოვანი დისბალანსია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

ხშირ შემთხვევაში, ქვეყანაში უცხოელ ინვესტორს მოაქვს არა მხოლოდ კაპიტალი, თანამდროვე ტექნოლოგიები და სხვადასხვა ინოვაციები, არამედ მოჰყავს უცხოელი შრომითი რესურსი მართვის აპარატშიც კი, მაღალანაზღაურებადი ინჟინერ ტექნიკური პერსონალი და ზოგჯერ მუშებიც კი. მიზეზად ასახელებენ ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის დაბალ დონეს ქვეყანაში. ხშირ შემთხვევაში, ქვეყანაში უცხოელი მუშახელის დასაქმების მიზეზია ადგილობრივ შრომის ბაზარზე სხვადასხვა სპეციალისტისა თუ კვალიფიკაციის მქონე კადრების არ არსებობა. ამიტომ

გამოსავალი განათლების სფეროს მოდიფიცირებაშია, სადაც მოხდება მოთხოვნადი კადრების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის, რაც გაზრდის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეს.

ეს პრობლემა არა მხოლოდ აჭარაში, არამედ მთლიანად საქართველოში არსებობს. საჭიროა უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით კომპლექსური და თანმიმდევრული რეფორმა განათლების სისტემაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში განათლების რეფორმები მეტ-ნაკლებად ხორციელდება, სხვადასხვა მიმართულებისა და პროფესის მქონე კადრების საბაზრო მოთხოვნებთან შეუსაბამო ცოდნა და უნარ-ჩვევები განათლების პროგრამების არაეფექტურობაზე მეტყველებს. შედეგად, დამსაქმებელთათვის ხშირ შემთხვევაში პრობლემურ საკითხად რჩება სამუშაოს შესრულების ხარისხი, რაც აისახება მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობაზე [35; 37].

<b>ცხრილი 7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ერთეული)</b>				
	სახელმწიფო		კერძო	
	2018/2019	2019/2020	2018/2019	2019/2020
საქართველო, სულ	<b>19</b>	<b>19</b>	<b>44</b>	<b>43</b>
ქ. თბილისი	8	8	31	29
აფხაზეთის არ*	1	1	-	-
აჭარის არ	3	3	5	6
გურია	-	-	-	-
იმერეთი	2	2	2	2
კახეთი	1	1	2	2
მცხეთა-მთიანეთი	-	-	1	1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	1	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	1	1	1
სამცხე-ჯავახეთი	1	1	1	1
ქვემო ქართლი	-	-	-	-
შიდა ქართლი	2	2	-	-

\* უნივერსიტეტი ფუნქციონირებს თბილისის ტერიტორიაზე.  
წყარო: შედგენილია ავტორის მიერ

## თავი მეორე

### დივერსიფიკაცია, როგორც ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის მექანიზმი

#### 2.1. დივერსიფიკაციის კონცეპტუალური გააზრება

დღეისათვის დივერსიფიკაცია წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის კურსს, რომელიც მიმართულია ეკონომიკური საქმიანობის ვიწრო მიმართულებით ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირებისაკენ და დაბალანსებული საწარმოო სტრუქტურის შექმნისაკენ [104], რომელიც მოგვცემს დამატებით შემოსავლებს, გაზრდის დასაქმებას, შეამცირებს ციკლურ და საბაზრო რისკებს. დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით დისკუსია ასოცირდება განვითარებად ქვეყნებთან და ჩამორჩენილ რეგიონებთან, რომელთა ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობა სანედლეულო საქონელს, თუმცა დივერსიფიკაციის აუცილებლობა აღიარებულია მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერებად ქვეყნებშიც. სახელმწიფო პროგრამები New Manufacturing (აშშ) და Industry-4 (გერმანია) გულისხმობენ დამამუშავებელი მრეწველობის აგებას ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე და მრეწველობის ახალი დარგების შექმნას, ახალ ინდუსტრიალიზაციას. ამასთან დაკავშირებით ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ის მიმართულებები, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციურ განვითარებასთან, ე.ი. ისეთი დარგების ზრდასთან, რომლებიც ეფუძნება ცოდნასა და ინოვაციებს [142].

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „დივერსიფიკაციის“ განსაზღვრების და არსის სხვადასხვა გაგება არსებობს. კერძოდ, დივერსიფიკაცია, რამდენიმე ტიპის ბიზნესის ერთდროული წარმართვა [24; 15]. ან კიდევ, დივერსიფიკაციას განსაზღვრავენ, როგორც ძირითადი ბიზნესის გაფართოების გზას, რათა გაიზარდოს მიწოდება ან და შეამციროს რისკი, რომელიც მოიცავს:

- 1) ყველა ინვესტიციას, გარდა იმ ინვესტიციებისა, რომლებიც პირდაპირ არის გათვლილი არსებული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის;
- 2) შეუძლია მიიღოს ინვესტიციების ფორმა ახალ პროდუქტებში, მომსახურებებში, ბაზრის სეგმენტებსა და გეოგრაფიულ ბაზრებზე;

3) მიღწეულ შედეგებს შორის შიდა განვითარების, შენაძენების, ერთობლივი საწარმოების, სალიცენზიო ხელშეკრულებების ორგანიზების შესაძლებლობას [121].

დივერსიფიკაციის შესახებ, ბოლოდროინდელი კვლევების მიმოხილვა გამოკვეთს შემდეგ ახალ პოზიციებს, რომლებიც:

1. დივერსიფიკაციას უკავშირებს კორპორაციის შეღწევადობის პროცესს ახალ ინდუსტრიებსა და გეოგრაფიულ ბაზარზე, ოპერაციების რისკის შესამცირებლად და ფულადი ნაკადების სტაბილიზაციის მიზნით [26].

2. დივერსიფიკაცია, როგორც ფირმების შეჭრა იმ ინდუსტრიებში, რომლებსაც არ აქვთ წარმოებასთან პირდაპირი კავშირი ან ფუნქციონალური დამოკიდებულება მასთან. მათი საქმიანობის ფილიალები; ფართო გაგებით - ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება ახალ სფეროებზე [201].

3. დივერსიფიკაციას განსაზღვრავს, როგორც კომპანიის განვითარების სტრატეგიას, რომელსაც იყენებს იმ შემთხვევაში, თუ ფირმებს არ შეუძლიათ განვითარდნენ მოცემულ ბაზარზე მოცემული პროდუქტით მოცემულ ინდუსტრიაში [187].

4. განსაზღვრავს დივერსიფიცირებულ კომპანიას, როგორც კომპანიას ერთზე მეტი განყოფილებით (სეგმენტით) [129]. როგორც ჩანს, ტერმინი დივერსიფიკაცია მუდმივად ხდება უფრო რთული და დეტალური. დივერსიფიკაცია თანამედროვე პირობებში განიხილება, როგორც ერთ-ერთი პირობა და ერთ-ერთი ყველაზე აშკარა შესაძლებლობა საწარმოს წარმატებული განვითარებისაკენ.

გვხდება ავტორთა სხვადასხვა განმარტებები. განმარტებისას ზოგი ყურადღებას ამახვილებს დივერსიფიკაციის მიზნებზე (რისკის შემცირება, შემოსავლის დაკარგვა ან კაპიტალი) [110], ზოგი კი - ამ მიზნების მიღწევის საშუალებებზე (კომპანიების შექმნა სხვადასხვა სფეროში, ახალი საქონლის ბაზრებზე საქმიანობის სფეროების გაფართოება, წარმოების ახალ სფეროებში შეღწევა და ა.შ.) [118].

ამრიგად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დივერსიფიკაციის სტრატეგიის პრობლემებს მნიშვნელოვანი კვლევები ეძღვნება, თუმცა არ არსებობს

ერთიანობა დივერსიფიკაციის მიდგომებთან დაკავშირებით და შესაბამისად, განსხვავებულია განმარტებებიც.

დივერსიფიკაციის მრავალფეროვანი ბუნებისა და არსებული პრაქტიკის შეფასების საფუძველზე, მიგვაჩნია რომ საწარმო დივერსიფიკაცია ერთგვრი კორპორატიული დონის სტრატეგიაა, რომელიც შემუშავებულია საწარმოს კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც მოიცავს საწარმოს წარმოების სექტორებისა და მიმართულებების ფორმირებას ტექნოლოგიურად ახალი საქმიანობის სფეროებში[35;37]. ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება საწარმოო დივერსიფიკაციას, ახალი წარმოების განვითარებას უზრუნველყოფს ის სხვადასხვა სახის რესურსები, რაც საწარმოს აქვს. კონგლომერაციული დივერსიფიკაციის შემთხვევაში კი, აუცილებელი და საკმარისი პირობაა, მხოლოდ ერთი - ფინანსური რესურსის არსებობა.

დივერსიფიკაციის შემოთავაზებული განმარტების საფუძველზე, ჩვენ ვთვლით, რომ დივერსიფიკაციის პირობებში არ უნდა მოიაზრებოდეს:

პირველი, „ბაზრების დივერსიფიკაცია“, თუ ტერმინი ”ბაზარი” გაგებულია, როგორც გარკვეული გეოგრაფიული სეგმენტი;

მეორე, კაპიტალის ინვესტიცია სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებში. დივერსიფიკაცია უკავშირდება საწარმოო საქმიანობის კორპორატიულ სტრატეგიას მისი ძირითადი კომპეტენციების გამოყენებით.

მესამე, პროდუქტის შეცვლა, რომელშიც ფირმა რჩება "საკუთარ" ინდუსტრიაში. „ინდუსტრიაში“ ვგულისხმობთ მსგავსი ტექნოლოგიის მქონე ბიზნესის ერთობლიობას.

დივერსიფიკაცია ასოცირდება კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვან გამოყენებასთან და კომპანიის ეფექტურობას განსაზღვრავს ინდივიდუალური პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი. თუ კომპანიის პროდუქტებს აქვს ძალიან ვიწრო გამოყენება, მაშინ იგი სპეციალიზირებულია. თუ ისინი მრავალფეროვან გამოყენებას ექვემდებარებიან, ეს დივერსიფიცირებული კომპანიაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით, სპეციალიზებულ კომპანიებში შედის ისეთი მიმართულებები, სადაც ერთი

პროდუქტი მთლიანი გაყიდვების 70% -ზე მეტს შეადგენს (ერთპროდუქტიანი კომპანიები და დომინანტი პროდუქტის მქონე კომპანიები). დივერსიფიცირებული კომპანიები განსხვავდებიან მათი პროდუქციის ასორტიმენტის კლასიფიკაციის მიხედვით, გამოყენებულ ტექნოლოგიებთან და გაყიდვების მახასიათებლებთან მიმართებაში. ამგვარი კლასიფიკაცია ვრცელდება მხოლოდ მიმდინარე პერიოდში გამოშვებულ პროდუქტებზე ან მომსახურებებზე და არ მოქმედებს პროდუქტის ან მომსახურების შემდგომ ცვლილებებზე, რადგან დროთა განმავლობაში სპეციალიზირებული სუბიექტი შეიძლება გადაკეთდეს დივერსიფიცირებულ ერთეულად, საწარმოოდ და პირიქით [110].

იდეალური ვარიანტი ნებისმიერი სუბიექტისათვის არის პროდუქტიულობის, სასარგებლო ურთიერთობების შესაძლო ჩავარდნებისა და დანაკარგების თავიდან აცილება, რაც შესაძლებელია ამ კონკრეტული ინდიკატორების შესახებ სხვადასხვა სუბიექტის პროგნოზებით. დივერსიფიკაციის საჭიროების დადგენა შესაძლებელია სასურველი და შესაძლო დონის შედარების გზით, რომელიც მიღწეულია სუბიექტის საქმიანობის შედეგად. ნაკლებად წარმატებული რეგიონებისათვის, რომლებიც არ გეგმავენ (ან არ შეუძლიათ დაგეგმვა) სამომავლო ქმედებებს, ამგვარი საქმიანობის ხარვეზის პირველი ნიშანი, ხშირად შეკვეთების წილის შემცირება ან ურთიერთობების გაგრძელების შესაძლებლობების არასრულყოფილებაა.

თითოეულ შემთხვევაში, დივერსიფიკაციის სხვადასხვა მიზეზმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ან გამოიწვიოს პრობლემის განსხვავებული გადაწყვეტა.

დივერსიფიკაციის ყველა მიზეზი გამოწვეულია ერთი ფაქტორით - სუბიექტებსა და პარტნიორებთან ოპტიმალური ურთიერთობით, საწარმოს ეფექტურობის გაზრდით, არა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში ან უახლოეს მომავალში, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივით.

არსებობს დივერსიფიკაციის კრიტერიუმი. ასეთი კრიტერიუმის დადგენა რეკომენდებულია მხოლოდ იმ სუბიექტებისათვის, რომლებიც ნამდვილად არიან დაინტერესებულნი დივერსიფიკაციით. სწორედ, დივერსიფიკაციის სწორი მართვა გამოირიცხავს სხვადასხვა შეცდომების სავარაუდო დაშვებას და გარდა ამისა,

შეიძლება მოგვეცეს უსაფრთხოების და კარგი კონტროლის პროგრამის შექმნის შესაძლებლობა.

დივერსიფიკაციის შეფასებისა და ღონისძიებების შემუშავების პროცესს დრო, ძალისხმევა და ფრთხილად შესწავლა სჭირდება. ნაჩქარევი დასკვნა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ბაზრის კვლევის, პროცესებისა და პროდუქტების ტექნიკური კვლევის, ფინანსური ანალიზის, თუნდაც რაიმე სახის შეხვედრებისა და გარე ექსპერტების მომსახურებების საფუძველი ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად. ეს საჭიროა, მხოლოდ, როგორც საფუძველი, რათა თავიდანვე დადგინდეს რამდენად არის შესაძლებელი პრობლემის მოგვარება. შეფასებამ შეიძლება აჩვენოს, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად კარგია, მაგრამ არა ამ კომპანიისთვის, იმ მიზნებისთვის ან კიდევ კონკრეტულ პარტნიორთან ურთიერთობისათვის.

დივერსიფიკაციის მეთოდები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისტემაზე, ბიზნესსა და მენეჯმენტზე [110]. დივერსიფიკაცია მოითხოვს მოქნილობის ისეთ ხარისხს, რომ არცერთი ფაქტორი არ უნდა გამოირიცხოს ღონისძიებების დასაწყისში. დივერსიფიკაციის თითოეული შემთხვევა მოითხოვს შესაბამის მიდგომასა და ანალიზს, მაგრამ ყველა შესაძლო მეთოდი ერთდროულად უნდა იქნას განხილული. დივერსიფიკაციის პროგრამები შეიძლება შეიცავდეს წარმოდგენილ (განხილულ) მეთოდებიდან ერთ-ერთს.

1. ყველა არსებული რესურსი, ისევე როგორც აღჭურვილობა, უნდა იქნას გამოყენებული მომავალში საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნების მისაღწევად. ეს მეთოდი საკმაოდ ბუნებრივია იმ სუბიექტებისათვის, რომელთა პერსონალი განმსჭვალულია კვლევის სულისკვეთებით;

2. პროდუქტიულობის ზრდა ხდება აღჭურვილობის რაოდენობისა და ორგანიზაციის ხარისხის გაზრდით, რაც, როგორც წესი, იწვევს პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას;

3. სუბიექტი, რომელიც საქმიანობის გარკვეულ სფეროზეა ორიენტირებული, დაკავდება ან ნაღდი ფულის, ან აქციების, ან ორივეს კომბინაციის ყიდვით. ცენტრალური კორპორატიული ფუნქციები ვრცელდება ახალ დესტრუქტურაზე,

მენეჯმენტის უნარებსა და გამოცდილებაზე და საბოლოო ჯამში, იწყებს მუშაობას ახლად შექმნილი ურთიერთობების მოთხოვნების შესრულებისათვის;

4. დაახლოებით იგივე ზომის და საქმიანობის სუბიექტების გაერთიანება საუკეთესო ორგანიზებული ფორმების გამოყენებით;

5. ინტერესის გაღრმავება სხვა რესურსების მიმართ, რომელიც გამოიხატება პირდაპირ მონაწილეობაში, ამასთან, არსებული ურთიერთობები ძალაშია და გადაწყვეტილებები მიიღება დამოუკიდებლად.

6. ფულადი სახსრების, მენეჯერული ნიჭის, ტექნიკური უნარ-ჩვევების, პატენტებია და სხვა რესურსების ჩართვის მთელი პროცესი უნდა გაგრძელდეს ისე, რომ სუბიექტს შეეძლოს გარკვეული სახის სარგებლის მიღება. მაგალითად, ნედლეულის გარანტირებული მიწოდება და ინვესტიციის დაბრუნება, გარკვეული სარგებელი სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობისგან. ზოგიერთ შემთხვევაში, ურთიერთთანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია, შეიქმნას ახალი სუბიექტები.

7. მომხმარებლის მხარდაჭერა დივერსიფიკაციის შეცვლის ან მათი საქმიანობის გაფართოების პროცესში. მხედველობაშია ის, რომ მყიდველის საჭიროებები (მაგალითად, საკურორტო კომპლექსები) შეიძლება შეფასდეს დივერსიფიკაციის ხელშემწყობ ფაქტორად.

შესაძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტის განხილვა ყველა დეტალის გათვალისწინებით, რადგან დივერსიფიკაციის თითოეულ სიტუაციას აქვს სხვადასხვა ასპექტი. დივერსიფიკაცია მოიცავს ფართო სპექტრის შესაძლებლობებს, დაწყებული წარმოების ახალ არეალში საკმაოდ შეზღუდული შეჭრით მხოლოდ მოცემულ რეგიონში ("ვიწრო" დივერსიფიკაცია), დამთავრებული სხვა ქვეყნების საწარმოო ზონებში ფართო შემოჭრით ("ფართო" დივერსიფიკაცია).

უპირველეს ყოვლისა, ამ პრობლემის განხილვისას უნდა მოხდეს ამ სპექტრის საკმაოდ მარტივი ანალიზი. ამის მიხედვით, ჩვენ გვაქვს ე. წ. „ვერტიკალური ინტეგრაცია“, როდესაც სუბიექტი იყენებს თავისი რესურსების ნაწილს, შექმნას ან შეიძინოს პარტნიორები, რომლებიც საჭირო მასალებსა და ნედლეულს მიაწოდებენ და ან უზრუნველყოფენ ამ კომპანიის პროდუქციის ბაზრებს. ამგვარი დაყოფის ფონზე



შეიძლება გამოიყოს სამი პროცესი, რომელსაც დივერსიფიკაციის მოტივებს უწოდებენ.

- არსებული კომბინაციისთვის, პროდუქტი არის ბაზარი, რომელმაც დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა მოძველებული ან მკაცრი კონკურენციის გამო;

- პროდუქტის არსებული კომბინაციისთვის - ბაზარი, რომელმაც სიმწიფის და გაჯერების ეტაპს მიაღწია, როდესაც პოტენციალის ზრდა არ ამართლებს მისაღები საშუალებებისა და რესურსების გამოყენებას;

- რეცესიის ან შესაძლო ზედმეტი გაჯერების პირობების დასაძლევად. ეს ხორციელდება ინვესტიციების და რისკის განაწილებით, წარმოების ყველა სფეროში,

ყველა ეს მოტივი შეიძლება ცალკე არსებობდეს, მაგრამ მათი შერწყმა შესაძლებელია ერთმანეთთანაც. ეს დამოკიდებულია თითოეულ სუბიექტში არსებულ კონკურენტულ გარემოებებზე. ამიტომ, დივერსიფიკაციის ფორმის არჩევა კარგად უნდა იყოს დასაბუთებული და ამ გარემოებების შესაბამისად ზუსტად დაგეგმილი.

არსებობს დივერსიფიკაციის შესაძლებლობების სამი ტიპი:

1. თითოეული შემოთავაზება უნდა შედგებოდეს ფუნქციური კომპონენტების, ნაწილებისა და ძირითადი სუბიექტებისაგან, რომლებიც შემდგომში შექმნიან ერთ მთლიანობას. დივერსიფიკაციის ერთ-ერთი ცნობილი გზაა ვერტიკალური დივერსიფიკაცია, რომელსაც ახასიათებს კომპონენტების, ნაწილების და მასალების გაფართოება და განშტოება. ერთი შეხედვით, ვერტიკალური დივერსიფიკაცია შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს დივერსიფიკაციის სტრატეგიის ჩვენეულ ხედვასთან. ამასთან, შესაბამისი მისიები, რომლებიც ამ კომპონენტებმა, ნაწილებმა და მასალებმა უნდა შეასრულონ, მნიშვნელოვნად განსხვავდება მთელი საბოლოო პროდუქტის მისიისგან. უფრო მეტიც, ამ ნაწილების და მასალების დამუშავებისა და წარმოების ტექნოლოგია, ასევე, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბოლოო პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიისგან. ამრიგად, ვერტიკალური დივერსიფიკაცია გულისხმობს ახალი მისიების შექმნას და ახალი პროდუქციის წარმოებასაც;

2. კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტია ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია. ეს შეიძლება ახასიათებდეს ახალი პროდუქტების შემოღებას, როდესაც ისინი არანაირად არ შეესაბამება არსებული პროდუქციის ასორტიმენტს და იძენენ მისიებს, რომლებიც ემთხვევა კომპანიის ნოუ-ჰაუს და გამოცდილებას ტექნოლოგიაში, ფინანსებსა და მარკეტინგში;

3. ასევე, შესაძლებელია გვერდითი დივერსიფიკაცია. თუ ვერტიკალური და ჰორიზონტალური დივერსიფიკაცია, ფაქტობრივად, ზღუდავს (იმ გაგებით, რომ ისინი ზღუდავენ ინტერესთა სფეროს), გვერდითი დივერსიფიკაცია, პირიქით, ხელს უწყობს მის გაფართოებას. ამით კი, სუბიექტი აცხადებს, რომ აპირებს შეცვალოს არსებული ბაზრის სტრუქტურა [118].

არჩევანი ნაწილობრივ, დამოკიდებული იქნება იმ მიზეზებზე, რაც სუბიექტს დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს. მაგალითად, ინდუსტრიის ტენდენციების გათვალისწინებით, ტურისტულ ინდუსტრიას შეუძლია გადადგას ნაბიჯები, რათა გაამრავალფეროვნოს თავისი გრძელვადიანი მიზნები და მას აქვს არაერთი უპირატესობა. კერძოდ:

- მიმართულება ხელს უწყობს წარმოების ამჟამად არსებული ტიპის ტექნოლოგიურ პროგრესს;
- დივერსიფიკაცია ზრდის ბაზრის სეგმენტების დაფარვის შესაძლებლობებს;
- მიმართულება ზრდის კომერციული გაყიდვების წილსაც გაყიდვების მთლიან პროგრამაში;
- მოძრაობა აწესრიგებს პროდუქციის გაყიდვებს ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაშიც;
- მოძრაობა, ასევე, ხელს უწყობს კომპანიის ტექნოლოგიური ბაზის გაფართოებას.

დივერსიფიკაციის ზოგიერთი მიზანი, რეგიონულ ურთიერთობებთან ერთად, ეხება პროდუქტის მახასიათებლებს[181], ზოგიც კი - პროდუქციის მისიებს. თითოეული მიზანი გაუმჯობესებულია პროდუქტის ბაზრის საერთო სტრატეგიასა და გარემოს შორის ბალანსის ზოგიერთი ასპექტის გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი კონკრეტული სიტუაციისთვის დადგენილი სპეციალური მიზნები შეიძლება დაიყოს

სამ ძირითად კატეგორიად: ზრდის მიზნები, რაც ხელს შეუწყობს ბალანსის დარეგულირებას ხელსაყრელი ტენდენციების პირობებში; სტაბილიზაციის მიზნები, რომლებიც შექმნილია უარყოფითი ტენდენციებისა და პროგნოზირებადი მოვლენებისგან, წარმოადგენს კომპანიის პოზიციის განმტკიცებას. არაპროგნოზირებადი მოვლენების შემთხვევაში, ერთი მიზნისთვის საჭირო დივერსიფიკაციის მიმართულება შეიძლება მეორესთვის შესაფერისი არ იყოს.

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თეორიული კონცეფცია, რომლებიც ხსნიან ეკონომიკურ განვითარებასა და საწარმოო სტრუქტურის დივერსიფიკაციას შორის ურთიერთკავშირის ხასიათს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე[163].

**ეკოლუციური ეკონომიკა** ყურადღების ფოკუსირებას ახდენს სტრუქტურული ტრანსფორმაციის წარსულ დამოკიდებულებებზე. წარსულ განვითარებაზე დამოკიდებულების ტვირთის გამო ხდება რეგიონებისა და ქვეყნის არათანაბარი განვითარება: ზოგიერთი დაგროვილი კომპეტენცია მნიშვნელოვანია მხოლოდ ცალკეული სახის პროდუქციის ან პროდუქტთა ჯგუფისათვის მაშინ როცა, საერთო დანიშნულების კომპეტენციები მნიშვნელოვანია ნებისმიერი საქმიანობისათვის. ასეთი უნივერსალური კომპეტენციების რიცხვში განიხილება ინოვაციური და ადაპტაციური უნარები, სოციალური კაპიტალი, სახელმწიფო მართვის ხარისხი და სხვა. თუმცა, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებულ მრავალ ნაშრომში არის გაანალიზების მცდელობა, თუ როგორ ხდება რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილება. ეს ნაშრომები გვიჩვენებს, რომ საწარმოო და ტექნოლოგიურ დივერსიფიკაციაში განმსაზღვრელ როლს თამაშობენ უკვე არსებული ფირმები და დარგები, რომლებთან კავშირშიც წარმატებული იქნება დივერსიფიკაცია. უკვე დაგროვილი აქტივების, ცოდნისა და სიახლეების საფუძველზე რეგიონული განვითარების სტიმულირების იდეას იზიარებს ბევრი ევროპელი მკვლევარიც [112]. დღეისათვის ევროკავშირში პრიორიტეტულად მიიჩნევა „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ პოლიტიკა (Smart Specialization), რომელიც გულისხმობს რეგიონის კონკურენტული უპირატესობების გაძლიერებას მაღალტექნოლოგიური მეწარმეობის სტიმულირების ხარჯზე. ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სპეციალიზაციის ერთადერთი ტიპი, რომელიც ეფუძნება ცოდნას.

**აგლომერაციული ეკონომიკის თეორია** გულისხმობს, რომ სპეციალიზაციის უპირატესობები უფრო ძლიერია საწარმოო მრავალფეროვნების სარგებლიანობასთან შედარებით, რადგანაც სპეციალიზირებული წარმოებების კონცენტრაცია საშუალებას იძლევა შემცირდეს ფირმების კოორდინაციისა და ურთიერთქმედების ხარჯები. ეკონომიკური აგენტების ურთიერთქმედების ხარჯები მზარდი უკუგებაა მასშტაბზე და წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება აყალიბებს ეკონომიკის პოლარიზებულ სტრუქტურას. მისი შემადგენელია რეგიონები დივერსიფიცირებული წარმოებით, სადაც წარმოდგენილია პროდუქტების მრავალსახეობები, პერიფერიებზე კი განთავსდება ტრადიციული საქონლის მწარმოებელი ფირმები. პროდუქციის ურთიერთდაკავშირებულობის იდეაზე დაყრდნობით შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში [112] შემოთავაზებულია ახალი პოტენციური პროდუქტის ქვეყნის (რეგიონის) არსებულ საწარმოო შესაძლებლობასთან „დაახლოებულობის“ მაჩვენებელი. რთული საქონელი მდებარეობს „სასაქონლო სივრცის“ მჭიდროდ დაკავშირებულ ბირთვში, ხოლო შედარებით მარტივი საქონელი კი იწარმოება პერიფერიებში. შემდგომში ამ იდეამ განვითარება ჰპოვა ჰარვარდში, სადაც შემუშავდა ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკის „სირთულის“ განსაზღვრის მეთოდოლოგია [112].

**ახალი ეკონომიკური გეოგრაფია** არათანაბარ რეგიონულ განვითარებას განიხილავს როგორც ტექნიკური პროგრესისა და საბაზრო მექანიზმის კოორდინაციის ბუნებრივ შედეგს. ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზაცია და დივერსიფიკაცია მოიცავს სივრცითი კავშირების სტრუქტურას, ბაზრების მასშტაბებს, მათზე წვდომასა და სხვა. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში კრუგმანმა გვიჩვენა, რომ დივერსიფიცირებული რეგიონები, სადაც იწარმოება უფრო მეტი პროდუქცია, ღებულობენ დიდ მოგებას, იზიდავენ უფრო მეტ ინვესტიციებს და აქვთ წარმოების უფრო მეტად გაფართოების შესაძლებლობა. ამდენად, წარმოიქმნება გეოგრაფიული უთანასწორობა [110].

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონცეფციას, რომელიც ჩართულია ინსტიტუტების სტრუქტურულ ცვლილებათა პროცესზე გავლენის კვლევაში, წარმოადგენს **კაპიტალიზმის მრავალსახეობის კონცეფცია**. ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ეროვნული ეკონომიკის ორგანიზაციის სხვადასხვა ვარიანტი. ლიბერალურ საბაზრო

ეკონომიკებში კოორდინაციის უპირატეს მექანიზმს წარმოადგენს საბაზრო მექანიზმები და იერარქიები, ინფორმაცია ვრცელდება ფასთა სისტემის მეშვეობით, ეკონომიკური აქტორები ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან, სჭარბობს ფორმალური კონტრაქტები. კოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკებში უფრო მეტად გამოიყენება კოორდინაციის საბაზრო მექანიზმები, ფირმები იყენებენ სტრატეგიულ ურთიერთქმედებებს, რომლებიც ეფუძნება ურთიერთობათა ჯაჭვებს, ინფორმაცია ვრცელდება კერძო ქსელებით, აქტორები კი ეყრდნობიან არასრულ კონტრაქტებს [112].

კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკები უფრო მეტად განაპირობებენ ინკრემენტალურ ინოვაციებს, რაც გულისხმობს დასაქმებულთა უფრო მეტად დაცულობას სამუშაოს დაკარგვისაგან და შეუძლიათ მიაღწიონ ტექნიკურ სიახლეებს არსებულ დარგებში. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა უფრო მეტად მხარს უჭერს რადიკალურ ინოვაციებს: ფირმებს შეუძლიათ საჭირო უნარების მქონე თანამშრომლების პოვნა გაცილებით მობილურ ბაზრებზე, შეუძლიათ შეიძინონ ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპანიები, მოიძიონ ფინანსური რესურსები რისკიანი პროექტების რეალიზაციისათვის. მიჩნეულია, რომ დაკავშირების გარეშე დივერსიფიკაციის განვითარების ალბათობა უფრო მაღალია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მქონე ქვეყნებში, სადაც ინსტიტუტები უფრო მეტად მხარს უჭერენ კოორდინაციის არასაბაზრო ფორმებს სამუშაო ძალასთან, კორპორატიულ მართვასთან და ფირმათაშორის ურთიერთქმედებასთან მიმართებაში. ამდენად, ინსტიტუციური გარემო მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ სპეციალიზაციას.

მე-20 ს-ის 60-იან წლებში სტრატეგიული დაგეგმვის მთავარი მიზანი იყო სუბიექტის საქმიანობის დივერსიფიკაცია. სტრატეგიული ამოცანების რაოდენობის გაზრდის გამო სახეზეა ტექნოლოგიის არასტაბილურობა, კონკურენციულ გარემოში ცვლილებები, ზრდის ტემპის შენელება, სოციალურ-პოლიტიკური შეზღუდვების გაჩენა და ა.შ. ამიტომ, 70-იან წლებში სტრატეგიის შემქმნელების ყურადღება დივერსიფიკაციის ჭრილში გადავიდა რეგიონების საქმიანობათა მანიპულირებაზე, რომელშიც სუბიექტი რესურსების შესაბამისად იყო სპეციალიზირებული. ეს

დააჩქარა იმ ფაქტმა, რომ, სუბიექტმა სხვადასხვა საქმიანობა თანდათანობით აითვისა. უფრო და უფრო მეტი განსხვავება დაიწყო ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა შემდგომი ზრდის პერსპექტივები, მომგებიანი და სტრატეგიული მგრძობელობა, რეგიონული და რეგიონთაშორისი ურთიერთობები, ტექნოლოგიური პროგრესი და ასე შემდეგ.

ეკონომიკურ თეორიაში ამ პრობლემების გადაჭრის ორი მიდგომაა გამოყენებული:

- შიდა კაპიტალის განდევნა ეროვნული ეკონომიკიდან, კაპიტალის უნებართვო, დამაზიანებელი ექსპორტის სტიმულირება, უცხოური კაპიტალის შემოდინების და ინვესტიციების რეგიონისა და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენების მცდელობა;
- ეკონომიკური დანაშაულის კოორდინირება ორგანიზებულ დანაშაულთან;
- ბუნებრივი რესურსების განადგურება, ძვირფასი ბიოლოგიური რესურსების კონტრაბანდა საზღვარგარეთ;

- ინფორმაციის დამახინჯება ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ნამდვილი მასშტაბის შესახებ, რაც სერიოზულად ართულებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პოლიტიკის ზომების შემუშავებას;

- უკანონო საქმიანობიდან მიღებული თანხების ლეგალურ მიმოქცევაში ჩართვა.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების რეგიონული სისტემის ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი იყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორები და პერსპექტივები, ეკონომიკური საფრთხეების წარმოქმნა და გავრცელება, ეკონომიკის ძირითადი სფეროების უსაფრთხოების მდგომარეობა და რეგიონის სიცოცხლისუნარიანობის მხარდაჭერა, სამართალდამცავი სისტემა და ინსტიტუციების არსებობა, რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი ეკონომიკის უზრუნველყოფის დაცვასთან. ამავე დროს, შემოთავაზებულია მონიტორინგი ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულების შესახებ, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებენ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, გასაფრთხილებელია ეკონომიკის ჩრდილოვანი სფეროს რთული ბუნება და მასშტაბები.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ხასიათდება რეგიონული, დარგობრივი მახასიათებლებით, არის ორგანიზებული დანაშაულის გავლენის ქვეშ და წარმოადგენს საზოგადოებრივი საფრთხის ელემენტებს. ასეთ პირობებში, რეგიონებში ეკონომიკური ურთიერთობები არსებითად დეფორმირებულია, ეკონომიკის იურიდიული სექტორი ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის გავლენის ქვეშ იმყოფება, იქმნება კრიმინალური ეკონომიკის დამოუკიდებელი სექტორი. ჩრდილოვანი ეკონომიკის თავისებურება და უნიკალურობა გამოირჩევა ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა გადასახადების დამალვა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზება, კაპიტალის უნებართვო ექსპორტი საზღვარგარეთ, ორმაგი აღრიცხვის შესაძლებლობები, არაზომიერი ბარტერული ვაჭრობა, ფარული უმუშევრობა, კორუფცია.

ჩრდილოვანი ეკონომიკა არათანაბრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ინდუსტრიასა და რეგიონებში და მჭიდრო კავშირშია საგადასახადო და ფინანსური სფეროების მდგომარეობასთან. ისევე როგორც კანონისა და წესრიგის სფეროსთან. ეს ყველაფერი იწვევს საბაზრო ურთიერთობების დამახინჯებას, რეგიონების

ბუნებრივი და საწარმოო პოტენციალის გამოყენების დისბალანსს, პრაქტიკულად, მიმზიდველი ეკონომიკური სივრცისა და რეგიონული ეკონომიკური სისტემის განადგურებას. ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში არ არის გადაჭრილი რეგიონების განვითარების სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვა ამოცანები.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, სამეცნიერო კვლევებში, „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ ბევრ ქვეყანაში განიხილებოდა. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის დესტაბილიზაციის ფაქტორად. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ გავლენა მოახდინა განაწილებისა და მოხმარების ეფექტურობის შემცირებაზე, გამოიწვია სოციალურ ჯგუფებს შორის შემოსავლის ლატენტური გადანაწილება, შეიქმნა საფრთხე სახელმწიფოსა და რეგიონის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

სამეცნიერო ნაშრომებში ჩრდილოვანი ეკონომიკა განიხილება, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებული საშუალება, რომლებიც საზოგადოებაში იქმნება კანონების, სამართლებრივი ნორმების, ეკონომიკური საქმიანობის ფორმალური წესების საწინააღმდეგოდ ანუ მათ აქვთ უკანონო ხასიათი. ჩრდილოვანი ეკონომიკის სპეციფიკა მდგომარეობს უკანონობაში, არაფორმალურობასა და გარკვეულწილად, ეკონომიკური საქმიანობის კრიმინალურ ხასიათში, სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავლის დამალვაში. ჩრდილოვანი ეკონომიკა არ წარმოადგენს ეკონომიკის ცალკეულ სექტორს; იგი არსებობს ეკონომიკის ლეგალურ სფეროსთან ურთიერთქმედებაში, მაგრამ ის განსხვავდება ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ბევრ ქვეყანაში დღეისათვის, ინტენსიურია ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის შეღწევადობის ტენდენცია ეკონომიკის ლეგალურ სფეროში, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე. ეს აიხსნება იმით, რომ პრაქტიკულად დასრულდა ჩრდილოვანი ეკონომიკის სტრუქტურის პროცესი, გადანაწილდა კრიმინალური სტრუქტურების გავლენის სფეროები და ორგანიზებული დანაშაული, რამაც მოიპოვა კორუფციის თვისებები და ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის აშკარა კოორდინაცია. ჩამოყალიბდა ნედლეულის წყაროების მართვის მექანიზმები, ბუნებრივი და საწარმოო პოტენციალის გამოყენების, შრომითი და ფინანსური რესურსების,

სპეციალიზირებული ჩრდილოვანი ინფრასტრუქტურის, საქონლისა და მომსახურების ბაზრების შესაქმნელად.

თანამედროვე პერიოდის ჩრდილოვანი ეკონომიკის გამორჩეული თვისებაა მისი გავრცელება ეკონომიკის ყველა სფეროში (მათ შორის საგადასახადო და ფინანსურ სფეროებში), საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უპირატესობა, გლობალური და რეგიონალური მასშტაბები, კრიმინალური სტრუქტურების პრევალენტობა საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე.

ყოველივე ეს აუცილებელს ხდის სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების მიერ ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემის გადასაჭრელად ახალი მიდგომების მოძიებას, მისი წარმოქმნისა და გავრცელების რეალური პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ძირითადად განიხილება ეკონომიკური საქმიანობის სფეროს თვალსაზრისით.

თანამედროვე თეორიების თანახმად, ჩრდილოვანი ეკონომიკას შეუძლია წარმოადგენდეს კანონით აკრძალული საქმიანობის ეკონომიკურ სფეროს, ან, როგორც გადასახადებისაგან დამალულ წარმოებას და მომსახურებას, წარმოადგენდეს საქმიანობის ეკონომიკურ სფეროს, რომელიც არ არის გათვალისწინებული ოფიციალური სტატისტიკით.

იურიდიული ნორმებისა და წესების შესაბამისად, მრავალი მეცნიერი ჩრდილოვანი ეკონომიკას მიიჩნევს სფეროდ, რომელიც ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ იურიდიულ ნორმებს. ამ მიდგომას არ ითვალისწინებს საზოგადოების პოლიტიკური, მორალური და ეთიკური მდგომარეობის მრავალი ფაქტორი, აგრეთვე, სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება. ეკონომიკური დანაშაული შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზიანი მიაყენა ინდივიდს, საზოგადოებას და სახელმწიფოს, ამასთან, კანონმდებლობაში ასეთი ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი ნორმები არ არსებობს. საჭიროა უფრო მეტი სიცხადე - სისხლის სამართლებრივი კრიმინალური საზღვრები და სამართლებრივი ნორმები ეკონომიკური დანაშაულის განსაზღვრისათვის.

ეკონომიკური მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკის კონცეფციას ინტერპრეტაციას უწევს ეკონომიკური საქმიანობის უგულებელყოფის

თვალსაზრისით. ამასთან, ფინანსური რესურსები წარმოიქმნება არა მხოლოდ არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, არამედ გადაუხდელი გადასახადების, უკანონოდ მიღებული შემოსავლის გათეთრებისა და სხვა უკანონო ქმედებების შედეგად.

სხვა შემთხვევაში, ჩრდილოვანი ეკონომიკა განისაზღვრება კონტროლის არარსებობის კრიტერიუმებით და ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობითი სისტემის ხარისხით, დასაბეგრი ბაზის დამალვით, ანუ ის ემყარება საგადასახადო აცილების ფაქტორებს, დასაბეგრი ბაზის გაუაზრებლობას.

ამჟამად ჩრდილოვანი ეკონომიკის კრიმინალური სეგმენტის შიდა ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მრავალ სფეროებში ვლინდება მანიფესტაცია, რომელიც ემყარება ეკონომიკურ საქმიანობას, მიზანმიმართულად იმალება სახელმწიფოსგან, რათა თავიდან აიცილოს რაიმე სახის ძალისმიერი ზემოქმედება სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მოქმედებებით. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ტიპის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომლებიც პირდაპირ აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით. ეს არის პროსტიტუცია, იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების წარმოება და ვაჭრობა, არალეგალური აზარტული თამაშები, კონტრაბანდა და ა.შ. ქმედებების დამალვის მიზეზი მათი იძულებითი შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად შეიძლება იყოს ისეთი აქტივის გამოყენებაც, რომლის მოქმედების სუბიექტიც უკანონოდ ფლობს რაიმე სახის ქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს. თუმცა მოქმედება და მისი შედეგები თავისთავად არ ეკუთვნის აკრძალულ კატეგორიას.

ამრიგად, ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა უნდა იქნას გაგებული, როგორც ეკონომიკური გარიგებების ერთობლიობა, რომლებიც არ არის გამოვლენილი ღია გადამოწმების მეთოდებით და წარმოშობს მატერიალურ და ფინანსურ ნაკადებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კანონმდებლობის, დაბეგრის ან აღრიცხვის მოთხოვნებს.

რეგიონში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის გაფართოება იწვევს დისბალანსს და ურთიერთობების შესუსტებას სისტემაში - "სახელმწიფო - რეგიონი - მოსახლეობა - პიროვნება". სახელმწიფო კარგავს კონტროლს რეგიონის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილზე, ვერ იცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ეკონომიკურ სუბიექტებს და ქონებას ჩრდილოვანი ეკონომიკის კრიმინალური

ნაწილისგან, რაც ხელს უწყობს არაფორმალური და არაოფიციალური ეკონომიკის გაფართოებას. არსებობს წინააღმდეგობები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ეკონომიკის რეგიონულ მმართველ ორგანოებს შორის, ძალაუფლების სტრუქტურებსა და ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტებსა და ინდივიდს შორის.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებების და სტრატეგიების დადგენისას, მიუხედავად ცხოვრების ძირითადი სფეროების რთული მდგომარეობისა, არ არის გათვალისწინებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორები. ამის გარდაუვალი შედეგია რეგიონის ეკონომიკისა და მისი ტერიტორიული ერთეულების არსებული საფრთხეების წარმოქმნა და ახალი საფრთხეების გაჩენა. არსებითად, არსებობს საწარმოო პოტენციალის დეგრადაციის, უმუშევრობის ზრდის, ქალაქების, და სოფლის დასახლებების სოციალური სფეროს გაუარესებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაართულების საფრთხეები. მწვავე რჩება საბინაო და კომუნალური სერვისების განვითარების, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების საკითხები.

ჩრდილოვანი ეკონომიკის კრიმინალური ნაწილის ფუნქციონირება და ზოგადად, კრიმინალური საზოგადოება, მთლიანობაში, ჩრდილოვანი სფეროს სამივე კომპონენტისგან ფინანსდება, ხოლო არაკრიმინალური ნაწილი დიდ როლს ასრულებს დანაშაულის დაფინანსებაში. გაუთვალისწინებელი დასაქმება, ფარული ეკონომიკური საქმიანობის მსგავსად კრიმინალებისთვის მნიშვნელოვანი ბაზისია საარსებო საშუალებების მოსამძებნად და გაუთვალისწინებელი, არასასურველი მოვლენების შემთხვევაში, ე.წ. "უსაფრთხოების მარაგის" ფორმირებაში. ამრიგად, ეკონომიკის ჩრდილოვანი ნაწილის ზოგადი შემცირება უდავოდ ხელს შეუწყობს მის კომპონენტებს შორის პროპორციების ცვლილებას, კრიმინალური ნაწილის წილის შემცირებას.

რეგიონული რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობები სხვა, უფრო ეფექტური წონასწორობის მდგომარეობაში გადასვლისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონის რესურსები შეზღუდულია, კავშირები არის შესუსტებული ცენტრსა და რეგიონულ მმართველ ორგანოებს შორის, ეკონომიკური საქმიანობა კონცენტრირებულია კერძო სექტორში. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ შეიძლება მოიცვას ცხოვრების ხელშემწყობი ისეთი სფეროები, როგორცაა საგადასახადო, ფინანსური და სხვა ძალაუფლებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების,



აგრეთვე, ეკონომიკური სუბიექტების რესურსების და ძალისხმევის კონცენტრაცია, საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორთან შედარებით დაბალი ხარჯებით ბრძოლის ღონისძიებები.

ჩრდილოვანმა პროცესებმა შეიძლება კრიზისი გამოიწვიოს არამარტო ეკონომიკაში, არამედ შექმნას ისეთი სიტუაცია, როცა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ჩაერთვება ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დეპრესიული და ეკონომიკურად განუვითარებული რეგიონები ექვემდებარებიან ასეთ პროცესებს. ამავე დროს, ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობა იწვევს არა მხოლოდ ეკონომიკის კრიმინალიზაციის გაღრმავებას, არამედ დანაშაულის ზრდას, მათ შორის ეკონომიკური დანაშაულის ჩათვლით, რაც ინდივიდებისა და ეკონომიკური სუბიექტების უსაფრთხოების ღონის დაქვეითებას და სოციალური საფრთხეების ზრდას იწვევს.

მთლიანი რეგიონალური პროდუქტის 50% -იანი წილით ჩრდილოვანი ეკონომიკის მიღწევა თვისობრივად ცვლის რეგიონის პოზიციას სახელმწიფოში, რეგიონის კონკურენტუნარიანობა კლებულობს, რეგიონულ გაცვლაში მონაწილეობის პირობები გაუარესებულია, იზრდება რისკები არამარტო ეკონომიკურ საქმიანობაში, არამედ სოციალურ სფეროში, ბუნებრივ რესურსებსა და გარემოში. არსებობს ბუნებრივი რესურსების მიტაცების რისკები, ინვესტიციების მოზიდვის ღონის დაქვეითება, ცხოვრების ხელშეწყობის სფეროების დეფორმაცია. ამ შემთხვევაში, რეგიონის მოსახლეობის ინტერესები და სამეწარმეო სტრუქტურების ინტერესები, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია მოგების მაქსიმალური ოდენობის მიღებაზე, ქმნის კრიზისულ მოვლენებს, ხელს უწყობს საზოგადოების სტრატეგიკაციას, იზრდება ზღვარი საზოგადოების მდიდარ და დაბალშემოსავლიან ფენებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოვან ეკონომიკას აქვს მობილური ხასიათი და ადვილად აღწევს ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე ეფექტურ სფეროებში. ეს, უპირველეს ყოვლისა, საბანკო, საკრედიტო ორგანიზაციების სფეროებია, ანუ ის სფეროები, რომლებიც შექმნილია რეგიონის და მისი ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. რეგიონის უსაფრთხოების მეორე სისტემური ფაქტორი არის გადასახადების გადაუხდელობა, რომელიც მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს.

### 3.3.2. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის რეგიონალური სტრატეგია

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რეგიონალური სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონული პოლიტიკის, საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს ეკონომიკური და ფინანსური ორგანოების საქმიანობას ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საბაზრო ურთიერთობების ფორმირებამ ძირეულად შეცვალა რეგიონების ეკონომიკური და სამართლებრივი სტატუსი, მათი როლი და ადგილი რეგიონულ პოლიტიკაში. შესამჩნევად შეიცვალა რეგიონული პოლიტიკის არსი, რაც განაპირობებს მისი თეორიის შემდგომი განვითარების და პრაქტიკის გაუმჯობესების აუცილებლობას. თანამედროვე პირობებში, რეგიონალური პოლიტიკა ბევრ გარემოებათა გამო რთულ ტრანსფორმაციას განიცდის. მათ შორის:

- რეფორმების რეგიონულ დონეზე გადატანა, რაც მოითხოვს ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებისას რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებას, კერძოდ, კავშირებს რეგიონების ეკონომიკის საწყის პირობებსა და რეფორმებით გამოწვეულ ეკონომიკის განვითარების ზომებთან მიმართებაში;

- კერძო კაპიტალის უპირატესი წარმართვა ყველაზე მნიშვნელოვან საწარმოო სექტორებში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს რეგიონული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ამოცანას;

- რეგიონული მმართველი ორგანოების მიერ ეკონომიკური სუბიექტის ფუნქციების თანდათანობითი დაკარგვა, კერძო სექტორში მიღებული გადაწყვეტილებების გავლენის არაპირდაპირი მეთოდების გავრცელება;

- უკვე არსებული პრობლემების გამძაფრება და ახალი პრობლემების გაჩენა საბაზრო ეკონომიკაში (ოლიგარქიული კაპიტალის მონოპოლია, დეპრესია მთელ რეგიონში, ლოკალიზებული უმუშევრობა, სიღარიბის ტერიტორიული კონცენტრაცია, ლტოლვილებისა და მიგრანტების გაჩენა და ა.შ.);

- რეგიონული ეკონომიკის კრიმინალიზაცია და ახალი ტიპის ეკონომიკური საფრთხეების გაჩენა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია რეგიონული პოლიტიკის მრავალი განმარტება. მეცნიერთა უმრავლესობა რეგიონულ პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც სამთავრობო ორგანოების საქმიანობას ქვეყნის რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების მართვისთვის. მკვლევართა ნაწილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ საქმიანობის მიზანმიმართულ და სისტემურ ხასიათს, განსაზღვრავს რეგიონულ პოლიტიკას, როგორც ხელისუფლების მიზანმიმართულ საქმიანობას, როგორც მიზნებისა და მოქმედებების სისტემას, სახელმწიფოს ინტერესების გაცნობიერებას და რეგიონული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების სისტემას.

მკვლევართა კიდევ ერთი ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს რეგიონული პოლიტიკის ურთიერთობაზე სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის სისტემასთან. რეგიონულ პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო რეგულირების სინთეზურ ქვესისტემას, რომელიც ორიენტირებულია რეგიონული განვითარების მიზნების მიღწევაში, როგორც სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს რეგულირებისა და მართვის პრინციპების განხორციელებისაკენ.

ზოგიერთი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რეგიონული პოლიტიკის იმ მნიშვნელოვან თვისებას, როგორცაა რეგიონების ოპტიმალური განვითარება და ტერიტორიული პრობლემების ყველაზე ეფექტური გადაწყვეტა.

ჩვენი აზრით, ასევე, აუცილებელია გამოვყოთ განმარტებების ჯგუფი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ცენტრისა და რეგიონების, ისევე როგორც რეგიონების, ერთმანეთთან ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველყოფაზე. ამავდროულად, რეგიონული პოლიტიკის არსი განიხილება, როგორც საქმიანობის სფერო, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების სივრცითი, რეგიონული ასპექტის მართვის მიზნით, ასოცირდება სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის, ასევე, რეგიონებს შორის ურთიერთობებთან.

ზემოაღნიშნული მოსაზრების შეჯამებით, რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა უნდა შეფასდეს, როგორც სახელმწიფო ორგანოების მიზნების და ამოცანების სისტემა ქვეყნის რეგიონების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის, აგრეთვე, ეკონომიკური ინტერესების განხორციელების დაცვის მექანიზმებისა და რეგიონის სუბიექტების

უფლება-მოვალეობის განხორციელებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების შესაძლებლობები.

მიგვაჩნია, რომ რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკა არის სისტემური კატეგორია შემდეგი ქვესისტემებით:

- თითოეულ რეგიონში მოსახლეობის კეთილდღეობის დონის უზრუნველყოფა, ყველა მოქალაქისათვის დაახლოებით თანაბარი მინიმალური ცხოვრებისეული პირობების შექმნა, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაოზე თავისუფალი არჩევანის უფლების გარანტია, რეგიონებში მწვავე სოციალური კონფლიქტების თავიდან აცილება, უმუშევრობის პრობლემების მოგვარება და ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზება, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ინტერეთნიკური მიგრაციის რეგულირება, სოფლის დასახლებებისა და მცირე დაბების განვითარება;

- რეგიონული საბიუჯეტო და ფინანსური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ფინანსური რესურსების ეფექტურად ფორმირებას, განაწილებას და გადანაწილებას.

- რეგიონული საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებში ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელი პირობების შექმნას, პრიორიტეტული ობიექტების მშენებლობისთვის საინვესტიციო პროგრამების სტიმულირებას, სესხების გაცემისთვის სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფას.

- რეგიონული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, მათ შორის ხელსაყრელი პირობებით რეგიონებში საექსპორტო და საიმპორტო ინდუსტრიების განვითარების სტიმულირება, აგრეთვე, საგარეო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ელემენტების შემუშავება;

- რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტური პოლიტიკის შემუშავება, მისი ეკონომიკური სუბიექტების, აგრეთვე, საკუთრების ყველა ფორმის ინვესტიციების გათვალისწინება, რომელიც მიზნად ისახავს კანონისა და წესრიგის უზრუნველყოფას, ეკონომიკური ინტერესებისა და ქონების დაცვას, ჩრდილოვანი პროცესების გაუვრცელებლობას და ეკონომიკის სფეროებში კრიზისული სიტუაციების წარმოქმნის ხელშეშლას[198].

- რეგიონული გარემოსდაცვითი პოლიტიკა, მათ შორის, ქვეყნის ყველა რეგიონში გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საჭირო დონის შესანარჩუნებლად ზომების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების პრევენცია გადაჭარბებული დატვირთვის მქონე ტერიტორიებზე, საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების მქონე რეგიონების ფინანსური მხარდაჭერა, საგადასახადო განაკვეთების რეგულირება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის, მათი ხარისხისა და ადგილმდებარეობის მიხედვით;

- რეგიონული ეროვნულ-ეთნიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მცირე ერების განსაკუთრებული ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფას, მათთვის მისაღები ისტორიული ყოფითი ფორმების აღორძინებას, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების აუცილებელ პირობებს და ა.შ.

სამწუხაროდ, თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ძალაუფლება კონცენტრირებულია ტერიტორიულ დონეზე, ხოლო რეგიონული პოლიტიკის ძირითადი საფუძველია მისი ზემდგომი დონე. რეგიონული პოლიტიკა არის ქვეყანაში გატარებული ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული სივრცითი გამოხატულება. მისი ინტეგრალური ნაწილი, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული განვითარების სტრატეგიაა, რომელიც გამოიხატება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების ტერიტორიულ მოწყობაში და კონკრეტული ტერიტორიების მიზნობრივი დახმარების დონისძიებებით.

ამასთან, რეგიონული პოლიტიკის საფუძველია მისი ლატენტური და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკის (ინვესტიციის, აგრარული, სამრეწველო) სივრცით ასპექტებს, რომლებსაც არ აქვთ გარკვეული „ტერიტორიული კავშირი“, მაგრამ გავლენას ახდენენ ტერიტორიის განვითარებაზე. რეგიონული პოლიტიკის ასეთი "ბუნდოვანი" და "კოლექტიური" ხასიათი მნიშვნელოვნად ართულებს მის შესწავლას და იწვევს დისკუსიებს რეგიონების განვითარების ხარისხთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი მიზანია ქვეყნის საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის გაძლიერება, რომელიც დაფუძნებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა შემდეგი ამოცანების მოგვარება:

- რეგიონთაშორისი ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება;

- რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონის დიფერენციაციის შემცირება;
- საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ქვეყნის მასშტაბით;
- ბიზნესსაქმიანობაში თანაბარი კონკურენტული პირობების უზრუნველყოფა; კაპიტალის მოზიდვაში კონკურენციის პირობების შექმნა;
- ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპების საკანონმდებლო განსაზღვრა და განხორციელება ხელისუფლების დონეებს შორის კომპეტენციების განსაზღვრის პროცესში;
- ინდივიდის, მოსახლეობის, ბიზნესის სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის არსი და მისი ეფექტურობა განისაზღვრება მხოლოდ მათი ურთიერთქმედებით. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა იქმნება ქვეყნის შესაბამისი პოლიტიკის და მისი შემადგენელი ერთეულის- რეგიონის- პოლიტიკის ურთიერთმოქმედების შედეგად, რაც ასახავს ტერიტორიული მენეჯმენტის რეალურ პრაქტიკას და ორიენტირებულია რეგიონსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნაზე.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა არის ურთიერთობა ცენტრს, მის შემადგენელ სუბიექტებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ძალაუფლების გადანაწილებისა და განაწილების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვისა და ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ეფექტური რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება მექანიზმების მოძიებასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფს რეგიონის თვითკმარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, დინამიურ ბალანსს სახელმწიფოს ინტერესებს შორის მისი მთლიანობის შენარჩუნებაში, საერთო ეკონომიკური სივრცის უზრუნველყოფასა და რეგიონების ინტერესების დაცვაში, კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და მოსახლეობისათვის მისაღები საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში. საბოლოო ჯამში, რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტურობა უზრუნველყოფილია იურისდიქციის

მეცნიერულად დასაბუთებული და მკაფიო დაყოფით, ხელისუფლების დონეზე, ერთი მხრივ, და მათი პოლიტიკის მთლიანობისა და თანმიმდევრულობის დონეზე, მეორეს მხრივ.

აქედან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობების ორგანიზების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად და რეგიონებში ეკონომიკური ინტერესების და საკუთრების დასაცავად.

ჩვენი აზრით, რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკონომიკური სუბიექტების, რეგიონებისა და საქმიანობის სფეროების, ეკონომიკის სტრუქტურის, საგადასახადო და ფინანსური სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოიცავს შემდეგი სფეროების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს:

- სოციალური სფეროს ეკონომიკური უსაფრთხოება;
- კერძო საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოება;
- სახელმწიფო (რეგიონული, მუნიციპალური, სახაზინო) საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოება;
- საკრედიტო და ფინანსური სექტორის ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში რეგიონული ორგანოების შექმნა და ფუნქციონირება;
- სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივ სუბიექტებს შორის ეფექტური თანამშრომლობა.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზაციული და მენეჯერული მექანიზმების შექმნისას, შემოთავაზებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება: სფეროების და ინდუსტრიების მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობის პროგნოზირება, პროაქტიული შემაკავებელი ზემოქმედების დაგეგმვა ჩრდილოვან ეკონომიკაზე; კანონმორჩილი ფიზიკური და იურიდიული პირების სტიმულირება; იძულება და სანქციები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ საგადასახადო და სამეწარმეო კანონებს,

ეკონომიკური საქმიანობის სხვა ნორმებსა და წესებს; ინფორმაციის გაცვლა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები, ჩვეულებრივ, იყოფა იურიდიულ, ორგანიზაციულ, მენეჯმენტის, ეკონომიკურ და პროფილაქტიკური ხასიათის ზომებად.

ამგვარი ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების კონტროლის მოქმედების ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიზნების მიღწევა - ჩრდილოვანი პროცესებისა და ეკონომიკური დანაშაულის თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც გამოიხატება რეგიონული მმართველობის სოციალურ-სამართლებრივი და კრიმინალურ-სამართლებრივი საქმიანობის ფორმებში. სოციალური და იურიდიული კონტროლი არის საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში უკანონო ქცევის გასაკონტროლებლად, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, კრიმინოგენული ფაქტორების, ეკონომიკური დანაშაულის განმსაზღვრელი ფაქტორების ეფექტურად ზემოქმედების მიზნით.

ეკონომიკური დანაშაულის შესახებ სოციალური და სამართლებრივი კონტროლის არსი არის იურიდიული წესრიგის დამყარება საზოგადოების ცხოვრებაში და საქმიანობაში. როგორც წესი, ეს არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის ნორმების გამოყენებასთან. სისხლის სამართლის კომპონენტი აქ მხოლოდ იმდენად არის წარმოდგენილი, რამდენადაც იგი ასრულებს პრევენციულ ფუნქციას, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია. კრიმინოლოგთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ეს არის სოციალური და იურიდიული კონტროლი, რომელიც მთავარია ეკონომიკური დანაშაულის კონტროლის გენერალურ სისტემაში. მისი ანტიკრიმინოგენული როლი დადასტურებულია საერთაშორისო კვლევებითც.

ეკონომიკური დანაშაულის შესახებ სახელმწიფო სოციალური და სამართლებრივი კონტროლი მოიცავს სხვადასხვა სახის საქმიანობას და იყოფა შემდეგ ტიპებად. სახელმწიფო კონტროლის პირველი ტიპი მიზნად ისახავს ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების დაცვას, რომელიც შეიძლება შეფასდეს როგორც სოციალური და იურიდიული კონტროლი ეკონომიკურ სფეროში. ამ ტიპის



სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალიზებული მარეგულირებელი ორგანოები.

კონტროლის მეორე სახეობა ხორციელდება კანონის მიღებით, ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ზომების განხორციელებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკური დანაშაულის განმსაზღვრელობაზე.

ეკონომიკური დანაშაულის ეფექტური კონტროლის მნიშვნელოვანი პირობაა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ეფექტური სოციალური და სამართლებრივი კონტროლის ჰარმონიული, გაწონასწორებული კომბინაცია და ადგილზე ფუნდამენტური უფლებების დაცვა. ამ მიზნის წარმატებული მიღწევა მოითხოვს სასწრაფო ზომების განხორციელებას. ექსპერტები განსაზღვრავენ ზოგიერთ მათგანს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს - მთავრობის ოფიციალური პირების მიერ ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება (პრივატიზების, აუქციონის ჩატარების შესახებ და ა.შ.). ამ მიმართებით ფუნდამენტური პრინციპების შეუსრულებლობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებაში, რომელსაც აუცილებლად მოყვება ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია და მასთან დაკავშირებული რეგიონის ეკონომიკის კრიმინალიზაცია.

სოციალური და იურიდიული კონტროლის უმნიშვნელოვანესი სფეროა სხვადასხვა ტიპის კონტროლის გაძლიერება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ფინანსურ და სასაქონლო ნაკადებზე (საბიუჯეტო, საბანკო, სავალუტო, საბაჟო და სხვა).

ჩვენი აზრით, საჯარო მოსამსახურეების კომერციული საწარმოების ხელმძღვანელების თანამდებობებზე გადასვლის პროცესს სამართლებრივი რეგულირება სჭირდება. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასეთი საკითხების მოგვარების უცხოური გამოცდილება. თანამდებობის დატოვების შემდეგ, სახელმწიფო მოხელემ უნდა მიიღოს მთავრობის გარკვეული მოთხოვნები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, სანამ შეთავაზებას მიიღებს კერძო სექტორში სამუშაოდ ან საქმიანობაში ჩართვის, რომელიც ეხება მის წინა პოზიციას. ზოგიერთ ქვეყანაში და სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენთან, ფაქტობრივად, კორუმპირებული ქცევა სრულიად ლეგალურია.

აუცილებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კორუფციის ფაქტობრივი ფორმების კონსოლიდაცია, რომელიც მოიცავს: ლობიზმს, პროტექციონიზმს, სხვადასხვა სახის პოლიტიკურ წვლილს, კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებას, სამთავრობო კორპორაციებისა და კერძო ფირმების სახელმწიფო მოხელეებზე საპატიო პრეზიდენტების პოსტებზე გადაცემის ტრადიციას, კომერციულ ინვესტიციებს ბიუჯეტის ხარჯზე, სახელმწიფო ქონების გადაცემა სააქციო საზოგადოებებში, მომსახურების გამოყენება და სხვა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობა მრავალი ობიექტური სირთულის წინაშეა, მაგალითად, საკომუნიკაციო არხების არარსებობა და პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია. ეკონომიკურ და მომიჯნავე სისტემებში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მუშაობის მდგომარეობა ჩამორჩება მოთხოვნებს და არ შეესაბამება ეკონომიკური უსაფრთხოების სირთულეს. ვთვლით, რომ საკანონმდებლო, სტრუქტურულ და მენეჯერულ ოპტიმიზაციას საჭიროებენ ისეთი სფეროები, როგორცაა:

- გარე ორგანიზაციებთან შეთანხმებების მომზადება და გაფორმება მათი ინფორმაციის მასივებზე წვდომის შესახებ;
- უფლებამოსილი სუბიექტების დამოუკიდებელი ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობა;
- კომპიუტერული საძიებო ტექნოლოგიების თანამშრომლების ინფორმირება ეკონომიკური დანაშაულისა და სამართალდარღვევის ნიშნების ახალი საფრთხეების შესახებ.

### **3.3.3 რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი**

ორგანიზაციულ და მენეჯერულ მექანიზმებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრუქტურაში, ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური უსაფრთხოება დიდწილად განისაზღვრება მენეჯერული პოტენციალის სტრუქტურითა და ხარისხით, სხვადასხვა დონეზე მართვის სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობით.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის მექანიზმი უნდა ჩაითვალოს, როგორც სახელმწიფო ორგანოებისა და უფლებამოსილი სტრუქტურების მიზნობრივი გავლენა რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს სუბიექტების და მთლიანად რეგიონის ეკონომიკური ინტერესების დაცვას. მისი ძირითადი ელემენტებია: ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებების განსაზღვრა, ძალები და საშუალებები, ასევე, ორგანიზაციული და ფუნქციონალური მექანიზმი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის დახასიათების პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია გამოვეყნოთ "ცენტრალური რგოლი" და ჩამოვაყალიბოთ რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთქმედების მექანიზმები და ამ სისტემის კავშირი მის მთავარ ელემენტებთან.

ამჟამად საკონსტიტუციო ორგანო, რომელიც ამზადებს გადაწყვეტილებებს უსაფრთხოების სფეროში, არის პრემიერ-მინისტრთან შექმნილი ქვეყნის უსაფრთხოების კომისია, რომელიც ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის საკითხების გათვალისწინებით, უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში დებულობს შესაბამის გადაწყვეტილებებს. უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული პრობლემები, ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვა გარე და შიდა საფრთხეებიდან ეკონომიკურ უსაფრთხოებამდე, ფაქტობრივად, მართვის სისტემის მთავარ კავშირს წარმოადგენს.

რეგიონებში ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სისტემის ყველა ელემენტის სტრუქტურისა და ფუნქციონალური უფლებების დეტალური განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის რეგიონულ მექანიზმს აქვს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. ეს, პირველ რიგში, გამომდინარეობს იქიდან, რომ განხილული მექანიზმის ინდივიდუალური ფუნქციები გარკვეულწილად ნაწილდება ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ცალკეულ სუბიექტებს შორის. სინამდვილეში, ყველა საჭირო კავშირის არსებობის პირობებში, არ არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურა ეკონომიკური უსაფრთხოების მართვისათვის.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ საუკეთესო ორგანიზაციული სტრუქტურა არის ის, რომელიც შესაძლებელს გახდის საჭირო შედეგების მოპოვებას მნიშვნელოვანი და მომგებიანი ეკონომიკური გზებით. საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ამ სფეროს მენეჯმენტის სისტემის მიზნები, რომლებიც მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში პოულობენ მათ გამოხატვას სტრატეგიულ მიმართულებებში.

ამრიგად, მმართველი ორგანოების სტრუქტურის შექმნისას, შესაძლებელი უნდა იყოს სათანადო ორგანიზაციული, იურიდიული და ფინანსური შესაძლებლობების შექმნა, რათა ეფექტურად გაართვას თავი რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევებსა და საფრთხეებს.

რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს მიზნების, კონკრეტული უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის საფუძველზე. ეს, პირველ რიგში, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, მართვის ფუნქციების განაწილებაა, ამავდროულად, უნდა შეფასდეს უფლებამოსილების დელეგირების ხარისხი, ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის თანაფარდობა, კონცენტრაციის მიზანშეწონილობა, შესაბამისობასთან მართვადი წესების დაცვით. ეს მოიცავს საკომუნიკაციო კავშირებს, რომლებიც იმდენად არ ასახავს ვერტიკალურ დაქვემდებარებას, როგორც უნდა იყოს სათანადოდ ორგანიზებული ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის მექანიზმის ერთ – ერთი მთავარი სისტემური ნაკლოვანებაა ხელისუფლების სხვადასხვა რგოლების სუსტი ურთიერთქმედება, რაც განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკის ერთ რგოლში ჰომოგენური პრობლემების გადაჭრა შეიძლება ფუნქციურად შევიდეს სხვადასხვა სფეროს კომპეტენციაში.

ჩვენი აზრით, აუცილებელია რეგიონული საბჭოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ადმინისტრაციის პირობებში ეკონომიკურ უსაფრთხოებას. საბჭოს ფუნქციები უნდა შეიცავდეს კომპეტენტური ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საგადასახადო, საბაჟო და სხვა ორგანოების

ურთიერთქმედება უნდა განხორციელდეს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბჭოს კომისიის ფარგლებში.

ამგვარად, რეგიონულ დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ჰქონდეს ყოვლისმომცველი ხასიათი, ყურადღება გამახვილდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის საწინააღმდეგოდ, როგორც სისტემურ საფრთხეზე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

### **3.4. გლობალური პანდემია და ეკონომიკური უსაფრთხოება**

კორონავირუსის პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებზე როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით და უამრავი ამოცანა დააყენა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წინაშე. აქტუალური გახდა საზოგადოების დაავადების რისკის თავიდან აცილება, დასაქმებულების შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილების დაცვა და იმ პირთა მხარდაჭერა, ვინც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ვერ მუშაობდა. განსხვავებულია სხვადასხვა სექტორებსა და ცალკეულ პირებზე Covid-19-ის გავლენა.

პანდემიის გამო ეკონომიკამ განიცადა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი დანაკარგები: მუშაობა შეწყვიტეს საწარმოებმა, შეიზღუდა საერთაშორისო ვაჭრობა, შეწყდა საერთაშორისო ფრენები, განსაკუთრებით დაზარალდა მცირე და საშუალო ბიზნესი, ტურიზმი, ნავთობის მოპოვება, საჰაერო ტრანსპორტი და სხვა; მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები. კორონავირუსული პანდემია მოგვევლინა ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორად. ეკონომიკურმა რეცესიამ იმ დონეს მიაღწია, რომ სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ პანდემიის პირობებში გაეხსნათ ეკონომიკა, რათა თავიდან აეცილებინათ ეკონომიკის კოლაფსი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონისა, პანდემიის წინააღმდეგ ერთობლივი და კომპლექსური მოქმედება ვერ განხორციელდა, ეპიდემიის წარმოშობის კერაშივე ლოკალიზება ვერ მოხერხდა.

ეკონომიკაში მიმდინარე აქტიური რყევების წინაშე განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებიც კი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. კრიზისის დასაძლევად ახალი რეალობების აღქმა გახდა საჭირო. რეცესიული პროცესები კვლავ გრძელდება. მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, მოსალოდნელია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის გაძლიერება კრიზისული სიტუაციების მართვის მიმართულებით.

კორონომიკური კრიზისის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის უმთავრესი ფუნქციაა, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, ხელი შეუწყოს ელექტრონული ბიზნესის განვითარებას, ხოლო, იქ, სადაც ეს პრინციპულად შეუძლებელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაეხმაროს „დაპაუზებულ“ სამეწარმეო უნარს, რათა გაურკვევლობით აღსავსე გარემოში, ფირმებს მისცეს მეტნაკლებად დამაიმედებელი სიგნალი სამომავლო, პოსტკრიზისული სტრატეგიის შემუშავებისათვის. აშკარაა, რომ პანდემიის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი ეროვნული ეკონომიკის პოსტკრიზისულ პერიოდში აღდგენა-განვითარებასთან მიმართებაში წარმოქმნილ რისკებს სრულად იღებს საკუთარ თავზე [48].

არაერთი კვლევა განხორციელდა, რომელთა თანახმადაც, პროგნოზები მშპ-სა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებელთა შესახებ არაოპტიმისტურია. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ვირუსის გამო, მსოფლიოში უმუშევართა რაოდენობა, არსებული 188 მილიონიდან გაიზრდება 5.3 - 24.7 მილიონით. მართალია, ეს შეფასებები სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეკონომიკურ ვარდნას ადგილი ექნება და იგი განსხვავებული იქნება ქვეყნების მიხედვით. უფრო მეტად დაზარალდება ტურიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესი, ტრანსპორტი, გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი, ავტომობილების წარმოება და ელექტროტექნიკა, ნავთობის მოპოვება, საცალო ვაჭრობა, სპორტის, ხელოვნების, დასვენებისა და გართობის სფერო, ხოლო ყველაზე ნაკლებად – კვების ინდუსტრია, კავშირგაბმულობა, ელექტროენერგეტიკა, საერთაშორისო გადაზიდვები და სხვა.

საქართველოში განხორციელდა ვირუსთან ბრძოლის სისტემური და ორგანიზებული ღონისძიებები ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკის გადარჩენის მიმართულებით, რაც გულისხმობდა ჯანდაცვის

სისტემის მზადყოფნას, მეწარმეების დახმარებას (ეკონომიკის ხელშეწყობას), საზღვარგარეთიდან ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოქალაქეთა სოციალურ მხარდაჭერას, რეპროდუქციის მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივ კონტროლს, მარაგებისა და ლოჯისტიკის - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვასა და სხვ.

საგრძნობია პანდემიის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე. შემცირდა შემოსავლები (ტურიზმიდან, ექსპორტიდან, წმინდა ფულადი გზავნილებიდან) როგორც უცხოური, ისე შიგა ინვესტიციები. ეკონომიკური აქტივობის შემცირების გამო, ბუნებრივია, მცირდება მთლიანი შიგა პროდუქტი. ყველაზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს ტურიზმი, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის სხვა სექტორებზე, მათ შორის, მშენებლობასა და უძრავი ქონებით ვაჭრობაზე. ექსპორტისა და გზავნილების შემცირება, უარყოფითად მოქმედებს გაცვლით კურსზე. უარესდება ადამიანთა კეთილდღეობისა და კომფორტის დონე.

პანდემიური მოვლენებით გამოწვეული მსოფლიო გლობალური პროცესები არაორდინალური ტენდენციებით ხასიათდება. კაცობრიობის ისტორიას უამრავი გამოწვევა ახსოვს სხვადასხვა დროს, მაგრამ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ეპოქაში, ეს პროცესები განსხვავებულად წარიმართა და ეკონომიკაში ღრმა სისტემური კრიზისის ნიშნები წარმოშვა. მისი შესწავლისა და სწორად გააზრების პრობლემებში მთელი მეცნიერული სპექტრია ჩართული, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ არის მიღწეული და შეფასებებიც განსხვავებულია.

პანდემიურმა კრიზისმა აჩვენა, რომ უკვე საჭიროა ახალი წესრიგის ძიება. ამისათვის აუცილებელია ინსტიტუციური ეკონომიკის უფრო ფართოდ გამოყენება და ეკონომიკური პოლიტიკის გაძლიერება. რეალური შედეგების მოლოდინი დიდია და უახლოეს მომავალში ეკონომიკის ვარდნის პროცესის შეჩერებაც გარდაუვალია.

იმის გათვალისწინებით, რომ კორონომიკური კრიზისის დასრულება ეკონომიკური მეთოდებით შეუძლებელია (რადგანაც ამ კრიზისის დაძლევა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მედიცინა დაამარცხებს კორონავირუსს), ამიტომ კრიზისის განმავლობაში სახელმწიფო ახორციელებს

ისეთ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება და ბიზნესის მხარდაჭერა სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათებით, საბიუჯეტო სუბსიდიებით და ა.შ. [48].

არსებული მონაცემებით საქართველოს ეროვნული ეკონომიკა სისტემურ კრიზისში იმყოფება. ცხადია, ქვეყანას ესაჭიროება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა სერიოზული ინექციური ღონისძიებების მხრივ, რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. ამ მიმართულებით სახელმწიფომ უკვე დააანონსა ანტიკრიზისული პროგრამები სხვადასხვა დარგში, რომლის რეალიზაციის შედეგად დაიწყება ეკონომიკის აღორძინების რეალური პროცესი. ეს პროგრამები მოითხოვს არსებული რესურსული პოტენციალის ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას. საჭიროა ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია და მიზნობრივი პროგრამებით მათი გამოყენება.



## დასკვნები

კვლევის შედეგად:

**ხაზგასმულია**, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული პრიორიტეტია. მსოფლიო გამოცდილების ანალიზმა აჩვენა, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია კარგად არის ცნობილი მართვის სტრუქტურების პრაქტიკაში და განიხილება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი;

- რეგიონებისთვის არანაკლები საფრთხეები იქმნება ცენტრში, მკაფიო, კონკრეტული, კარგად გააზრებული რეგიონული პოლიტიკის არარსებობის გამო, რაც საფრთხეს უქმნის კონფლიქტების, წინააღმდეგობების წარმოქმნას და ზრდას, რეგიონებში სეპარატიზმის გაძლიერებას, სახელმწიფოს ერთიანი ფინანსური სისტემის შესუსტებას, გარემოსდაცვითი პრობლემების გამწვავებას და ეკონომიკის კრიმინალიზაციას;

- ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია უპირველესად უნდა გულისხმობდეს, რომ ეკონომიკური სფეროს საფრთხეები ბუნებით არის რთული. მან შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის შესუსტებით ეკონომიკური დაქვეითება, საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია, სულიერი ფასეულობების დევალვაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობის კრიმინალიზაცია, ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის ზრდა. თუმცა, ეს საფრთხეები აშკარად არ არის გამჟღავნებული და შესაძლებელი ხდება საფრთხეების კონკრეტული საზღვრების, რეალობისა და სიმძიმის დადგენა, რაც საწყის ეტაპზე იწვევს მათ განეიტრალებას, ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის განვითარების შეუძლებლობას. სამწუხაროდ, სტრატეგია არ მიუთითებს იმ რეგიონების ეკონომიკური განვითარების მთავარ საფრთხეებზე, რომლებშიც ეკონომიკის კრიმინალიზაცია კატასტროფული ხდება. არ განიხილება ისეთი ტიპის საფრთხეები, როგორცაა ეკონომიკური და საგადასახადო დანაშაული, ჩრდილოვანი ეკონომიკა.

**დასაბუთებულია**, რომ რეგიონი, ეროვნული ეკონომიკის ტერიტორიული - ადმინისტრაციული და სოციალურ-ეკონომიკური ქვესისტემაა ანუ რთული

სისტემის ნაწილია ეს ერთი. მეორეც, ეს რთული სისტემა შედგება მთელი რიგი ქვესისტემებისაგან და ხასიათდება გარკვეული სინერგეტიკური შესაძლებლობებით (პოტენციალით), რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ტერიტორიის მდგრადი, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი განვითარება, აგრეთვე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტებისა და საერთო გამოწვევების ჭრილში;

- რეგიონული განვითარების კონცეფცია აუცილებლად უნდა მოიცავდეს ყველა იმ ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, რაც რეალურად არსებობს თანამედროვე ეტაპზე. ამავე დროს, მასში უნდა აისახოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა საგარეო, სამართლებრივი მიდგომები, გლობალური ფაქტორების გავლენა, საერთაშორისო ბიზნესის მიზნები, კომუნიკაციური ფაქტორები, რომელთა შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონალური საკითხების სინერგეტიკის სისტემურ განხილვაზე;

- რეგიონული განვითარების კონცეფციის საფუძველი უნდა იყოს რეგიონული სტრატეგიების შემუშავება, მათი შეფასება და ანალიზი, ეკონომიკური ერთეულის განვითარებისათვის პრიორიტეტული სფეროების მრავალფეროვნების შექმნა, მაღალკონკურენტული ეკონომიკური სისტემის ძირითადი უპირატესობების შემუშავება;

- დივერსიფიკაციის, ისე როგორც ტრანსფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ძირითადი საფუძველი უნდა იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლები. კერძოდ, მიმდინარე და პოტენციური ბაზრის ზომის განსაზღვრა. ბაზრების მოცულობის გამოსათვლელად, მთავრობის სტატისტიკა იყენებს ინსტრუმენტებს, რომლებიც ეფუძნება სუბიექტის ანგარიშგების მონაცემებს, ანუ მიწოდების მხარეს. ეს ძალზე სადავო მიდგომაა, ვინაიდან ყველა ბიზნესი საიმედოდ არ ასახავს ოფიციალური ანგარიშგების საქმიანობის რეალურ მასშტაბებს. განსაკუთრებით, სავაჭრო მაჩვენებლების ვალიდურობას. შედეგად, სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის მიერ მომზადებული ბაზრის მოცულობის მონაცემები, ჩვენი აზრით, საჭიროებს გადახედვას;

- ეკონომიკური უსაფრთხოების დივერსიფიკაციის მოდელების თეორიული განვითარება გულისხმობს ეკონომიკური სისტემების მდგრად განვითარებას, მენეჯმენტის გავლენას ამგვარი განვითარების პოზიტიურ და უსაფრთხო

ტენდენციაზე, რაც ამგვარი სისტემების გაზომვისა და მათზე მითითებული ზრდის პარამეტრების მიღწეული დონის შეფასებისკენ მიანიშნებს. ეს, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს ხსენებული ეკონომიკური თეორიების ზოგად ელემენტებს და მართვის თეორიებს, რომელთაგან მთავარია ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის მოდელების თეორიული და პრაქტიკული საკითხები;

- ეკონომიკური უსაფრთხოების არსებული დონე. ნაჩვენებია, რომ საფრთხეების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონული ხასიათისაა. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა გამორჩეული მახასიათებლების გამო, თითოეულ პოზიციას აქვს თავისი განსაკუთრებული მახასიათებლები შრომის, ბუნებრივი, წარმოებისა და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის, გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, კლიმატის, ინფრასტრუქტურის, სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით და ა.შ. გარდა ამისა, რეგიონები და მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად შეიმუშავენ და ატარებენ თავიანთ ტერიტორიაზე საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის ფარგლებში მიიღება გადაწყვეტილებები ბუნებრივი და სამრეწველო რესურსების გამოყენების, რეგიონული ეკონომიკური ობიექტების მხარდაჭერის, წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროს განვითარების, რეგიონული ინფრასტრუქტურის და სოციალური ობიექტების შექმნის თაობაზე. შედეგად, თითოეულმა მათგანმა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ეროვნული ეკონომიკური პროცესების გავლენის ქვეშ, შეიმუშავა საკუთარი პრობლემების მთელი რიგი ღონისძიებები, რომელებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს როგორც ამ რეგიონში, ასევე უშუალო გავლენას ახდენენ სახელმწიფოს ზოგად ეკონომიკურ უსაფრთხოებაზეც;

- რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება ემყარება რეგიონის ეკონომიკური ინტერესების განხორციელების ობიექტურ საჭიროებას, რაც მოიცავს რეგიონის მოსახლეობის არსებული დონის შენარჩუნებას, რეგიონული ეკონომიკის ზრდას, ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას, რეგიონული და მუნიციპალური მმართველობის მაღალ ხარისხს, ურთიერთდახმარების შემდგომ ინტერ რეგიონალური და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნებას. საკუთარი სოციალურ-

ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, ასევე, რეგიონული ინტერესების დაცვას როგორც გარედან, ისე სხვა საშიშროებისგან;

რეგიონულ დონეზე ეკონომიკური საფრთხეების მთელი სპექტრი თავს იჩენს ეკონომიკური უსაფრთხოების, ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენის სისტემური ხასიათის, სამართალდამცავი მექანიზმების სისუსტის და კონტროლის ინსტიტუტების ნაკლებობის გამო.

**ნაჩვენებია**, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არის პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება სისტემის ფუნქციონირების თვისობრივი შემადგენლობის, სტრუქტურისა და პირობების გარდაქმნა თუ სისტემის თვისობრივი მრავალფეროვანი ტრანსფორმაცია. რაც შეეხება სისტემის შემადგენლობისა და ურთიერთობების რაოდენობრივ გარდაქმნას, ამ პროცესს ახასიათებს "ზრდის" კატეგორიები და მისი ბუნებრივი ტემპი.

- საქართველოს ყველა სახის რესურსის რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობა არის მხოლოდ ინდივიდუალური და განისაზღვრება სხვადასხვა ობიექტური მიზეზით (ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, კლიმატური, დემოგრაფიული, ინტელექტუალური და სხვა);

